ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ევროპეისტიკის დეპარტამენტი

ანა ახვლედიანი

YouTube-ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკა და მისი გამოხატვის ძირითადი ხერხები (ინგლისურენოვან და ქართულ ვიდეო კომენტარების მასალაზე დაყრდნობით).

საგანმანათლებლო პროგრამა:ფილოლოგია

სადოქტორო ნაშრომი წარმოდგენილია ინგლისური ფილოლოგიის
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფესორი თ. შავლაძე

ბათუმი
2025

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ახვლედიანი

შინაარსი

შესავალი ---------- **4**

თავი I. ინტერნეტ ლინგვისტიკის არსი ---------- **9**

1.1. ონლაინ კომუნიკაციის თავისებურებები ---------- **9**

1.2. ინტერნეტ ლინგვისტიკა როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგი და მისი განვითარების პერსპექტივები ----------**16**

1.3. ენა და ინტერნეტი. ინტერნეტ ენის თავისებურებები ---------- **22**

თავი II. YouTube - ის ვიდეო კომენტარებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები ---------- **31**

2.1. YouTube ვიდეო კომენტარების კლასიფიკაცია ---------- **31**

2.2. YouTube ვიდეო კომენტარების ლექსიკური მახასიათებლები ----------**46**

2.3. YouTube ვიდეო კომენტარების ლინგვო-სტილისტური მახასიათებლები ------**55**

§2.3.1. შექების, კომპლიმენტირების, დადებითი ემოციის გამომხატველი კომენტარები და მათი ლინგვოსტილისტური თავისებურებები ----------**57**

§2.3.2 სიძულვილის ენა - კრიტიკის, აგრესიის გამოხატვა ვიდეო კომენტარებში და მათი ლინგვოსტილისტური ეფექტი ----------**61**

§2.3.3 სარკაზმი და ირონია YouTube-ის ვიდეო კომენტარებში---------- **73**

2.4. YouTube ვიდეო კომენტარების გრაფიკული მახასიათებლები ----------**76**

2.5. YouTube ვიდეო კომენტარების ორთოგრაფიული მახასიათებლები ----------**95**

2.6. YouTube ვიდეო კომენტარების გრამატიკული მახასიათებლები ---------- **98**

თავი III. YouTube ვიდეო კომენტარი, როგორც კულტურული ფენომენი და მისი ვერბალური გამოხატულება ---------- **100**

3.1. უნივერსალური და რელატიური YouTube ვიდეო კომენტარში ----------**108**

ზოგადი დასკვნა ----------**123**

გამოყენებული ლიტერატურის სია----------**127**

შესავალი

თანამედროვე სამყაროში, სადაც ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა განსაზღვრა ჩვენი ცხოვრების ყველა სფერო, კომუნიკაციის ტრადიციული მოდელები შეიცვალა და განვითარდა. ინტერნეტისა და სოციალური მედიის მზარდმა პოპულარობამ წარმოშვა ახალი, ჩვეულებრივი ყოველდღიური კომუნიკაციისაგან განსხვავებული უნიკალური ფორმები. ელექტრონული დისკურსი ახალი საკომუნიკაციო ფორმაა, რომელიც არა მხოლოდ საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მარტივად და სწრაფად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, არამედ ქმნის და ავითარებს ახალ ლინგვისტურ ნორმებს.

ონლაინ კომუნიკაცია მოიცავს მრავალფეროვან პლატფორმას, დაწყებული სოციალური ქსელებით, ვიდეო კომენტარებითა და ჩათებით, დამთავრებული ფორუმებითა და ბლოგებით. თითოეული მათგანი თავისებურ ინტერნეტ ენას ქმნის. მომხმარებელი აქტიურად იყენებს ახალ ლინგვისტურ ერთეულებს. სწორედ ამ ახალი ენობრივი და კომუნიკაციური თავისებურებების შესწავლა წარმოადგენს ინტერნეტ ლინგვისტიკის ძირითად საგანს.

ინტერნეტ ლინგვისტიკა ახალი დისციპლინაა, რომელიც იკვლევს ენის ცვლილებასა და განვითარებას ინტერნეტ სივრცეში. ინტერნეტ ენა ცოცხალი და დინამიკური ფენომენია. ის გავლენას ახდენს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ კომუნიკაციაზე და მნიშვნელოვნად ცვლის თანამედროვე ლინგვისტურ ლანდშაფტს.

წინამდებარე ნაშრომის **მიზანს,** ერთი მხრივ, წარმოადგენს ონლაინ კომუნიკაციის არსის განხილვა, ინტერნეტ ლინგვისტიკისა და ინტერნეტ ენის თავისებურებების წარმოჩენა, მეორე მხრივ კი, ვიდეო კომენტარების, როგორც ეფექტური საკომუნიკაციო საშუალების ლექსიკური, ორთოგრაფიული, გრაფიკული, სტილისტური და გრამატიკული მახასიათებლების ლინგვისტური ანალიზი. უფრო კონკრეტულად, ნაშრომის მიზანია YouTube - ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკის სიღრმისეული ანალიზი და იმ ძირითადი ლინგვისტური ერთეულების გამოვლენა, რომლებსაც მომხმარებლები იყენებენ აზრების, ემოციებისა და შეხედულებების გამოსახატავად.

ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, დავსახეთ შემდეგი **ამოცანები:**

1) კვლევის საწყის ეტაპზე გავეცანით თეორიულ მასალას ზოგადად კომუნიკაციის, კონკრეტულად კი, ონლაინ კომუნიკაციის შესახებ;
2) ონლაინ კომუნიკაციის არსის გაგების შემდგომ, გადავწყვიტეთ ინტერნეტ ლინგვისტიკისა და ინტერნეტ ენის თანამედროვე გამოწვევების გაცნობა, შესწავლა და გაანალიზება;
3) კვლევის მომდევნო ეტაპზე დავაკვირდით უშუალოდ ვიდეო კომენტარების ლინგვისტურ თავისებურებებს, შემდგომ კი განვიხილეთ ვიდეო კომენტარების ლექსიკური, ორთოგრაფიული, გრაფიკული, სტილისტური და გრამატიკული მახასიათებლები, რომლებიც გავამყარეთ შესაბამისი პრაქტიკული მაგალითებით;
4) კვლევის უკანასკნელ ეტაპზე კი შევისწავლეთ YouTube-ის ვიდეო კომენტარი, როგორც კულტურული ფენომენი; დავაკვირდით, რამდენად კარგად აისახებოდა ერის კულტურული თავისებურებები ვიდეო კომენტარებში, რა მსგავსებები და განსხვავებები არსებობდა ამ მხრივ.

ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა კვლევა, რომლის თანახმად, დაკვირვება განხორციელდა მუსიკის ორ განსხვავებულ ჟანრზე, ერთი მხრივ, კლასიკურ, მეორე მხრივ, პოპ-როკ მუსიკის ვიდეო კომენტარებზე. განხილულ იქნა, როგორც ინგლისურენოვანი, ასევე, ქართული ვიდეო კომენტარები, სულ 3934 ერთეული.

თემის **აქტუალობა** განპირობებულია თანამედროვე ლინგვისტიკაში კიბერლინგვისტური კვლევების დაწინაურებით. ინტერნეტლინგვისტიკა ანუ კიბერლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგი, არასდროს ყოფილა ისეთი პოპულარული, როგორიც დღესაა. ინტერნეტი მკვეთრად ცვლის ადამიანების კომუნიკაციის ფორმებსა და გზებს, ენის გამოყენება დინამიურად იცვლება. ინტერნეტლინგვისტიკა ასახავს კულტურულ ცვლილებებსა და ტენდენციებს, ამ სივრცეში ადამიანები ენის გამოყენებით ინოვაციურ ერთეულებს და მიდგომებს ნერგავენ. ინტერნეტი, სადაც სხვადასხვა კულტურისა და ენის ადამიანები ურთიერთობენ, კომუნიკაციის გლობალურ დონეზე განხორციელების საშუალებას იძლევა.

ინტერნეტ ლინგვისტიკის მზარდი პოპულარობიდან გამომდინარე:

1) ინტერნეტ ლინგვისტიკის ჭრილში შესრულებული ნაშრომი განსაკუთრებით აქტუალურია, რადგანაც თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია ონლაინ კომუნიკაციის გარეშე;

2) YouTube ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული არხია, რომლის ლინგვისტური, კერძოდ, ლექსიკური, გრამატიკული, ორთოგრაფიული თუ გრაფიკული მახასიათებლები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილად შესწავლილი. ამდენად, ნებისმიერი ამ სახის კვლევა, მით უფრო, ლინგვო-კულტუროლოგიურ ჭრილში, საინტერესო და, ამავდროულად, აქტუალურია.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ თავად მეცნიერული დისციპლინა, ინტერნეტ ლინგვისტიკა შედარებით ახალია და ამ სფეროში ნებისმიერი კვლევის განხორციელება, მით უფრო, შედარებით-შეპირისპირებით ჭრილში, მიგვაჩნია სიახლედ.

ნაშრომის ობიექტია YouTube-ის ვიდეო კომენტარების ინგლისურენოვანი და ქართულენოვანი მაგალითები.

ნაშრომის თეორიულ ბაზად გამოყენებულია: ქართველი (თ.გამყრელიძე, ს.ომიაძე, ს.თოთიბაძე, ი.რუსაძე, ნ.თავიდაშვილი, თ.დორეული ხ.ბაბუნაშვილი ა.შ) უცხოელი მკვლევრების (D. Crystal, S.Herring, P. Lange, R.Barnes, L.Bauer, B.Danet E.Dresner J.Holmes, M. Collot, R. Belmore, J. December, C. Mueller, W.J Ogunyle, J. Sutherland, C.Thurlow, M Thelwall, S. Thorne, C.C Werry, G.Yule, Э Сепир, Ю.М Лотман, ა.შ) სტატიები, მონოგრაფიები და სხვა სახის სამეცნიერო ნაშრომები.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულ იქნა: *დესკრიფციული მეთოდი*- ემპირიული მასალის დამუშავებისთვის, *რაოდენობრივი ანალიზი* - ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი მაგალითების დაჯგუფების დროს, *თვისებრივი და შედარება-შეპირისპირებითი მეთოდები* - ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი ვიდეო კომენტარების საერთო და განმასხვავებელი ნიშნების გამოსააშკარავებლად. საყურადღებოა, ხაზი გავუსვათ უკანაკნელის მნიშვნელობას, ვინაიდან არსებული კვლევა წარმოებს არამონათესავე ენების (ინგლისური და ქართული) კომენტარების შეპირისპირების საფუძველზე, ეს მეთოდი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ამ ორი ენისა

და კულტურის მსგავსება-განსხვავებას გარე სამყაროს ხედვის თვალსაზრისით. ამასთანავე, საკვლევი ობიექტის არსი და თავისებურებანი ყველაზე ეფექტურად ვლინდება განსხვავებული ეთნოკულტურის სათანადო მასალის შეპირისპირებით.

ნაშრომის თეორიულ ღირებულებას წარმოადგენს ის, რომ ჩვენი კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები გარკვეულწილად წაადგება ამ საკითხის ირგვლივ არსებული ნიშის ამოვსებას, ვინაიდან ნაშრომი, თეორიული თვალსაზრისით, შეიცავს საინტერესო დაკვირვების შედეგებს.

ნაშრომის პრაქტიკული ღირებულება არის ის, რომ მისი გამოყენება შესაძლებელია დისკურსის (ელექტრონული დისკურსის), კომუნიკაციური ლინგვისტიკის, ლექსიკოლოგიის, სტილისტიკის, პრაგმატიკის, ლინგვოკულტუროლოგიის (ენა და კულტურა) ლექცია-სემინარებზე. ნაშრომი დაეხმარება ინტერნეტ ენის თავისებურებების შესწავლითა და გამოყენებით დაინტერესებულ პირებს.

ნაშრომის სტრუქტურა: სადოქტორო ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცამეტი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურისაგან.

შესავალში საუბარია საკვლევი პრობლემის არჩევანის მართებულობაზე, კვლევის მიზნებსა და ამოცანებზე, ნაშრომის აქტუალობასა და მეცნიერულ სიახლეზე, მის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებაზე.

ნაშრომის პირველი თავი სახელწოდებით „ინტერნეტ ლინგვისტიკის არსი“ ზოგად თეორიული ხასიათისაა. მასში განხილულია ონლაინ კომუნიკაციის დადებითი და უარყოფითი თვისებები, საუბარია ახალი დისციპლინის - ინტერნეტ ლინგვისტიკის თავისებურებებზე, მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაზე, ინტერნეტ ენის სახეობებზე და მათ ლინგვისტურ მახასიათებლებზე. წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევრის მოსაზრება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ნაშრომის მეორე თავი სახელწოდებით „YouTube - ის ვიდეო კომენტარებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები“ უშუალოდ ვიდეო კომენტარების კლასიფიკაციასა და მისი ლინგვისტური (ლექსიკური, ლინგვო-სტილისტური, გრაფიკული, ორთოგრაფიული და გრამატიკული) თავისებურებების წარმოჩენას დაეთმო.

ნაშრომის მესამე თავი საკითხის კულტურული ასპექტების ანალიზს ეძღვნება. მასში ლინგვოკულტურულ ჭრილში გაანალიზებულია ჩვენ მიერ კვლევის დროს თავმოყრილი YouTube - ის ინგლისური და ქართულენოვანი ვიდეო კომენტარების მაგალითები.

დასკვნით ნაწილში თეზისების სახით შეჯამებული და განზოგადებულია კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები.

თავი I. ინტერნეტ ლინგვისტიკის არსი

1.1. ონლაინ კომუნიკაციის თავისებურებები

ტექნოლოგიების განვითარებამ ადამიანებს შორის ურთიერთობა უფრო გაამარტივა და ხელმისაწვდომი გახადა. მედია აღარ წარმოადგენს ერთადერთ პლატფორმას ახალი ამბების გასავრცელებლად, მისი როლი, შესაძლოა, სხვა პლატფორმებმაც შეითავსონ, მაგალითად, ფეისბუკმა, ტვიტერმა და ა.შ. ის, რაც წარმოუდგენელი იყო წლების წინ, დღეს ტექნოლოგიების დახმარებით ჩვენს ყოველდღიურობად იქცა (ახვლედიანი, 2020:24)

თუკი ერთმანეთს შევადარებთ წარსულსა და დღევანდელობას, შევამჩნევთ, რომ ურთიერთობის დამყარება დღეს გაცილებით მარტივია. წარსულში წერილის დაწერა, ფაქსის გაგზავნა ან სადენიანი ტელეფონის პოვნა დისტანციური კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება იყო, დღეს კი ინფორმაციის გადაცემისათვის ბევრად ეფექტური საშუალებები გვაქვს.

ბოლო ათწლეულების მანძილზე, ტექნიკური პროგრესის ფონზე, კერძო პირებს შორის ურთიერთობამ ვირტუალურ სივრცეში გადაინაცვლა. ონლაინ კომუნიკაციის საშუალებები – ინტერნეტი, მობილური სმარტფონები, Wi-Fi ტექნოლოგია, სოციალური ქსელები (ტვიტერი, ინსტაგრამი, ფეისბუქი) ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა.

რა იგულისხმება ონლაინ კომუნიკაციაში? რატომ არის იგი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები აქვს მას?

,,ონლაინ კომუნიკაცია გულისხმობს ადამიანებს შორის აზრებისა და ინფორმაციის გაცვლის პროცესს კომპიუტერული ქსელების საშუალებით''. (December, 1993:2)

ი. პარას თანახმად, ,,ონლაინ კომუნიკაცია რეალურ დროში მიმდინარე კომპიუტერულ შუამავლობითი კომუნიკაციაა''. (Para, 2016:189)

წიგნში ''Online communication, Linking Technology, Identity, and Culture'' ავტორების თანახმად: ,,ონლაინ კომუნიკაცია არა მხოლოდ ინფორმაციის გაცვლის საშუალებაა, არამედ ის წარმოადგენს ღრმა პროცესს, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანების სოციალურ ურთიერთობაზე, კულტურასა და იდენტობაზე'' (Wood & Smith, 2005 : 24)

ნებისმიერი კომუნიკაცია, რომელიც მიმდინარეობს ინდივიდებს შორის კომპიუტერული ქსელისა და ინტერნეტის დახმარებით, მოიაზრება, როგორც ონლაინ კომუნიკაცია. გაკვირვებას აღარ იწვევს ის ფაქტი, რომ თანამედროვეობაში ადამიანები კომუნიკაციის ტრადიციულ ფორმებზე უფრო ხშირად მიმართავენ ონლაინ კომუნიკაციას, მისი მრავალი უპირატესობის გამო, რაზეც ცოტა ქვევით გვექნება საუბარი.

ონლაინ კომუნიკაცია შეიძლება იყოს: **სინქრონული და ასინქრონული.** ზ. გვარიშვილი სტატიაში „სოციალური და სიტუაციური კონტექსტის როლი ელექტრონული კომუნიკაციური აქტის ფორმირებისა და წარმართვის პროცესში", საუბრობს ინტერნეტით განხორციელებული კომუნიკაციის სინქრონულობა - ასინქრონულობაზე. სტატიის ავტორის აზრით, „პირველ ტიპს მიეკუთვნება ისეთი ტიპის კომუნიკაცია, სადაც მასში მონაწილე ორი ან მეტი მხარე ამყარებს ცოცხალი პოლილოგის მსგავს, სინქრონულ პასუხებსა და მონაცვლეობაზე აგებულ ინტერკომუნიკაციას. ასეთი გახლავთ ჩათები, სადისკუსიო ოთახები, ფორუმები. ასინქრონული კომუნიკაციის ტიპი, განსხვავებით სინქრონულისგან, არ მოითხოვს სპონტანურ პასუხს და, ამდენად, იძლევა საშუალებას, შედარებით დროში შეუზღუდავად, გარკვეული წესებისა და სტილის დაცვით მომხმარებელი ჩაერთოს მოცემულ საკომუნიკაციო აქტში. ასეთი ტიპის კომუნიკაციას განეკუთვნება ელექტრონული მეილები - როგორც კერძო, ასევე, საქმიანი, ელექტრონული ბიულეტენების დაფები და სხვა" (გვარიშვილი, 2009:256).

ონლაინ კომუნიკაცია პირდაპირ კავშირშია ინტერნეტთან. ინტერნეტი, რომელიც მე-20 საუკუნის უდიდესი მონაპოვარია, წარმოადგენს ერთმანეთზე მიერთებული კომპიუტერების საჯაროდ ხელმისაწვდომ ქსელს. დღეს, როგორც

არასდროს, ინტერნეტი მოსახლეობის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, რამაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა შემდეგ ასპექტებზე:

- ინფორმაციის წვდომა;
- საგანმანათლებლო პროცესები;
- პირადი თუ სოციალური ურთიერთობები.

დღეს საზოგადოებას შეუძლია ინტერაქტიულად იმუშაოს დროითი და ფიზიკური შეზღუდვების გარეშე, ინტერნეტი საუკეთესო საშუალებაა ონლაინ ბიბლიოთეკების, ენციკლოპედიების, არქივებისა და ინფორმაციის სხვა წყაროების წვდომისათვის და, რაც მთავარია, ეს ყველაფერი დროის უმოკლეს ვადებშია შესაძლებელი. ინფორმაციულობის თვალსაზრისით, ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო რესურსი ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ინტერნეტს აქვს უზარმაზარი პოტენციალი. განათლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ადამიანები ინტერნეტს იყენებენ არამარტო ყოველდღიურ, არამედ პროფესიულ ცხოვრებაშიც ცოდნისა და ცნობიერების ასამაღლებლად, ინტერნეტი აუმჯობესებს განათლების ხარისხს, რაც მდგრადი განვითარების ერთ–ერთი საყრდენია. იგი უზრუნველყოფს განათლებას ვიდეოების საშუალებით და ვებ–სახელმძღვანელოებით, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი და ეფექტურია.

საინტერესოა, რა სურათს იძლევა ინტერნეტი პირადი და სოციალური ურთიერთობების მხრივ. ის, რომ ადამიანთა ინტერაქცია ონლაინ ფაზაში გადავიდა, ამას ელექტრონული საშუალებების აქტიური გამოყენებაც ცხადყოფს. ონლაინ ურთიერთობები ანაცვლებს რეალურ ურთიერთობებს, დღითიდღე მომხმარებლები მიჯაჭვულნი ხდებიან სოციალურ ქსელებზე, რაც თავის მხრივ ავლენს როგორც დადებით, ასევე, უარყოფით მხარეებსაც. (ახვლედიანი, 2020:21)

ფსიქოლოგები თვლიან, რომ ინტერნეტმიჯაჭვულობას, ერთი მხრივ, რეალური ურთიერთობის დეფიციტი და ახალგაზრდებში არსებული კომპლექსები განაპირობებს. ადამიანებთან ურთიერთობის მოთხოვნილების ასანაზღაურებლად კი ონლაინ კომუნიკაცია საუკეთესო საშუალებაა, თუმცა ფსიქოლოგები აქვე დასძენენ,

რომ ელექტრონული კომუნიკაცია არ არის ურთიერთობის ფსიქოლოგიურად ჯანსაღი ფორმა, რადგან რეალური კომუნიკაცია მხოლოდ მაშინ ხორციელდება, როცა ადამიანებს შორის უშუალო კავშირია, ეს კავშირი კი ხელს უწყობს ადამიანის პიროვნულ ზრდას, გამოცდილების გაზიარებას, ქცევათა შესწავლასა და საჭიროების შემთხვევაში, მათ კორექციას.

ონლაინ კომუნიკაციას არა ერთი **დადებითი** მხარე აქვს:

- ონლაინ კომუნიკაცია გვეხმარება დავზოგოთ დრო და ფინანსები; სახლიდან გაუსვლელად, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე ვაწარმოოთ კომუნიკაცია. მისი საშუალებით გაცილებით ხელმისაწვდომი და სწრაფი გახდა ინფორმაციის გადაცემა ჩვენ ირგვლივ;

- ონლაინ კომუნიკაციის ერთ-ერთი მთავარი უპირატესობა ახალი და საინტერესო სამუშაო ადგილების შექმნაა. სისტემის ანალიტიკოსები, კომპიუტერული პროგრამისტები, ვებ დიზაინერები, აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის ორგანიზატორები და სხვა, ონლაინ კომუნიკაციის საჭიროებიდან გამომდინარე აღმოცენდა;
- ონლაინ კომუნიკაციამ მოსახლეობა უფრო დაახლოვა, მოშალა გეოგრაფიული და ენობრივი საზღვრები, სამყარო გლობალურ სოფლად აქცია, სადაც ქვეყნები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე უზიარებენ ერთმანეთს ინფორმაციასა და იდეებს;
- ონლაინ კომუნიკაციამ აამაღლა საზოგადოების ცნობიერება ისეთ მნიშვნელოვან თემებზე, როგორიცაა: ჯანმრთელობა, განათლება, ბიზნესი, გარემოს დაცვა და, რაც მთავარია, აღნიშნულ საკითხებზე ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდა ნებისმიერი პირისთვის;
- ინტერნეტზე დამყარებული კომუნიკაცია აადვილებს ბიზნესის წარმოებას, კომპანიები ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას შეფერხებების გარეშე ახორციელებენ ბიზნეს ურთიერთობებსა და ოპერაციებს, ეს გარემოება კი თავისთავად უფრო მარტივსა და მოსახერხებელს ხდის ბიზნესს;

- ონლაინ კომუნიკაციამ მოსაუბრეთა შორის კულტურული უფსკრული აღმოფხვრა. იგი ეხმარება მოსაუბრეებს, გაუზიარონ ერთმანეთს იდეები და შეხედულებები თავიანთი გადმოსახედიდან გამომდინარე;
- ონლაინ კომუნიკაცია საუკეთესო საშუალებაა გართობისა და დროის გასაყვანად, მოსახლეობის უმეტესი ნაწილი სწორედ მას მიმართავს, როცა თავს მარტოსულად და მოწყენილად გრძნობს;
- ონლაინ კომუნიკაცია ხელს უწყობს ინფორმაციის დაარქივებას, საჭიროების შემთხვევაში გაცემული ან მიღემული ინფორმაციის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ბევრ დადებით მხარესთან ერთად, იკვეთება ონლაინ კომუნიკაციის **უარყოფითი** მხარეებიც:

- ინტერნეტმა კომუნიკაცია გაამარტივა, სწრაფი და მოსახერხებელი გახადა, თუმცა მან, ასევე, წარმოქმნა კონფიდენციალურობის პრობლემები, ახლა უფრო და უფრო მეტ ადამიანს აწუხებს პირადი ინფორმაციის დაუცველობა;
- ონლაინ კომუნიკაციამ ადამიანი უმოქმედო გახადა, ინტერნეტმიჯაჭვული საზოგადოება ნაკლებად ერთვება რეალურ სოციალურ ურთიერთობებში, თავს უფრო კომფორტულად ვირტუალურ სამყაროში გრძნობს;
- ონლაინ კომუნიკაცია ცხადყოფს სოციალურ-ემოციური და არავერბალური მინიშნებების ნაკლებობას;
- ონლაინ კომუნიკაციის უარყოფით მხარედ შეიძლება ჩაითვალოს მისი არასანდოობა, რაც გამოწვეული იქნება ყალბი მომხმარებლის ანგარიშების არსებობით;
- ონლაინ კომუნიკაციისას, ინტერნეტის შეფერხებამ ან საკომუნიკაციო ტექნოლოგიის ხარვეზმა შესაძლოა დიდი ზიანი მიაყენოს მომხმარებელს.

ონლაინ კომუნიკაცია სხვადასხვა საშუალებით ხორციელდება და მათ ინდივიდუალური თავისებურებები ახასიათებთ.

ელ.ფოსტა - ტექსტებზე დაფუძნებული ფორმაა, რომელიც ითვალისწინებს შეტყობინების სახით ინფორმაციის გადაცემას. იგი წარმოადგენს ასინქრონული

კომუნიკაციის სახეობას. ერთი გამგზავნი, ერთი მიმღები. თუმცა გადამისამართების ფუნქცია დღეს უკვე შესაძლებელს ხდის, რომ წერილი მიიღოს მესამე პირმაც.

ელექტრონული ფოსტა დღეისთვის ერთ-ერთი პოპულარული საშუალებაა. იგი გამოიყენება, როგორც ბიზნეს ურთიერთობებისათვის, ასევე, ოჯახთან, ახლობლებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან კომუნიკაციისათვის. ელ. ფოსტის ასინქრონული ბუნება მომხმარებლებს საშუალებას აძლევს დრო დაუთმონ თავიანთი გზავნილების შედგენასა და რედაქტირებას.

ელექტრონულმა წერილმა ძირფესვიანად შეცვალა კომუნიკაციის თანამედროვე ხერხები. ის ზრდის მოცულობასა და დაკავშირების ტემპს, რის გამოც იძლევა მრავალ შესაძლებლობას. ჩვეულებრივ, ელექტრონული წერილი მოკლე და ნაკლებად ოფიციალურია. წერილი მაქსიმალურად ადვილად უნდა იკითხებოდეს. ის ძალიან მოკლედ უნდა იყოს ჩამოყალიბებული. ელექტრონული წერილი ორგანიზაციის შიგნით ინფორმაციის ჰორიზონტალურად გადაცემის საუკეთესო საშუალებაა, რაც მის კიდევ ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

ჩატი - რეალურ დროში კომპიუტერულ ქსელში შეტყობინებების გაცვლის საშუალებაა. მისთვის დამახასიათებელი ნიშანია რეალურ დროში კომუნიკაცია. სწორედ ეს გამოარჩევს ჩატს ფორუმებისა და სხვა შენელებული საშუალებებისაგან. თუ ფორუმში შესაძლებელია დაიწეროს კითხვა და დაელოდო პასუხს (იმავე დროს, შესაძლებელია რამდენიმე სხვა მომხმარებლისაგან მიიღო პასუხი). ჩატში ხდება ურთიერთობა მხოლოდ მათთან, ვინც მოცემულ მომენტში ადგილზე იმყოფება და ურთიერთობის შედეგები, შესაძლოა, არც კი იქნას შენახული. სიტყვაში ,,ჩატი“ ჩვეულებრივ იგულისხმება ჯგუფური ურთიერთობა.

სკაიპი - უფასო პროგრამული უზრუნველყოფაა, რომლის საშუალებითაც შესაძლებებლია უფასო საუბარი, როგორც პერსონალური კომპიუტერებით, ასევე, ინტერნეტთან კავშირის მქონე სხვა მოწყობილობებით.

ფეისბუკი და სხვა სოციალური ქსელები - ფეისბუკი, რომელიც სოციალურ ქსელს წარმოადგენს, ფართოდ გამოიყენება ინფორმაციის გასავრცელებლად. ინფორმაციის გამცემი ათავსებს როგორც ვერბალურ, ასევე, ვიზუალურ (ფოტოები,

ვიდეო) ან აუდიო (მუსიკალური ჩანაწერები) ინფორმაციას ფეისბუკზე, მას ხელმისაწვდომს ხდის ადამიანთა გარკვეული წრისათვის და განთავსებულ ინფორმაციაზე იღებს ვერბალურ უკუკავშირს, ანუ რეაქციას. ამ ინფორმაციის გაცნობა ქსელის ნებისმიერ წევრს და ამ წევრთა ქსელების ყველა მონაწილეს შეუძლია. სოციალური ქსელების გამოყენება ნაცნობთა თუ პროფესიულ ან მომხმარებელთა წრეებში ინფორმაციის გავრცელების ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს.

მოკლე ტექსტური შეტყობინება SMS - მოკლე ტექსტური შეტყობინებები ხშირად გამოიყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში, იგი საუკეთესო საშუალებაა ინფორმაციის გადაცემისათვის, სოციალური კავშირების შენარჩუნებისათვის და თავისუფალი კონტაქტებისათვის, სმს თავის ბუნებით ასინქრონულია, რაც გულისხმობს იმას, რომ იგი არ საჭიროებს დაუყონებლივ რეაქციას.

ვებ-საიტები მონოლოგური ასინქრონული კომუნიკაციის ფორმაა. იგი მსოფლიო გლობალურ ქსელში განთავსებული მასალაა, რომელიც ყველას შეუძლია ნახოს. ვებ-საიტები შედგება ვებ-გვერდებისგან.

ვიდეო კომენტარები - წარმოდგენილია, როგორც ტექსტური შეტყობინება, სადაც მომხმარებელს საკუთარი აზრის გამოხატვის ან სხვათა შეხედულებების გაზიარების საშუალება ეძლევა. მასში ასახულია მომხმარებლის განწყობა და დამოკიდებულება ვიდეოს მიმართ, იგი ხშირად დიდ გავლენას ახდენს ადამიანზე, ერთი მომხმარებლის დადებითი კომენტარი შესაძლოა სხვათა დადებითი ან უარყოფითი განწყობის მიზეზი გახდეს. (ახვლედიანი, 2020:29)

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ონლაინ კომუნიკაცია, რომელიც მიმდინარეობს ინტერნეტისა და სხვადასხვა სახის ტექნოლოგიების გამოყენებით, ავლენს თავის უამრავ დადებით მხარეს, რაც გამოიხატება ინფორმაციის სწრაფად გადაცემაში, დროისა და ფინანსების დაზოგვაში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, კულტურული უფსკრულის აღმოფხვრაში. რაც შეეხება მის უარყოფით მხარეებს, მიუხედავად ნეგატიური შედეგებისა, საზოგადოება აქტიურად აგრძელებს მის გამოყენებას, რაც იმის პასუხია, რომ ონლაინ კომუნიკაცია კვლავ აქტუალურია მომხმარებელთა შორის.

1.2. ინტერნეტ ლინგვისტიკა, როგორც ენათმეცნიერების ახალი დარგი და მისი განვითარების პერსპექტივები

ახალი მეცნიერული დისციპლინის გაჩენა არც თუ ისე ხშირად ხდება, მაგრამ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში ინტერნეტის გამოჩენამ, ევოლუციამ და სწრაფმა ზრდამ გავლენა მოახდინა საზოგადოების ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტზე, მათ შორის, ენობრივ თავისებურებებზეც, რამაც, შესაბამისად, გამოიწვია ინტერნეტ ლინგვისტიკის გაჩენა.

რას წარმოადგენს ინტერნეტ ლინგვისტიკა? რა არის მისი კვლევის საგანი? როგორია მისი ჩამოყალიბების და განვითარების ისტორია? განვითარების რა პერსპექტივები არსებობს ამ მხრივ?

ინტერნეტ ლინგვისტიკა - ენათმეცნიერების ქვედარგია, რომელიც სწავლობს ინტერნეტ და სმს კომუნიკაციის გავლენით აღმოცენებულ ახალ ენობრივ ფორმებს.

დ. კრისტალის თანახმად: ,,ინტერნეტ ლინგვისტიკა სწავლობს ინტერნეტ აქტივობების ენას, მათ შორის ელექტრონული ფოსტის, ჩათ ჯგუფების, ვებ გვერდებისა და სმს შეტყობინებების ენობრივ თავისებურებებს''. (Crystal, 2005:1). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერნეტ ლინგვისტიკა იკვლევს ინტერნეტ ენის გამოხატვის თავისებურებებს ვებსაიტების, ჩათების, სოციალური ქსელების ტექსტუალურ ბაზაზე დაყრდნობით.

ლინგვისტიკაში ინტერნეტ ლინგვისტიკას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, კერძოდ: Cyberlinguistics, Netlinguistics, Computer-mediated Communication, Weblinguistics, Electronic Discourse.

ტერმინი 'electronic discourse' ეკუთვნის Davis და Brewer (1997) და Panckhurst (2006), ტერმინი 'electronic language' Collot-ის და Belmore -ის კუთვნილებაა (1996), ტერმინი 'Computer Mediated Communication' Herring-ის მიერ არის შემუშავებული (1996), ხოლო ტერმინი 'interactive written discourse' ეკუთვნის Werry-ს (1996). რაც შეეხება ტერმინებს 'Netlish', 'Weblish', 'Internet language', 'cyberspeak', 'netling', 'netspeak', ისინი Thurlow-ს მიერ არის შემუშავებული (2001), ტერმინი 'cyberlanguage'

ეკუთვნის MacFadyen, Roche და Doff-ს (2004), ხოლო ტერმინი 'virtual language' Pop-ის მიერაა შემუშავებული (2008).

ინტერნეტ ლინგვისტიკის ჩამოყალიბება ბრიტანელი ლინგვისტის დ. კრისტალის სახელს უკავშირდება. მანვე გამოიყენა თავდაპირველად ტერმინი ,,ინტერნეტ ლინგვისტიკა". დ. კრისტალმა ინტერნეტ ლინგვისტიკის საკითხების შესწავლას მიუძღვნა არაერთი ფუნდამენტური ნაშრომი, მათ შორის აღნიშვნის ღირსია: "Internet linguistics: A students guide" (სახელმძღვანელო ინტრენეტ ლინგვისტიკაში) და "Internet and Language" (ინტერნეტი და ენა).

ნაშრომში „Internet linguistics: A students guide" დ. კრისტალი განიხილავს ინტერნეტ ენისთვის დამახასიათებელ საბაზისო საკითხებს და იკვლევს ინტერნეტის განვითარების ეტაპებს.

ამერიკელი მკვლევარი მ. ვარშაუერი ზემოხსენებული ნაშრომის მიმოხილვისას აღნიშნავს: „კრისტალი ეყრდნობა თავის გამოცდილებას, რათა ნათელი მოჰფინოს მნიშვნელოვან საკითხებს, რომლებიც დაკავშირებულია ენის გამოყენებასთან ონლაინ რეჟიმში. ნაშრომი „Internet linguistics: A students guide" უნდა წაიკითხოს ყველა იმ პირმა, ვინც დაინტერესებულია გამოყენებითი ლინგვისტიკით, სოციოლინგვისტიკით და ონლაინ კომუნიკაციით.[1]

დ. კრისტალის კიდევ ერთი ნაშრომის „Language and the Internet" (,,ენა და ინტერნეტი") შესახებ საუბრობს ამერიკელი ლინგვისტი ს. თორნი: ,,ნაშრომის წინასიტყვაობაში დ. კრისტალი აღნიშნავს, რომ მას ხშირად უსვამდნენ კითხვას, თუ რა გავლენას ახდენდა ინტერნეტი ენაზე. აღნიშნულ კითხვაზე მას დიდი ხნის მანძილზე არ ჰქონდა მკაფიო პასუხი. სწორედ ამ გარემოებამ აიძულა შეესწავლა სხვადასხვა სიტუაცია, რასაც მან მოგვიანებით „ინტერნეტ სიტუაციები" უწოდა". (Thorne, 2003 :24).

ნაშრომში ,,ენა და ინტერნეტი" ინტერნეტ ენას დ. კრისტალი მოიხსენიებს ტერმინით Netspeak, თუმცა ს. თორნის მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა დ.

[1] https://www.routledge.com/Internet-Linguistics-A-Student-Guide/Crystal/p/book/9780415602716

კრისტალს გამოეყენებინა ისეთი ტერმინები, როგორიცაა: „კომპიუტერულ შუამავლობითი კომუნიკაცია“ ან „ელექტრონული დისკურსი“. დ. კრისტალი დამაჯერებლად აღწერს იმ ენობრივ ცვლილებებს, რომელიც ინტერნეტ სიტუაციებში გვხვდება, იქნება ეს გრაფიკული ელემენტები (ემოტიკონები და აბრევიატურები), ინტერნეტ ნეოლოგიზმები თუ სხვა. ს. თორნი ეთანხმება კრისტალს იმაში, რომ ინტერნეტმა წერილობითი კომუნიკაცია გრაფიკული საშუალებებით გააფართოვა და გაამრავალფეროვანა. საბოლოოდ, მკვლევარი აღნიშნავს, რომ დ. კრისტალის ნაშრომი ,,ენა და ინტერნეტი“ გვაწვდის უამრავ ახალ და სასარგებლო ინფორმაციას ინტერნეტ კომუნიკაციასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით საინტერესოა ინტერნეტ კვლევებითა და, ასევე, გამოყენებითი ლინგვისტიკით დაინტერესებული პირებისათვის, რომელთაც სურთ დააკვირდნენ ენის ცვლილებებს (Thorne, 2003:27)

ინტერნეტ ლინგვისტიკის არსის გაგებისათვის დ. კრისტალმა გამოყო ოთხი ძირითადი პერსპექტივა: **სოციოლინგვისტური, საგანმანათლებლო, სტილისტური** და **გამოყენებითი პერსპექტივა.** ეს ოთხი პერსპექტივა ეფექტურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან და ახდენს ურთიერთზეგავლენას.

სოციოლინგვისტური პერსპექტივა ეხება იმას, თუ როგორ უყურებს საზოგადოება ინტერნეტის განვითარების გავლენას ენებზე. ინტერნეტის გაჩენამ რევოლუცია მოახდინა კომუნიკაციაში მრავალი თვალსაზრისით, მან შეცვალა ხალხის კომუნიკაციის გზა და შექმნა ახალი პლატფორმები შორს მიმავალი სოციალური გავლენით. დ. კრისტალის განცხადებით, ყოველივე ეს დადებითად უნდა იქნას დანახული, რადგან აღნიშნული პროცესი ასახავს ენის შემოქმედების ძალას, მასში მიმდინარე ცვლილებებსა და საზოგადოების დამოკიდებულებას ენის მიმართ.

ინტერნეტის სოციოლინგვისტიკის განხილვა შეიძლება ხუთი ურთიერთდაკავშირებული თემით:

- მულტილინგვიზმი - ის უყურებს სხვადასხვა ენის გავრცელებას და სტატუსს ინტერნეტში;
- ენის ცვლილება - სოციოლინგვისტური პერსპექტივიდან, ენის ცვლილებაზე გავლენას ახდენს ტექნოლოგიის ფიზიკური შეზღუდვები და ცვალებადი

სოციალურ-ეკონომიკური პრიორიტეტები, ისეთი, როგორიცაა გლობალიზაცია. ის იკვლევს ლინგვისტურ ცვლილებებს დროთა განმავლობაში;

- საუბრის დისკურსი - ის იკვლევს ცვლილებებს ინტერნეტში, სოციალური ინტერაქციისა და კომუნიკაციური პრაქტიკის ფარგლებში;
- სტილისტური დიფუზია - მოიცავს ინტერნეტ ჟარგონებისა და მასთან დაკავშირებული ენობრივი ფორმების გავრცელების შესწავლას საერთო გამოყენებაში. როდესაც ენა იცვლება, საუბრის დისკურსი და სტილისტური დიფუზია ემთხვევა ენის სტილისტიკის ასპექტს;
- მეტაენა და ხალხური ლინგვისტიკა - ის გულისხმობს ინტერნეტში ენობრივი ფორმებისა და ცვლილებების ეტიკეტირებისა და განხილვის ხერხს.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს ინტერნეტის როლი საგანმანათლებლო სივრცეში. ინტერნეტის გამოყენების ზრდამ და სწრაფმა გავრცელებამ მოიტანა ახალი ენობრივი მახასიათებლები, რომლებიც მხოლოდ ინტერნეტ პლატფორმისთვისაა დამახასიათებელი. ეს მოიცავს, არაფორმალური წერილობითი ენის გამოყენების ზრდას, წერის სხვადასხვა სტილსა და სტილისტიკაში შეუსაბამობას, აბრევიატურების გამოყენებას ინტერნეტ ჩათებსა და SMS ტექსტურ შეტყობინებებში.

საგანმანათლებლო პერსპექტივა იკვლევს ინტერნეტის გავლენას ფორმალური ენის გამოყენებაზე, კონკრეტულად, სტანდარტულ ინგლისურზე, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ენობრივ განათლებაზე. საგანმანათლებლო პერსპექტივა მნიშვნელოვნად ჩამოყალიბდა ენობრივ განათლებაზე ინტერნეტის გავლენის კვლევაში. ეს არსებითი და გადამწყვეტი ასპექტია, რადგან გულისხმობს ამჟამინდელი და მომავალი სტუდენტური თაობის განათლებაზე ზეგავლენას. აკადემიურ ან ფორმალურ სიტუაციებში არაფორმალური ენის და არასწორი სიტყვების გამოყენების შესახებ შეშფოთება, საფუძვლიანია.

სტილისტური პერსპექტივა განიხილავს, თუ როგორ წაახალისა ინტერნეტმა და მასთან დაკავშირებულმა ტექნოლოგიებმა ენაში, განსაკუთრებით ლიტერატურაში შემოქმედების ახალი და განსხვავებული ფორმები. ის უყურებს ინტერნეტს, როგორც საშუალებას, რომლის მეშვეობითაც წარმოიშვა ახალი ენობრივი ფენომენი.

სტილისტური პერსპექტივა სწავლობს შემოქმედების ახალ და განსხვავებულ ფორმებს, რომლებიც გვხვდება როგორც წერილობით, ისე ზეპირ დისკურსებში.

გამოყენებითი პერსპექტივა განიხილავს ინტერნეტის ენობრივ გამოყენებას კომუნიკაციური შესაძლებლობების თვალსაზრისით. ინტერნეტის გამოყენება შეიძლება დაკავშირებული იყოს კარგ და ცუდ შედეგებთან, თუმცა გასათვალისწინებელია ის, თუ როგორ და რა მიზნით იყენებს ინდივიდი მას. (Ogunyale, 2016:9-12)

ინტერნეტ ლინგვისტიკის საინტერესო საკითხებს კვლევები მიუძღვნეს მკვლევრებმა: Collot &Belmore, 1996; Herring, 1996; Davis & Brewer, 1997; Abdullah, 1998; Crystal, 2001; 2006; Thurlow, 2001;Muniandy, 2002; Thurlow & Brown, 2003; MacFadyen, Roche, & Doff, 2004; Panckhurst, 2006; Pop, 2008;Plester, Wood, & Joshi, 2009; Sun Hong-mei, 2010; Baron, 2010; Varnhagen, McFall, Pugh, Routledge,Sumida-MacDonald, & Kwong, 2010; Jonge & Kemp, 2010; Lyddy, Farina, Hanney, Farrell, & Kelly O'Neill, 2014. არაერთი საინტერესო კვლევა აწარმოეს სლავური წარმოშობის ენათმეცნიერებმა: მ. მელნიკმა, მ. პავლოვმა, ი. ტანაბაევამ, ს. სუბოტამ და სხვებმა.

2002 წელს ა. მუნიანდის (Muniandy, 2002) მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, ელექტრონული დისკურსი კომუნიკაციის ახალი ფორმაა და პედაგოგი უნდა ფლობდეს ამ ენას.

2003 წელს ქ. ფარლოუმ და ა. ბრაუნმა (Thurlow & Brown, 2003) ჩაატარეს სოციოლინგვისტური კვლევა სახელწოდებით ,,თაობების ტექსტები?“ (‘Generation Txt?’), სადაც გაანალიზეს 544 სიტყვისგან შემდგარი კორპუსი, კერძოდ კი სიტყვათა ლინგვისტური სტრუქტურა და კომუნიკაციური როლები. კვლევამ დაადასტურა, რომ ელექტრონული დისკურსი ლინგვისტური თვალსაზრისით შთამბეჭდავი არ არის.

2008 წელს ს. ტალიამონტემ და დ.დენისმა (Tagliamonte & Denis, 2008) დაკვირვება აწარმოეს შეტყობინებების ენაზე. მათ გაანალიზეს შეტყობინებების მილიონზე მეტი სიტყვისგან შემდგარი კორპუსი. კვლევამ დაადასტურა, რომ

ინტერნეტ ენა არის ფორმალური და არაფორმალური ვარიანტების ნაზავი ჰიბრიდული ენა.

2009 წელს ბ. პლესტერმა და სხვა მეცნიერებმა (Plester.,Wood., Joshi, 2009) დაკვირვება აწარმოეს ბავშვების ქცევაზე, კერძოდ, რამდენად დამოკიდებული იყვნენ ისინი ტექსტურ შეტყობინებებზე და რა ზეგავლენას ახდენდა ეს სასწავლო პროცესში მათ მიღწევებზე. კვლევამ, ასევე, დაადასტურა, რომ გოგონები უფრო ხშირად იყენებენ ტექსტურ შეტყობინებებს, ვიდრე ვაჟები.

2010 წელს სან ჰონგ მეიმ (Sun, Hong-mei 2010) შეისწავლა ინტერნეტ ინგლისური ენის ლინგვისტური მახასიათებლები. ამავე წელს ნ. ბარონმა (Baron 2010) დაკვირვება აწარმოა ამერიკელი კოლეჯის სტუდენტების მიმოწერაზე და შეისწავლა მათი შეტყობინებები. აღსანიშნავია სამეცნიერო ნაშრომები (2013) არაბი ენათმეცნიერის აბუსაალიკისა, რომელმაც შეისწავლა ელექტრონულ წერილებში, ჩატებსა და შეტყობინებებში ინიციალიზმების ლინგვისტური მახასიათებლები.

2014 წელს ერთ-ერთი საინტერესო კვლევა ჩაატარა მკვლევართა ჯგუფმა ფ. ლიდის თაოსნობით. მკვლევრებმა ჩამოაყალიბეს ელექტრონული დისკურსის 13 ყველაზე გავრცელებული მახასიათებელი, რომელთა შორის დასახელდა: არასტანდარტული მართლწერა და სიტყვათშეთანხმებები, ემოტიკონების ხშირი გამოყენება, სიტყვათა ასოებით ან ციფრებით ჩანაცვლება და სხვა.

როგორც ვხედავთ, ინტერნეტ ლინგვისტიკა ენათმეცნიერების ერთ-ერთი ახალი დარგია განვითარების დიდი პერსპექტივებით. დღეს ინტერნეტი მსოფლიოს სთავაზობს მულტილინგვიზმს, მრავალფეროვან ინტერნეტ საზოგადოებას, რომელიც სულ უფრო და უფრო საინტერესო და ინტერაქტიული ხდება. მეტიც, იგი ხელს უწყობს ერთმანეთისგან მოშორებით მცხოვრებ ინდივიდებს სინქრონული და ასინქრონული საკომუნიკაციო საშუალებებით შეინარჩუნონ ვირტუალური კონტაქტი. ინტერნეტის ნეგატიურ მხარედ კი შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მისი გამოყენებით ხორციელდება სხვადასხვა სახის კრიმინალური აქტები (თაღლითობა, სერიული მკვლელობები, პედოფილია და სხვა).

1.3. ენა და ინტერნეტი. ინტერნეტ ენის თავისებურებები

კომუნიკაციის რაობა, მისი სახეები და დამახასიათებელი ნიშნები ოდითგანვე საინტერესო საკვლევ საკითხს წარმოადგენდა, თუმცა ოცდამეერთე საუკუნეში ლინგვისტთა ინტერესი აქამდე უცნობი სახეობის, ინტერნეტ კომუნიკაციის კვლევისაკენ წარიმართა.

ინტერნეტ კომუნიკაციამ დიდი ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებაში. დღეს უამრავ ადამიანს აქვს წვდომა ინტერნეტთან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მისი საშუალებით ჩვენ არა მხოლოდ აღვიქვამთ სამყაროს, არამედ საკომუნიკაციო ურთიერთობებს ვამყარებთ ყველა პოტენციურ მომხმარებელთან.

ინტერნეტი, როგორც საინფორმაციო და საკომუნიკაციო პლატფორმა, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მან, მედიის სხვა საშუალებებთან ერთად, მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანთა კომუნიკაციური ქცევის ფორმები. ვსაუბრობთ რა კომუნიკაციური ქცევის ახალ ფორმებზე, იმავდროულად, ვგულისხმობთ ადამიანის ვერბალური ქცევის ნორმების ცვლილებასაც. ეს პროცესი მზარდია კიბერსივრცეში და, ამდენად, მნიშვნელოვან ინტერესს იწვევს სოციო-, პრაგმა- და ფსიქოლინგვისტთა შორის. როგორც ცნობილია, ახალი გარემო ძალზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ადამიანის როგორც ზოგადად ქცევის, ასევე, ვერბალური ქცევის ფორმებზე.

ენა, რომელსაც ჩვენ ვიყენებთ ელექტრონულ კომუნიკაციაში, გამოირჩევა მკვეთრი თავისებურებებითა და მრავალფეროვნებით, თითოეული ახალდანერგილი ნიმუში უშუალო კავშირშია საზოგადოებასთან, რადგან სწორედ მომხმარებლები არიან ისინი, ვინც ქმნიან და ავრცელებენ ახალ ტერმინოლოგიას. ყოველდღიური, სტანდარტული ენა ონლაინ საკომუნიკაციო ენისაგან მრავალი ასპექტით განსხვავდება და ის მეტად საინტერესო და მრავალფეროვან ლინგვისტურ ფენომენს წარმოადგენს.

ხ. ბაბუნაშვილი ნაშრომში „ენა და ინტერნეტი“ გვთავაზობს ტერმინ **„ინტერნეტ ენის“** ოთხ სხვადასხვა მნიშვნელობას:

1. ბუნებრივი ენა, რომელიც გამოიყენება ინტერნეტში (მაგალითად, ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდები და ა.შ.);

2. სპეციალური კოდების სისტემა ინტერნეტ კომუნიკაციის წარმოებისთვის;

3. ბუნებრივი ენა, კოდირების სისტემა ან ინტერფეისი, რომელიც გამოიყენება გლობალურ ქსელში ინფორმაციის შესაკრებად;

4. სპეციალური ტერმინი, რომელიც გამოიყენება ინტერნეტზე საუბრისას.

ნაშრომის ავტორი, ტერმინში „ინტერნეტის ენა“ გულისხმობს პირველს, ე.ი. ბუნებრივ ენას, რომელსაც დ. კრისტალი უწოდებს Netspeaks-ს, ხოლო სხვა ლინგვისტები „კომპიუტერით განხორციელებულ კომუნიკაციას“ (შეტყობინების გაგზავნა ან მიღება კომპიუტერის საშუალებით ე.ი. წერილობითი ფორმის კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება ინტერნეტით) (ბაბუნაშვილი, 2014 : 30.)

დ. კრისტალი ინტერნეტ ენაზე საუბრისას მიმართავს ტერმინს „Netspeak”, რომელშიც გულისხმობს იმ ლექსემებს, კოდურ სიტყვებს თუ გრაფიკულ ფორმებს, რომელსაც ადგილი აქვს ონლაინ კომუნიკაციისას. დ. კრისტალმა ტერმინი „Netspeak” შექმნა ჯ. ორუელის მიბაძვით. რომანში ,,1984“ მწერალი იყენებს სიტყვებს: “Oldspeak” და “Newspeak”. - speak არის სუფიქსი, რომელიც ნიშნავს ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის მიერ გამოყენებულ ენას, ჟარგონს ან აბსურდულ სიტყვას. რაც შეეხება სუფიქსს - speak ტერმინში „Netspeak”, ფართო მნიშვნელობა აქვს და გულისხმობს ,,წერას“, ,,საუბარს“, ,,მოსმენას“ და ,,კითხვას“ (Crystal, 2006:19).

ტერმინის „Netspeak“ სინონიმურ ტერმინებად ითვლება: Netlish, Cyberlish, Weblish, Netlingo, ელეტრონული ენა, კიბერმეტყველება, ციფრული ენა, ინტერაქტიული წერილობითი დისკურსი, ელექტრონული დისკურსი, ელექტრონული შუამავლობითი კომუნიკაცია (EMC), კომპიუტერული შუამავლობითი დისკურსი (EMD) და კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაცია.

მკვლევრები ქ. ფარლოუ, ლ. ლენგელი და ა. ტომიკი ტერმინს „Netspeak” განსაზღვრავენ, როგორც ენას, რომელიც ონლაინ კომუნიკაციის დროს გამოიყენება (Thurlow, 2004:249).

აღსანიშნავია, რომ ეს დეფინიცია ძალიან ახლოსაა დ. კრისტალის შემდეგ განმარტებასთან: „ენის ტიპი, რომელიც გამოიყენება ინტერნეტში საუბრისას და გვხვდება ზეპირი და წერილობითი სახით“ (Crystal, 2006:20).

ტერმინები: Cyberlish, Weblish, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, Netspeak-ის სინონიმური სიტყვებია, თუმცა თუკი უკეთ დავაკვირდებით, აღმოვაჩენთ, რომ Cyber+English (კიბერ + ინგლისური) და Web+English (ვებ+ ინგლისური) უფრო ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენება, მაშინ როცა, Netspeak ფართო მნიშვნელობის ტერმინია და არ შემოიფარგლება რომელიმე ერთი ენით (Danet & Herring, 2005).

Netspeak-ის ალტერნატიული ტერმინი, რომელიც, ასევე, ფართოდ გამოიყენება, არის „კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაცია“ (CMC). ტერმინი თავის თავში აერთიანებს სამ სიტყვას: კომპიუტერი, შუამავალი და კომუნიკაცია. ,,კომპიუტერი ‘’ ელექტრონული მანქანაა, რომელიც გადასცემს ან იღებს მონაცემებს/ინფორმაციას; ზმნა „შუამავლობა“ აღნიშნავს პროცესს, რაც გულისხმობს ორ ან მეტ მხარეს შორის კავშირის შექმნას, ხოლო სიტყვა ,,კომუნიკაცია’’ აღნიშნავს ურთიერთკავშირს ორ ან მეტ ადამიანს შორის. ამრიგად, კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაცია (CMC) გულისხმობს კომპიუტერული ტექნოლოგიების მეშვეობით მიღწეულ ნებისმიერ ადამიანურ კომუნიკაციას.

კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაციის (CMC) განმარტებისას მსგავს მოსაზრებას გვიზიარებს მკვლევარი ს. ჰერინგიც : „კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაცია არის ერთგვარი ადამიანური კომუნიკაცია, რომელიც ხორციელდება კომპიუტერის საშუალებით“ (Herring, 1996:3).

დიგიტალურ სამყაროში ინტერნეტ ენა მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენაა, რომლის უნიკალურობა გამოიხატება მის მრავალ სახეობაში. ქვევით დავახასიათებთ ინტერნეტ ენის ძირითად სახეებს, რომელიც წარმოდგენილია ვ. ოგუნაილის კვლევაში ,,ინტერნეტ ენის ლინგვისტური ანალიზი“.

ინტერნეტ ენის სახეობებია: **Lolspeak, Leetspeak, Textspeak, Chatspeak.**

ტერმინი **Lolspeak** წარმოადგენს ინტერნეტ აკრონიმს და ნიშნავს: Laugh out Loud (იცინეთ ხმამაღლა). ინტერნეტ ენის ეს სახეობა მეოცე საუკუნის შუა ხანებში

გავრცელდა რეკლამის სახით. რეკლამაში ნაჩვენები იყო ნაცრისფერი კატა, რომელსაც პირი ნახევრად ღია ჰქონდა, თვალები ,,წყლიანი“ და მის ზემოთ ჩანდა სიტყვები: “I CAN HAS CHEESEBURGER? “ ეს რეკლამა ელვის სისწრაფით გავრცელდა ონლაინ, ხოლო ამ არასტანდარტული ინგლისური ენით დაწერილმა ტექსტმა ბევრი ინტერნეტ მომხმარებელი გააცინა.

Lolspeak იგივე Lolcatspeak/ kittyspeak, საინტერესო ენობრივი ფორმაა, რომელიც შექმნილია, ძირითადად, ინგლისურენოვანი მოსაუბრეების მიერ, რომელთა განზრახვა სახალისო ტექსტების შექმნაა. ტექსტები არასტანდარტული ინგლისურით და იუმორისტული კონტენტით გამოირჩევა.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ Lolspeak-ის სხვა ლინგვისტური თავისებურებებიც, ეს არის მეტყველების ტიპი, რომელიც შეიცავს გრამატიკულ შეცდომებს. განსხვავებულია წინადადების სტრუქტურა, სიტყვების მართლწერა (hai, bai, mai ნაცვლად Hi, bye, my), წინადადებებში შესამჩნევია არსებით სახელსა და ზმნას შორის შეუთანხმებლობა (I is not a mallow, I can has cheeseburger, They be stealing).

Lolspeak ინტერნეტ ენის შემადგენელი ნაწილია, რომელიც თავის თავში აერთიანებს ინტერნეტ სივრცეში არსებულ აკრონიმებს, აბრევიატურებს, ემოტიკონებსა და ჟარგონებს (Ogunyale, 2016:17). ინტერნეტ ენის ეს სახეობა მეტად პოპულარულია დასავლეთის ქვეყნების ინტერნეტ მომხმარებელში.

Leetspeak არის Netspeak-ის კიდევ ერთი სახე, ინტერნეტში გამოყენებული არაფორმალური ენა, რომელიც მიზნად ისახავს სტანდარტული ლათინური ასოებით დაწერილი ტექსტის შეცვლას ციფრების ან სიმბოლოების საშუალებით.

Leetspeak ერთგვარი არგოა, საიდუმლო ენაა, რომელიც დამახასიათებელია ჰაკერებისთვის და განზრახ შექმნილია ისე, რომ ახალბედებისთვის ტექსტი უცნაურად და გაუგებრად გამოიყურებოდეს.

Leetspeak-ის ერთ-ერთი ენობრივი მახასიათებელია მისი უნიკალური მიდგომა ორთოგრაფიისადმი, ლათინური ასოების ჩანაცვლება ASCII სიმბოლოებით და ციფრებით. Leetspeak ასევე შეიცავს ინოვაციურ მორფოლოგიურ მახასიათებლებს, როგორიცაა -xor სუფიქსის გამოყენება, ასევე Z ასო-ბგერის გამოყენება მრავლობით

რიცხვში, S-ს ნაცვლად. უფრო მეტიც, leet, როგორც წესი, არ ემყარება ერთ ენას ან ერთ სიმბოლოს. Leet-ის მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს რუსული, გერმანული, ბერძნული და სხვა ენების სიმბოლოები ინგლისურ წინადადებაში (Ogunyale, 2016: 18). ინტერნეტ ენის აღნიშნული სახეობა 1980-იან წლებში შეიქმნა და დღემდე არ კარგავს აქტუალობას.

ინტერნეტ ენის მომდევნო სახე არის **Textspeak.** ჯ. სათერლენდის თანახმად: „Textspeak არის სუსტი და უფანტაზიო, დისლექსიის, ცუდი მართლწერისა და გონებრივი სიზარმაცის ჩამოყალიბების წინაპირობა“. განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს ქ. ტურლოვი, რომელიც Textspeak-ს, კომუნიკაციურად ადაპტირებულ და ლინგვისტურად კრეატიულს უწოდებს. (Sutherland, 2002:32).

ჯ. ჰამფრისი იმავე ფენომენის შესახებ ამბობს: ''Textspeak აბსურდული, გროტესკული და კომუნიკაციისათვის ბარიერის წარმომქმნელია. მისი მომხმარებლები ვანდალები არიან, რომლებიც ცდილობენ ენას იგივე გაუკეთონ, რაც ჩინგიზ ყაენმა თავის მეზობლებს 800 წლის წინ'' (Humphrys, 2007:34).

Textspeak გამოირჩევა მრავალფეროვნებით, რაც აისახება ემოტიკონებისა და ტიპოგრაფიული სიმბოლოების სიმრავლეში. ასევე, მრავლად ვხვდებით ლოგოგრამებს (b4, 2day, zzz) და სილაბოგრამებს (c- see; u-you; l8r-later). შეიმჩნევა სიტყვების დამოკლების, შემოკლების და კვეცის მაგალითები: sun-Sunday, nxt-next, makin-making.

Textspeak-ს ახასიათებს არასტანდარტული მართლწერა, რაც გულისხმობს წერის ნორმების დარღვევას, შეცდომებსა და არასწორ ენობრივ ფორმებს (Sum/some). Textspeak-ის დროს ვხვდებით ონომატოპური მართლწერის ნიშნებსაც:'' zzzzzz'' (დაღლილობის, ძილიანობის, მოწყენილობის აღმნიშვნელი). გარდა ამისა, ხშირია აპოსტროფის გამოტოვებაც ''cant''.

ამგვარად, Textspeak წარმოადგენს ინტერნეტ ენას, სავსეს აბრევიატურებითა და სლენგური გამოთქმებით, რომელთა გამოყენება, ძირითადად, მობილური ტელეფონებით, ტექსტური შეტყობინებების გაგზვნისას ხდება. რაც შეეხება **Chatspeak**-ს, ეს ის ენაა, რომელიც გამოიყენება ონლაინ ინტერაქციის დროს ისეთი

სოციალური ქსელებით, როგორიცაა: Facebook, Whatsapp, 2go და სხვა (Ogunyale, 2016: 20). **Chatspeak** ინტერნეტ სივრცეში გავრცელებული არაფორმალური წერის სტილია, რომელიც, ასევე, ხასიათდება შემოკლებებით, აკრონიმებითა და სლენგური გამონათქვამებით.

ამავე ქვეთავში გვსურს შევეხოთ საკითხს იმის შესახებ, ინტერნეტ ენა **მეტყველებაა** თუ **წერილობითი** ფორმა?

ამ საკითხთან დაკავშირებით ლინგვისტთა მოსაზრებები არაერთგვაროვანია. ერთნი მას სამეტყველო ფორმად მიიჩნევენ. მეორენი თვლიან, რომ ინტერნეტ ენა წერილობითია; მესამე შეხედულება ეკუთვნის დ. კრისტალს, რომლის აზრით, ინტერნეტ ენა ჰიბრიდულია. სწორედ ეს მოსაზრება დომინანტია ლინგვისტურ სამეცნიერო ლიტერატურაში და მას იზიარებენ მკვლევრები: ნ. ბარონი, მ. კოლოტი და ნ. ბელმორი. არსებობს მეოთხე, მაგრამ რადიკალურად განსხვავებული შეხედულება, რომლის თანახმად ინტერნეტ ენა დამოუკიდებელი მედიუმია.

ნ. ბარონის (Baron, 2000) მიხედვით, ელექტრონული წერილები წარმოადგენს ზეპირი და წერილობითი ენის ნაზავს, ე.წ. ,,ჰიბრიდულ ენას". ამ საკითხის შესახებ კვლევაში ნ. ბარონი წერდა: "CMC was essentially a mixed modality. It resembled speech in that it was largely unedited; it contained many first- and second-person pronouns; it commonly used present tense and contractions; it was generally informal; and CMC language could be rude or even obscene (Baron, 2000:48) (კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაცია შერეული ბუნებისაა. ის გავს ზეპირ მეტყველებას, რადგან ხშირად გამოიყენება პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები. ამ სახის კომუნიკაციის დროს გვხვდება აწმყო დრო და შემოკლებები, არაფორმალური ენა, რაც შესაძლებელია შეიცავდეს უხეშ და უწმაწურ ლექსიკას - თარგმანი ეკუთვნის ა. ა-ს)

მსგავსი აზრი იყო დაფიქსირებული მ. კოლოტის და ნ. ბელმორის (Collot, Belmore, 1996) კვლევაშიც, სადაც ისინი მიუთითებდნენ ელექტრონული წერილების ორგვარ - ზეპირ და წერილობით ბუნებაზე. ს. ტალიამონტე და დ. დენისიც (Tagliamonte & Denis, 2008) კვლევის დროს იმავე აზრამდე მივიდნენ და თვლიან, რომ ინტერნეტ ენა ატარებს, ერთი მხრივ, არაფორმალური ზეპირი მეტყველების, მეორე

მხრივ, ფორმალური წერილობითი მეტყველების ლინგვისტურ მახასიათებლებს (Ogunyale, 2016: 32).

თავდაპირველად დ. კრისტალი ფიქრობდა, რომ ინტერნეტ ენა წერილობითი ფორმა იყო, მაგრამ მოგვიანებით აღიარა, რომ იგი ჰიბრიდულ ენას წარმოადგენდა: ,,selectively displays properties of both speech and writing.“ (Crystal, 2006:31)

ინტერნეტ ჩატის შესწავლისას ქ. უერიმ ჩატში გამოყენებული ენა დაახასიათა, როგორც „ინტერაქტიული წერილობითი დისკურსი“. მან აღნიშნა, რომ ინტერნეტ ჩატის ენა მეტყველებას უფრო ჰგავს, ვიდრე წერას (Werry, 1996:61).

ამ მოსაზრებას იზიარებს კომპიუტერული შუამავლობითი კომუნიკაციის ერთ-ერთი ადრეული მკვლევარი ს. ჰერინგი. იგი ამტკიცებს, რომ ,,კომპიუტერულ შუამავლობითი დისკურსი არის ენობრივი ფორმა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოებულია წერილობითი საშუალებებით, ხშირად შეიცავს ზეპირსიტყვიერების მახასიათებლებს” (Herring, 1996:617).

ზოგიერთი მკვლევარი ინტერნეტ ენას განიხილავს, როგორც სრულიად ახალ მედიუმს. ამ შეხედულების პირველი მხარდამჭერი დ. კრისტალი ნაშრომში „ენა და ინტერნეტი“ ამბობს: “Netspeak is more than an aggregate of spoken and written features. It does things that neither these mediums do, and most accordingly be seen as a new species of communication. Netspeak is a genuine third medium (Crystal, 2006:52) (ინტერნეტ ენა უფრო მეტია, ვიდრე სალაპარაკო და წერილობითი მახასიათებლების ერთობლიობა და, შესაბამისად, უნდა განიხილებოდეს, როგორც კომუნიკაციის ახალი სახეობა. ინტერნეტ ენა აკეთებს იმას, რასაც ვერც ერთი სხვა საშუალება, ამდენად, იგი მესამე და სრულიად ახალ მედიუმად/საშუალებად უნდა ჩაითვალოს - თარგმანი ეკუთვნის ა.ა-ს).

ქ. ფარლოუ (Thurlow, 2004) ეწინააღმდეგება დ. კრისტალს, ამბობს რა, რომ ძალიან ადრეა ინტერნეტ ენას მივაკრათ ,,ახალი ენობრივი ფორმის/მედიუმის/საშუალების“ იარლიყი.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ დ. კრისტალის მოსაზრებას და ვთვლით, რომ ინტერნეტ ენა ახალი საკომუნიკაციო მედიუმია, რომელიც აერთიანებს წერილობითი

და ზეპირი მეტყველების ელემენტებს, ქმნის ახალ ლინგვისტურ ფორმებს და მუდმივად ვითარდება ტექნოლოგიებთან ერთად.

ინტერნეტ ენის შინაარსის გაგება შესაძლებელია კონკრეტული სიტუაციის გათვალისწინებით:

1) გზავნილის ფუნქცია / მიზანი:

მიზნები, რომლის გამოც ყოველდღიურად მილიონობით წერილი იგზავნება ინტერნეტით, მრავალფეროვანია. სწორედ წერილის მიზანი განსაზღვრავს მის სტილს. მაგალითად, ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებულია მეგობრისთვის მიწერილი წერილი და სამსახურის თაობაზე შევსებული აპლიკაცია.

2) ტექნიკური შესაძლებლობები:

ტექნიკური მოწყობილობა, რომლითაც ენა ვრცელდება, მოქმედებს მის ფორმაზე და, შესაძლოა, შინაარსზეც. მაგალითად, ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი წერილი ძალიან გავს ტრადიციულ ნაბეჭდ ტექსტს. გამგზავნი წერისას არაა შეზღუდული დროში, შეუძლია შეასწოროს და შემდეგ გააგზავნოს. სინქრონული - სწრაფი გზავნილები (IM) კი პირისპირ კომუნიკაციის მსგავსია. გზავნილის გადაცემა მყისიერია. სინქრონული წერილები, როგორც წესი, მოკლე და გაუსწორებელია. მათზე გავლენას ახდენს აგრეთვე იმ ტექნიკური მოწყობილობის შესაძლებლობები, რომელზეც იქმნება გზავნილი.

3) სპეციალური ლინგვისტური თავისებურებები:

Netspeak-ისათვის დამახასიათებელია: ღიმილაკები, აკრონიმები, აბრევიატურები, შემოკლებული ფორმები, აპოსტორფის გამოტოვება, ორთოგრაფიული შეცდომები. მათი გაშიფვრა და შინაარსის გაგება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალურად, კონკრეტული ინტერნეტ სიტუაციის გათვალისწინებით.

შემოკლებული ფორმები, აპოსტროფის გამოტოვება და სხვა არასტანდარტული მახასიათებლების ჭარბი რაოდენობა ინტერნეტ ენაში სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული:

- მომხმარებელთა გარკვეული ნაწილისათვის კონკრეტული ენა არ არის მშობლიური, ამიტომ არსებული შეცდომები ბუნებრივია;
- ზოგიერთი ენა არ არის სილაბური წყობის და ეს თავისთავად ართულებს სიტყვების მართლწერას. ზოგჯერ სიტყვა ისე არ იწერება, როგორც წარმოითქმის;
- გარკვეული ენები სავსეა ომონიმებით, რაც იწვევს მომხმარებლის დაბნეულობას;
- შესაძლოა მართლწერის შეცდომები დაკავშირებული იყოს არა ენობრივ კომპეტენციასთან, არამედ ტექნიკურ საკითხებთან, ტექნოლოგიის გაუმართაობასთან, დროის ფაქტორთან და ა.შ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ წარმოდგენილი ნიმუშები არათუ მართლწერის შეცდომებია, არამედ ისინი შესაძლოა ჩავთვალოთ, როგორც ახალი - ინტერნეტ ენა და მისთვის დამახასიათებელი ნიშნები.

4) მონაწილეთა პიროვნულება

კომუნიკაციის მონაწილეთა პიროვნული თვისებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გზავნილის სტილზე (ბაბუნაშვილი, 2014:31).

ამგვარად, ინტერნეტ ენა წარმოადგენს თანამედროვე კომუნიკაციის უნიკალურ ფენომენს, რომელიც ასახავს ციფრული ეპოქის გავლენას ენაზე. იგი გამოირჩევა სიმარტივით, სისწრაფითა და დინამიურობით. ინტერნეტ ენა აერთიანებს წერილობითი და ზეპირი მეტყველების ელემენტებს და ქმნის ახალ ლინგვისტურ საკომუნიკაციო საშუალებას.

თავი II. YouTube - ის ვიდეო კომენტარებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები

2.1. YouTube ვიდეო კომენტარების კლასიფიკაცია

კომპიუტერულ შუამავლობითი კომუნიკაციის ერთ-ერთი საშუალება - ვიდეო კომენტარი წარმოადგენს ტექსტს, რომლის მეშვეობითაც ინტერნეტ მომხმარებელს შეუძლია განმარტების, შენიშვნის, კრიტიკული აზრის დაფიქსირება, დადებითი ან უარყოფითი ემოციის გამოხატვა ამა თუ იმ ვიდეოს მიმართ.

ვიდეო კომენტარი შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის: კომპლიმენტის შემცველი, შექებითი, დამცინავი, ირონიული, სარკასტული, ცინიკური, აგრესიული უცენზურო სიტყვების ან თუნდაც მუქარის შემცველი.

კომენტარის სახეს განაპირობებს ვიდეოს შინაარსი და ინტერნეტ მომხმარებლის დამოკიდებულება საკითხისადმი. მკვლევარი ვ.კანგასპუნტა ნაშრომში „ინტერნეტ მომხმარებელთა მიზეზები ონლაინ ახალი ამბების კომენტარების გაკეთებისას“ აღნიშნავს, რომ კომენტარის სახეს შემდეგი სამი რამ განაპირობებს. ესენია: გენდერული, პოლიტიკური და წინარე ფონური ფაქტორები.

ვ. კანგასპუნტას მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, კომენტარების გაკეთების მიზეზი სხვადასხვაა: 1) თემით / საკითხით დაინტერესება; 2) ვიდეოში წარმოდგენილი ინფორმაციის არასანდოობა; 3) პროვოცირების სურვილი; 4) სახალისო ვიდეოზე საკუთარი აზრის დაფიქსირების სურვილი; 5) სხვა ინტერნეტ მომხმარებლის ქმედებით აღძრული ნეგატიური გრძნობის წარმოჩენა (Kangaspunta, 2021:7).

ვ. კანგასპუნტას მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ონლაინ კომენტარის ხასიათსა და სახეზე გავლენას ახდენს ინტერნეტ მომხმარებლის სქესი, ასაკი, განათლება, ინდივიდუალური თუ სიტუაციური ფაქტორები.

იმავე საკითხთან დაკავშირებით მკვლევარი რ. ბარნესი წერს: ,,კომენტარის გაკეთების დროს ინტერნეტ მომხმარებლის მიზანია საკუთარი აზრის წარმოჩენა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და თავისი აზრის სხვებისთვის გაზიარება, მისი ემოციური ფონის გამოვლენა'' (Barnes, 2015:823).

რ.ბარნესის აზრს იზიარებს მკვლევარი ნ. ნაგარი, რომლის თანახმად, „კომენტარის ფუნქციაა წარმოაჩინოს ამა თუ იმ ადამიანის აზრი ვიდეოში ნაჩვენები ფაქტის, ახალი ამბის ან ადამიანის მიმართ'' (Nagar, 2011:52).

მკვლევარი ჯ.მატიკანიც საუბრობს ინტერნეტ მომხმარებლების მიერ ონლაინ კომენტარების გაკეთების მიზეზებზე. ესენია: 1) ინტერნეტ მომხმარებლის სურვილი, გამოხატოს საკუთარი აზრი; 2) ინტერნეტ მომხმარებლის სოციალიზაციის სურვილი (კონტაქტის დამყარება სხვა ადამიანებთან); 3) ონლაინ რეჟიმში საკუთარი იდეოლოგიის წარმოჩენა. (Matikainen, 2011: 56)

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენი საკვლევი ობიექტი YouTube-ის ვიდეო კომენატრებია, ჩვენ ვკონცენტრირდებით მის დამახასიათებელ თავისებურებებზე:

ვიდეო კომენტარის ყველაზე ცნობილ სახედ მიჩნეულია YouTube-ის ვიდეო კომენტარები. YouTube წარმოადგენს ინტერნეტ საიტს, სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ ატვირთონ და ერთმანეთს გაუზიარონ მრავალფეროვანი ვიდეო მასალა: მუსიკალური, კინო და სატელევიზიო კლიპები, სამოყვარულო თუ ორიგინალური ვიდეოები. ამავე დროს, ინტერნეტ მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს კომენტარების სახით დააფიქსიროს საკუთარი აზრი და შეაფასოს ნანახი.

YouTube - არხი 2005 წელს დაარსდა. მან მრავალწლიანი განვითარების ეტაპი გაიარა და დღეს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს. YouTube რიგით მეორე ყველაზე პოპულარული ვებ გვერდია google-ის შემდეგ და წინ უსწრებს ისეთ სოციალურ ქსელებს, როგორებიცაა: ფეისბუკი, ვიკიპედია, ტვიტერი[2].

YouTube ვიდეო კომენტარების ბუნების შესახებ არაერთი მეცნიერული კვლევაა ჩატარებული. ერთ-ერთი კვლევა ეკუთვნის მ. ფელველს (Thelwall), რომელმაც მიზნად დაისახა გამოეკვლია YouTube-ზე განთავსებული კომენტარების სიგრძე, თემატიკა და ის შეგრძნებები, რომელსაც ეს კომენტარები ბადებდნენ ინტერნეტ მომხმარებლებში. გ. ჩაცოპოლოსა (Chatzopoulou) და მკვლევართა ჯგუფის მიერ 2010 წელს შესწავლილ იქნა 37 000 000-ზე მეტი ვიდეო, რომლის დროსაც მკვლევრებმა გამოიყენეს რაოდენობრივი მეთოდი და გააანალიზეს ნახვების,

[2] (https://www.semrush.com/website/top/)

ინტერნეტ მომხმარებლების მიერ დატოვებული კომნეტრებისა და მათ მიერ მიცემული რეიტინგის რაოდენობა. მკვლევარმა პ.ლანგმა (Lange 2007) ჩაატარა კომენტარების თვისებრივი კვლევა, რომლის შედეგად YouTube მომხმარებელთა შორის რთული ინტერაქციის ნიმუშები გამოავლინა.

მკვლევარმა თ. ვარგამ (Varga 2009) YouTube-ის ვიდეო კომენტარები ლინგვისტურ ჭრილში გააანალიზა და თავის ნაშრომში მოგვცა ვიდეოზე დატოვებული კომენტარების თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის ანალიზი. მკვლევრებმა ქ. კნაუცმა და ვ. სტოკმა (Knautz & Stock 2011) ჩაატარეს ექსპერიმენტები, რომელთა საშუალებითაც მოახდინეს იმ ემოციების კლასიფიცირება, რომელიც საიტზე განთავსებულ ვიდეოთა კომენტარებში შეინიშნებოდა. ერთ-ერთი საინტერესო კვლევა ეკუთვნის ქ. სუის (Sui, 2022). ნაშრომში „Measurement and Sentiment Analysis of YouTube Video Comments" მან გამოიკვლია YouTube - ზე განთავსებულ ვიდეოებზე მიწერილი ნეგატიური, არაჯანსაღი კომენტარები.

ლ. ვენერის თანახმად, ვიდეო კომენტარებს ოთხი მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს: ზედამხედველობა/მეთვალყურეობის, გასართობი, ინტერპერსონალური და სოციალური ურთიერთობის დამყარების (Wenner, 1986:45).

YouTube-ის ვიდეო კომენტარებს ახასიათებს ზემოთ ჩამოთვლილი ოთხივე ფუნქცია: **ზედამხედველობის / მეთვალყურეობის ფუნქცია**, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიღებას ვიდეო კომენტარიდან პასიური ან აქტიური მონაწილეობის გზით. **გასართობი ფუნქციის** მატარებელია ის კომენტარი, რომელიც ემსახურება რეალური ცხოვრებისგან თავის დაღწევას და მომხმარებლის გართობას. კომენტარების **ინტერპერსონალური ფუნქცია** გულისხმობს ინფორმაციის მიღება-გაზიარებას თავად მომხმარებლებს შორის და ბოლოს, **სოციალური ფუნქციის** მატარებელი კომენტარი უშუალო კავშირშია სოციალურ თემებთან. ინტერნეტ მომხმარებელი კომენტარის დაფიქსირებისას თავს გრძნობს ამ საზოგადოების წევრად და კონტექსტის შესაბამისად რეაგირებს სხვათა რეაქციებზე (ახვლედიანი, 2020:34).

Youtube-ის ვიდეო კომენტარის ფუნქციის უკეთ გასააზრებლად მას შევადარებთ კინოს. შედარებისას ვამჩნევთ, რომ როგორც მაყურებელი კინოში - ყვირილით, შეძახილებით, ოვაციებით ცდილობს გამოხმაურებას, საკუთარი აზრის სხვებისთვის გაზიარებას, ასევეა ვიდეო კომენტარებშიც. კრიტიკის, პირადი აზრის დაფიქსირებით ან მსჯელობით, მომხმარებლები ცდილობენ საკუთარი აზრი გაუზიარონ სხვებს. შესაძლებელია კომენტარში წარმოდგენილი აზრი სრულებით არ იყოს მისაღები, მაგრამ ეს მანიფესტაცია, მსგავსად ყვირილისა, შეძახილებისა თუ კრიტიკისა, გარკვეულ ზეგავლენას ახდენს სხვა ინტერნეტ მომხმარებელზე.

YouTube-ის ვიდეო კომენტარების სრულფასოვნად დასახასიათებლად საჭიროა განვიხილოთ YouTube-ის, როგორც ვებ-საიტის ტექნიკური მახასიათებლები, ხოლო შემდეგ განვსაზღვროთ ვიდეო კომენტარების ლინგვისტური ასპექტები.

- უპირველეს ყოვლისა, ვიდეო კომენტარები ინტერნეტ მომხმარებლებისთვის არ წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, რომლითაც ისინი მოქმედებენ ან რეაგირებენ YouTube-ის ვებ-გვერდზე. კომენტარების გარდა არსებობს რამდენიმე სხვა ვარიანტიც, ესენია: არხის კომენტარები, პირადი შეტყობინებები, ნაკადი ჩათები და ჯგუფური პოსტები.
- მეორე, YouTube-ზე ტექსტური კომენტარები ექვემდებარება გარკვეულ კონტროლს, რაც გულისხობს იმას, რომ ვიდეოს მფლობელი საშუალებას აძლევს სხვა მომხმარებელს განათავსოს კომენტარი და შეაფასოს იგი სურვილისამებრ, თუმცა თავად ვებ-საიტი YouTube გარკვეულ კონტროლს უწევს მას. იგი მხოლოდ აჩვენებს იმ კომენტარებს, რომლებიც მოიპოვებენ - 5 ქულას ან პირიქით. შეფასებითი სისტემა მარტივია: ნებისმიერ რეგისტრირებულ მომხმარებელს შეუძლია დააჭიროს თითის ზემოთ ან ქვემოთ ჩამოვარდნის ღილაკს, რომელიც ტოლია +1 ან -1 ქულას. შესაბამისად, დადებითი თუ უარყოფითი შედეგის მიღება, დამოკიდებულია მომხმარებლის კომენტარის შეფასებაზე.
- მესამე, YouTube არხზე ტექსტური კომენტარები წარმოდგენილია განსაკუთრებული წყობით. აღსანიშნავია, რომ იგი არ არის განსაზღვრული მომხმარებლის მიერ და მისი დარეგულირება ხდება კომენტარების საერთო

რაოდენობის მიხედვით. თუ ვიდეოს ყველა კომენტარი ერთ გვერდზე გამოისახება, მაშინ კომენტარები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ჩნდება (მაგ. უახლესიდან ძველამდე).

- მეოთხე, მონიტორინგის, წაშლისა და გამოქვეყნების მიზნით, მომხმარებელს შეუძლია აკონტროლოს ვიდეოზე მის მიერ ატვირთული ყველა კომენტარი და ასევე, სურვილის შემთხვევაში წაშალოს კიდეც. მომხმარებელის მსგავსად, ვიდეოს ავტორსაც აქვს უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ ან უკმაყოფილების შემთხვევაში, წაშალოს კომენტარი ვიდეოსთან დაკავშირებით (Varga, 2009:15).

ბუნებრივია, არსებობს სხვა შეზღუდვებიც. რეგისტრირებული მომხმარებლებისა და ვიდეო მფლობელების თვითზომიერების გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კომენტარების რიცხვს. YouTube არ ზღუდავს კომენტარების რაოდენობას, მაგრამ, როდესაც ერთი მომხმარებლისგან კომენტარები ძალიან ხშირია, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, პოტენციური სპამის თავიდან აცილების მიზნით, სინამდვილის უტყუარობისათვის იგი მოითხოვს დამადასტურებელ კოდს. ასევე, ვიდეო მფლობელს საშუალება ეძლევა აირჩიოს ფუნქცია „გამორთული'' ან სხვა ალტერნატიული გზა, რომლის საშუალებითაც თავად გასცემს ნებას ინდივიდუალური შეტყობინებების გამოჩენასთან ან დამალვასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული დახასიათება წარმოდგენას გვიქმნის YouTube-ის მუშაობის მექანიზმზე, თუმცა ტექნიკურ მახასითებლებთან ერთად, მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ YouTube-ის ვიდეო კომენტარების ლინგვისტური თავისებურებები, რომლებიც მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

ვიდეო კომენტარებზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ მომხმარებლები კომენტარების განთავსებისას მიმართავენ როგორც ფორმალურ, ასევე, არაფორმალურ, სტანდარტულ და არასტანდარტულ ენას, სტილისტურ ხერხებსა და ემოციურ სიტყვებს, რითაც აღძრავენ დადებით ან უარყოფით გრძნობებს.

მეტი თვალსაჩინოებისათვის გადავწყვიტეთ შემოგვთავაზოთ კლასიფიკაციის სქემა, რომელიც შედგენილია მეცნიერთა ჯგუფის მიერ ა. მედენის (Madden), ი.

რაფენის (Ruthven) და დ. მაკმენემის (Mcmenemy) შემადგენლობით. აღნიშნული სქემა გვთავაზობს კომენტართა სახეებს. მათ ჩვენ ნაწილობრივ ვიზიარებთ. სქემა შედგება 6 კატეგორიისაგან, რომლებიც ეხება კომენტართა ძირითად კლასებს და მათ ქვეკატეგორიებს (Madden., Ruthven., Mcmenemy, 2013:8).

კატეგორია **Category**	**ქვეკატეგორია** **Subcategory**	**აღწერა** **Description**
საინფორმაციო /გარკვეული ინფორმაციის მიმწოდებელი **Information**	General information ზოგადი ინფორმაციის მიწოდება	ნებისმიერი კომენტარი, რომელიც გვაწვდის ფაქტობრივ / არაფაქტობრივ ინფორმაციას ვიდეოსთან დაკავშირებით
	Request მოთხოვნა	კომენტარი, რომლის საშუალებითაც ხდება რაიმეს ახსნა; კომენტარი, რომელიც დამატებითი ინფორმაციის მიწოდებას მოითხოვს.
	Make comparison შედარების გაკეთება	კომენტარი, რომელიც საგნების ან ადამიანების შედარებას ემსახურება
Advice **რჩევა**	Request მოთხოვნა	კომენტარი, რომელშიც ადამიანი დახმარებას/რჩევას ითხოვს
	Give advice რჩევის მიცემა	კომენტარი, რომელშიც ინტერნეტ მომხმარებელი სხვა ინტერნეტ მომხმარებელს სთავაზობს დახმარებას ან აძლევს რჩევას

	Recommend another video სხვა ვიდეოზე რეკომენდაცია	კომენტარი, რომლითაც კომენტარის ავტორი რეკომენდაციას უწევს სხვა ვიდეოს
Expression of personal feelings and Opinions **საკუთარი აზრებისა და გრძნობების გამოხატვა**	Request მოთხოვნა	კომენტარი, რომლის საშუალებით ინტერნეტ მომხმარებელი სხვა ინტერნეტ მომხმარებლებს სთხოვს გამოხატონ თავიანთი შეხედულება ვიდეოზე
	Give (general) ზოგადი აზრის წარმოჩენა	კომენტარი, რომელიც გამოხატავს კომენტარის ავტორის ზოგად შეხედულებას ადამიანზე, ვიდეოზე ან თემაზე
	Give (positive) დადებითი აზრის წარმოჩენა	კომენტარი, რომელიც გამოხატავს კომენტარის ავტორის პოზიტიურ განწყობას ადამიანზე, ვიდეოზე ან თემაზე
	Give (negative) უარყოფითი აზრის წარმოჩენა	კომენტარი, რომელიც გამოხატავს კომენტარის ავტორის ნეგატიურ განწყობას ადამიანზე, ვიდეოზე ან თემაზე

	Give (mixed) სხვადასხვა აზრის ერთდროულად წარმოჩენა	კომენტარი, რომელიც გამოხატავს კომენტარის ავტორის შერეულ (პოზიტიურ და ნეგატიურ) განწყობას ადამიანზე, ვიდეოზე ან თემაზე
	Insult შეურაცხყოფა	კომენტარი, რომლის მიზანია ვისიმეს შეურაცხყოფა
	Complimentკომპლიმენტირება	კომენტარი, რომლის მიზანია ვისიმეს შექება
	Criticism კრიტიკა	კომენტარი, რომლის მიზანია ვისიმეს გაკრიტიკება
	Speculate სპეკულირება	კომენტარი, რომელშიც კომენტარის ავტორი ჰიპოთეზებს აყალიბებს მომავალი მოვლენის/პროცესის შედეგზე
Responses **პასუხის გაცემა**	Agree თანხმობა	კომენტარი, რომელშიც გამოხატულია თანხმობა
	Disagree უაყოფა	კომენტარი, რომელიც გამოხატავს საწინააღმდეგო აზრს და მიზნად ისახავს რისიმეს უარყოფას

General Conversation **ზოგადი საუბრები**	Greetings მისალმება	კომენტარი, რომელიც შეიცავს მისალმებას
	Thanking მადლობის გადახდა	სამადლობელო შინაარსის კომენტარი
	Joke ხუმრობა	კომენტარი, რომელიც შეიცავს ხუმრობას
	Apology ბოდიშის მოხდა	კომენტარი, რომლიც გამოხატავს ადამიანის სინანულს ან ნოსტალგიურ მდგომარეობას
	Random off-topic exclamation შემთხვევითი კომენტარები	კომენტარი, რომელიც არავითარ კავშირში არ არის თემასთან. შემთხვევითი კომენტარის მიზეზი შესაძლოა იყოს საუბრის/დისკუსიის წამოწყება
	Give or get personal information პირადი ინფორმაციის გაცემა ან მიღება	კომენტარი, რომელშიც კომენტარის ავტორი გასცემს ინფორმაციას საკუთარ თავზე ან იღებს ინფორმაციას სხვის შესახებ

	Express plans/desires/wishes სურვილების და გეგმების წარმოჩენა	კომენტარი, რომელშიც კომენტარის ავტორი საკუთარ სურვილებს წარმოაჩენს ან საკუთარ გეგმებს აზიარებს
სხვა სახის კომენტარები	Spam სპამი	კომენტარი, რომელიც მონიშნულია სპამად YouTube-ის ავტომატური სისტემების ან მომხმარებლების მიერ
	Removed comments წაშლილი კომენტარები	კომენტარი, რომელიც ერთ დროს იკითხებოდა, მაგრამ წაიშალა კომენტარის ავტორის /მოდერატორის მიერ
	Repetition განმეორებითი	კომენტარი, რომელიც (განზრახ ან შემთხვევით) გამოქვეყნდა რამდენჯერმე
	Non-English არაინგლისურენოვანი კომენტარი	არაინგლისურენოვან კომენტარში იგულისხმება სხვადსხვა ენაზე დაწერილი კომენტარი
	Nonsense words/sentences აზრს მოკლებული სიტყვები/წინადადებები	კომენტარი, რომელიც გაუგებარია; კომენტარი, რომელშიც საღი აზრი არ ძევს

ქვემოთ წარმოვადგენთ ჩვენეულ კლასიფიკაციას, რომელიც ჩვენსავე კვლევას ეფუძნება. აღნიშნული სქემა ემყარება 3934 მომხმარებლის კომენტარის კონტენტ ანალიზს.

YouTube-ის ვიდეო კომენტარები თხრობითი, კითხვითი და უარყოფითი წინადადებებით გადმოიცემა. ორივე საკვლევ ენაში კომენტარები კონკრეტულ ადამიანზე ან ფართო აუდიტორიაზეა გამიზნული. თითოეული მათგანი ემსახურება ინფორმაციის გაცემა-მიღებას, რჩევა-დარიგების, ემოციებისა და გრძნობების გამოხატვას, თანხმობა-უთანხმოების გამოვლინებას და სხვ. სქემა შედგება 5 კატეგორიისგან, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს 10 ქვეკატეგორიას. ამრიგად, კომენტარი შეიძლება იყოს:

კატეგორია	**ქვეკატეგორია**	**მაგალითი**
ინფორმაციული	ინფორმაციის მიწოდება-მოთხოვნა	Can you tell me who is that guy? Tanjiros family was hit by, they were struck by a smooth criminal სად არის ეს ბიჭი დაკარგული? რა კარგად მახსოვს, პირველად სცენაზე რომ დავინახე დაუვიწყარი იყო მისი მზერა აუდიტორიისადმი
რჩევა -დარიგებითი	რჩევის გაცემა -მიღება	Where can I see the lyrics? You should practice more. უკეთესი იქნებოდა ფლეიტა ამოგეღოთ.... რომელ ალბომს გაუწევთ

		რეკომენდაციას?
შეფასებითი	დადებითი (კომპლიმენტირება , შექება) უარყოფითი (კრიტიკა, დაცინვა, შეურაცხყოფა) ნეიტრალური (დამაბნეველი)	Its adorable and gave me chill საოცარია Facial expressions????? FAKE ! She doesn' t feel anything at all ! ეს გოგო, რომელიც მღერის, ბოდიში მაგრამ კი არ მღერიხარ **ბღავიხარ** . ლამის გავიგუდე ვაიმეეე გულიიიიი Woah, hahaha , okay, OMG
დამადასტურებელი	თანხმობის გამომხატველი უარყოფის გამომხატველი	Yes, This's totally brilliant No, same here ზუსტად რااა, თქვენ გაიხარეთ <3 არაა.. ვერ დაგეთანხმებით ; /////
სხვადასხვა მიზნით შექმნილი	მისალმების გამომხატველი მადლიერების გამომხატველი	ჰეი ხალხო, არის აქ ვინმე ვინ უსმენს? Hey guys, what's wrong with him? მადლობა ამ საოცარი შესრულებისთვის Thank you guys, you made my

	მობოდიშების გამომხატველი	day <3333 ბოდიში მომიხდია მაგრამ ეს რა *ირობაა? Sorry, I haven't heard before. Now I know)))))

ინფორმაციულ კომენტარებში იგულისხმება კომენტარები, რომლებიც ითხოვენ ან გვაწვდიან ფაქტობრივ ინფორმაციას ვიდეო კონტექსტის ან სრულიად შეუსაბამო თემის შესახებ. ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში მომხმარებლები ითხოვენ დეტალურ ან დამატებით ინფორმაციას, რაიმეს ახსნას ან დადასტურებას. ინფორმაციის გაცემის დროს კი, პირიქით.

კომენტარებში შეინიშნება პერსონალური ინფორმაციის გასაჯაროებაც. შინაარსიდან გამომდინარე, კომენტატორები გასცემენ ან ითხოვენ დეტალურ ინფორმაციას სახელთან, პროფესიასთან, ფიზიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით. ზოგჯერ საუბრობენ იმაზეც, თუ რას გეგმავენ ან რა სურთ გააკეთონ მომავალში. მიზნების, სურვილებისა და გეგმების გაზიარება ფართო აუდიტორიისთვის ემსახურება გარკვეული ინფორმაციის მიწოდებას.

რჩევა - დარიგებითი კომენტარები წარმოდგენილია იმ კომენტარებით, რომლებშიც მომხმარებლები ითხოვენ ან იძლევიან რჩევას. მათი მიზანია საჭიროების შემთხვევაში დახმარების და კონსულტაციის გაწევა/მიღება. რჩევაში ადრესატი რეკომენდაციას უწევს ქმედებებს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სიტუაციის დასარეგულირებლად, შესაცვლელად ან გამოსასწორებლად. აღნიშნული კომენტარები ინგლისურ ენაში, ძირითადად, მოდალური ზმნებით 'would' 'should' 'could' გადმოიცემა. ქართულ ენაში კი შეინიშნება როგორც მოდალური ზმნის ,,უნდა'', ასევე, ზედსართავი სახელის შედარებითი ფორმის გამოყენება მაგ: უკეთესი იქნებოდა, უმჯობესია.

შეფასებითი - შთაბეჭდილების ტიპის კომენტარები გამოხატავს ადამიანების მყისიერ რეაქციას იმის შესახებ, რასაც უყურეს ვიდეოში ან წაიკითხეს კომენტარებში. ისინი, როგორც წესი, არის ძალიან მოკლე, ზოგჯერ წინადადებებიდან

წარმოდგენილია სიტყვები ან ფრაგმენტები. ამ სახის კომენტარები ხშირ შემთხვევაში შეიცავს შორისდებულებსა და პარალინგვისტურ მახასიათებლებს: ემოტიკონებსა და აკრონიმებს, რაც უფრო ექსპრესიულს ხდის კომენტარის შინაარსს.

შეფასებითი კომენტარები იყოფა სამ კატეგორიად: დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური, რომელიც ხშირად ორაზროვან ან დამაბნეველ კომენტარად გვესახება. დადებითი კომენტარების მიზანი შექება, მოწონება და კომპლიმენტირებაა. უარყოფითი კომენტარები, დადებითისგან განსხვავებით, გამოირჩევა უწმაწური ლექსიკით. იგი მიზნად ისახავს სხვათა შეურაცხყოფას, გაკრიტიკებას, დაცინვას ან სხვისთვის ზიანის მიყენებას. ნეიტრალურ კომენტარებში გაერთიანებულია ის კომენტარები, რომლებიც ბუნდოვანია, საჭიროებს კომენტარის შინაარსზე დაკვირვებას და მომხმარებლის განწყობის ამოცნობას.

შეფასებით კომენტარებში ადრესატი აღწერს პირად მოსაზრებებს, გრძნობებს, დამოკიდებულებებს ან ემოციურ მდგომარეობას ვიდეო კონტენტზე, შემსრულებელზე ან წინა კომენტარში გამოთქმულ მოსაზრებაზე. ისინი უფრო გრძელი და დეტალურია, ვიდრე ზოგადად გადმოცემული შთაბეჭდილებები. კომენტარის ავტორები გამოიყენებენ ზედსართავებს, როგორიცაა ბედნიერი, სევდიანი ან გაბრაზებული. **„I am happy**“, **„I am sad**“, ასევე ფრაზებს **„მე ვგრძნობ“, „მიყვარს“, „მძულს“, „Love,“ „Hate.**“ შეიძლება გამოყენებულ იქნას ისეთი ზმნები, როგორიცაა **,,მატირა" , ,, გამაცინა", ''It made me happy.**“

დამადასტურებელი კომენტარები თანხმობის ან უარყოფის გამომხატველია. თანხმობის შემცველ კომენტარში ადრესატი ეთანხმება ვიდეოში წარმოდგენილ ინფორმაციას ან იზიარებს წინა კომენტატორის აზრს და აღიარებს მის ჭეშმარიტებას. თანხმობის დამადასტურებელი ფრაზებია: **I agree, That's right, Yes, მართალია, ზუსტად, ვეთანხმები.** ზოგჯერ თანხმობის შემცველი კომენტარები შეიცავს დამატებით მტკიცებულებებს ან ინფორმაციას, რაც უკვე არა თანხმობის, არამედ ინფორმაციის დადასტურების მაჩვენებელია.

თანხმობისგან განსხვავებით, უარყოფითი კომენტარები გამოხატავს ადრესატის საწინააღმდეგო სურვილსა და ნებას, სადაც იგი გამოკვეთილად აფიქსირებს

ნეგატიურ მოსაზრებას ვიდეოს ან წინარე კომენტარების მიმართ. შესაბამისია ლექსიკაც: **I don't agree, No, That's wrong, არა, არასწორია, სისულელეა!**

სხვადასხვა კომენტარები - ამ ჯგუფში გავაერთიანეთ ზოგადი მნიშვნელობის ის კომენტარები, რომლებიც საუბრის წამოწყებისა და შენარჩუნებისათვის ასრულებენ კონკრეტულ მიზნებს. მათ შორის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მისალმების, მადლიერებისა და მობოდიშების შემცველი კომენტარები.

მისალმება - ,,გამარჯობა", ,,როგორ ხარ?" Hi, Hello, გამიზნულია საუბრის დასაწყებად, რითაც ხდება დემონსტრირება იმისა, რომ კომენტატორი ხელმისაწვდომია და კომუნიკაციისთვის მზადყოფნაშია. მისალმებით ადრესატი ხსნის საკომუნიკაციო არხს. მისალმების მსგავსად, კომენტარებში ვხვდებით შემთხვევით წამოძახილებს, რომლებიც არანაირ კავშირში არ არის რაიმესთან. ესეც ერთგვარი რეაქციის პროვოცირება ან ინტერაქციაში შესვლისთვის მზადყოფნის გამოცხადებაა.

სამადლობელი კომენტარებით მომხმარებლები გამოხატავენ თავიანთ მადლიერებას ვიდეოს, ვიდეოს შემქმნელის, შემსრულებლების ან უკვე გამოქვეყნებული კომენტარების ავტორების მიმართ. დადებითი ემოციით გამოწვეული მადლიერების გრძნობა დადებითი ლექსიკით **Thank you**, **მადლობა, გაიხარეთ** გამოიხატება. სამადლობელო კომენტარებთან ერთად, შეინიშნება ,,საბოდიშო'' შინაარსის კომენტარებიც, რომლებიც გამოხატავს სინანულს ან მწუხარებას ადრე ნათქვამის ან გაკეთებულის გამო.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ის კომენტარები, რომლებშიც ბარბარიზმებს, რუსიციზმებს, ანგლიციზმებს და იტალიანიზმებს ვხვდებით.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ YouTube - ის ვიდეო კომენტარები მეტად მრავალფუნქციური და, ამავდროულად, საინტერესო კომუნიკაციის საშუალებაა. მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება სწორედ იმ მრავალრიცხოვან თავისებურებებში, რასაც ვიდეო კომენტარების ანალიზი ავლენს.

2.2. YouTube ვიდეო კომენტარების ლექსიკური მახასიათებლები

ელექტრონული დისკურსი მრავალფეროვან ლინგვისტურ სურათს იძლევა, იმისათვის, რომ თითოეული ასპექტი ნათლად წარმოვაჩინოთ, საჭიროა მოვახდინოთ YouTube ვიდეო კომენტარების ლინგვისტური ანალიზი სხვადასხვა კუთხით: 1) ლექსიკური; 2) სტილისტური; 3) გრაფიკული; 4) ორთოგრაფიული; 5) გრამატიკული და სხვა.

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოვადგენთ იმ მახასიათებლებს, რომელიც YouTube ვიდეო კომენტარების ლინგვისტურ თავისებურებებზე ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის.

ლექსიკური სემანტიკა	სიტყვათშეერთება / word combination	Wanna Gotta Gonna Kinda	**-ხოარ** გაგიჟდით რااა, მაგრად მევასებით -ეს კლიპი **რაშუაშია** მუსიკასთან ამიხსენით
	დამოკლება/shortening (clipping კვეცა, contraction შეკუმშვა)	Fav, vid, sis, bro	მაგარ, ძნ, მიყვ,სიყვა
	შორისდებულები/ Interjection	Wooah, ah, wow	უხ,ვაი,ფუ, ჰმ, აუუ,მმმ;
	აკრონიმი / Acronym	OMG LOL JK LMAO	ომგ ლოლ
	სიტყვების ასოებით შენაცვლება /words replaced by letters	Love u Where r they?	_
	სიტყვების ციფრებით შენაცვლება/ words replaced by digits	**4** EVER - (forever) **4** LIFE – (for life) F2f - face to face	_
სტილისტური	მეტაფორა /Metaphor შედარება /simile ჰიპერბოლა / hyperbole	Lola is an art of culture So beautiful, Sings like a broken peace of heaven Literally dying from laughter XD	სულის სიმებს არხევს,საოცარია კაცი, რომელსაც სიმღერა ღმერთივით უყვარდა ცხრაათასმა თქვა მეც

	ეპითეტი / Epithet	Catchy tune	გავიმეორებ მშვენიერი ვოკალი გაქვს საქართველოს ბულბული
გრაფიკული	ემოტიკონები/Emoticons ემოჯები /emojis	:) :D :P :(: / :XD Their performance is my favorite 👍	:დ, :D, :* ძალიან კარგი შესრულება საუკეთესოოო 😊
	პუნქტუაცია/Punctuation	Facial expressions**?????** FAKE ! She doesn' t feel anything at all !	-აი ამ ნაგავის გაპიარებას რამე ნორმალური გამოგელიათ**?!?!?!?!?!**
	არასტანდარტული მართლწერა/unconventional spelling	Music is so **simpel**, yet so complicated.	ძალიან **მომცონს**
ორთოგრაფიული	კაპიტალიზაცია/Capitalization დიდი / პატარა ასოები/ ექსცენტრიული მართლწერა	**WONDERFUL** set of pipes!!! **this** is the catchiest song **i've** ever heard My fav part. The "lonely" sounds so **goooooodddddddd"**	— გااااااااამაოგნებელი; მااااااااგااااარიااااა; ბანძოოოოობა.
გრამატიკული	ქვემდებარე ''მე'' გამოტოვება მე-3 პირის ნაცვალსახელის გამოტოვება დამხმარე ზმნების გამოტოვება	Undestood (I understood) Not funny (it's not funny) **Is/are, was/were, will, do/did** Anyone notice detail at 1:45??? (Did anyone notice detail at 1:45?	გავიგე (მე გავიგე) ლამაზია არა? (ის ლამაზია არა?) —

კვლევის საწყის ეტაპზე დავაკვირდით YouTube ვიდეო კომენტარების ლექსიკურ თავისებურებებს.

YouTube-ის ვიდეო კომენტარებისათვის, ლექსიკური მახასიათებლებიდან ერთ-ერთი გამორჩეული ფენომენია **სიტყვათა დამოკლება (shortening)**, რომელიც თავის თავში აერთიანებს: კვეცას - (clipping), შემოკლებას - (contraction), ნარევს/შენაზავს - (blending) და სიტყვათკომბინაციას (Word combination).

სიტყვების დამოკლება ყველაზე პროდუქტიული პროცესია ახალი სიტყვების შექმნისათვის. დამოკლების სახეობათა შორის სიმრავლით გამოირჩევა სიტყვათა კვეცის შემთხვევები.

კვეცას (clipping) შემდეგნაირად განმარტავს ლ. ბაუერი,: ,,ტერმინი კვეცა (clipping) აღნიშნავს პროცესს, რომლის დროსაც მცირდება ლექსემა, თუმცა მნიშვნელობა უცვლელი რჩება''(Bauer,1983:233). მსგავს დეფინიციას იძლევა ფ. კატამბა, თუმცა განმარტებას ამატებს ფონოლოგიურ ასპექტსაც: ,,clipping -კვეცა გულისხმობს ახალი სიტყვის ფორმირებას, ნაწილის ამოკვეთითა და მისი მონოსილაბურ ან დისილაბურ ნაწილებად დაყვანით, თუმცა იმავე მნიშვნელობის შენარჩუნებით'' (Katamba, 2005:180)

ლექსიკოლოგები გამოყოფენ კვეცის შემდეგ სახეობებს: ბოლოკიდური კვეცა, თავკიდური კვეცა, შუაკიდური კვეცა და კომპლექსური კვეცა.

- **ბოლოკიდური კვეცა** გულისხმობს სიტყვის საწყისი ნაწილის შენარჩუნებასა და ბოლო ნაწილის ჩამოშორებას, მაგ: doc-doctor, ad-advertisement, gas-gasoline.
- **თავკიდური კვეცა** გულისხმობს საწყისი ნაწილის კვეთასა და ბოლო ნაწილის შენარჩუნებას, მაგ: chute-parachute, phone-telephone, net-internet.
- **შუაკიდური კვეცა** გულისხმობს სიტყვის შუა ნაწილის კვეცას, ხოლო საწყისი და ბოლო ნაწილების შენარჩუნებას, მაგ: fancy-fantasy, ma'am-madam.
- **კომპლექსური კვეცა** გულისხმობს შედგენილ სიტყვათა კვეთა/კვეცას. ზოგჯერ შენაერთ სიტყვებში პირველი სიტყვა ხელუხლებელი რჩება, მეორე კი იკვეცება ან ორივე მათგანი განიცდის კვეცას. მაგ: Cable telegram - cablegram, navigation certificate -navicert.

YouTube-ში განთავსებული ორენოვანი ვიდეო კომენტარების კვლევისას კვეცის სახეობათა შორის - ბოლოკიდური კვეცის არაერთ მაგალითს შევხვდით:

- This is my **fav** song😍
- Anybody who can remember this or any Micheal Jackson **vids** were sheer class and still are.
- This lyrics kill me from inside **bro**
- It's **dam** good
- ვინც 99999 წელს მოუსმენს ლაიქ **კომს** <3
- ძალიან **მაგარ**
- **მიყვ**
- ჩემი **სიყვა**, უმაგრესად ასრულებ ასე გააგრძელე რااااა

სიტყვათა დამოკლების ერთ-ერთი ფორმაა **Contraction-შეკუმშვა,** რომლის დროსაც სიტყვიდან ხმოვანთა შეკუმშვა ანუ ამოვარდნა ხდება. ამ სახის მაგალითებსაც YouTube-ის ვიდეო კომენტარებში მრავლად შევხვდით.

- Someone **plz** turn on the fan for him
- I love that Waltz and Hauser turns it special... **tks**
- I want to write **smth.** but do not know what.....
- Non **hd** Cameras back in the day make a far more immersive viewing experience
- How is this released 8 **hrs** ago
- **ძნ** კაია
- მომეწონა **ძნ.**
- **კრგ** رااااا, აბსურდია ამის მოსმენა.....

სიტყვათშეერთება საკმაოდ აქტუალურია ელექტრონულ დისკურსში. ჩვენ მიერ შესწავლილი მაგალითების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ლექსიკური ერთეულები წარმოადგენს ენის არაფორმალურ მეტყველებას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია ახალგაზრდა მოსაუბრეთათვის.

სიტყვათკომბინაციის აღსანიშნად, საინტერესო ტერმინს გვათავზობს ლინგვისტთა გარკვეული ჯგუფიც, როდესაც მას, როგორც „ახალგაზრდულ კოდს“, ისე მოიხსენიებენ (Plester., Wood & Bell, 2008).

- didn't know about this band until South Park lol and I **gotta** say... I like!
- This song makes me **wanna** cross the road without holding my mom's hand.
- The song is really good not **gonna** lie
- love this, it's **kinda** like ASMR
- ეს კლიპი **რაშუაშია** მუსიკასთან ამიხსენიიით..
- **ხოარ** გაგიჟდით რაა,მაგრად მევასებით

აღნიშნული ლინგვისტური ფორმები ახალგაზრდა თაობისათვის დამახასიათებელ თავისებურებად მიიჩნევა, თუმცა იკვეთება კიდევ ერთი გარემოება. როგორც დ. კრისტალი აღნიშნავს, თითოეული მათგანი იმის დასტურია, რომ კომენტარის დამწერი არა მშობლიურ ინგლისურზე მოლაპარაკე, არამედ ბილინგვია.

YouTube-ის ვიდეო კომენტარების ლექსიკა მდიდარია სიტყვის შემოკლებული ფორმებით, რომლებსაც აკრონიმები ეწოდება.

აკრონიმი აბრევიატურის ერთ-ერთი სახეობაა, რომელიც წარმოიქმნება მრავალსიტყვიანი ტერმინის, სახელის ან ფრაზის პირველი ასოებისგან და ეს ასოები გამოითქმება ერთ სიტყვად.

რთული სიტყვების შემოკლების პრაქტიკა საზოგადოებისათვის არ არის ახალი. იგი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე გამოიყენებოდა და, როგორც ლინგვისტები აღნიშნავენ, მათი გამოყენების მთავარ საფუძველს იმ დროისათვის კომუნიკაციის დაჩქარება წარმოადგენდა.

აკრონიმები ჩვენი ყოველდღიური ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. განსაკუთრებით დღეს, ტექნოლოგიების ხანაში, საზოგადოებამ მკვეთრად გაზარდა მათი გამოყენება, რაზეც მოწმობს მათი მრავალრიცხოვნება სამეცნიერო თუ არასამეცნიერო ლიტერატურაში.

თუკი ვისაუბრებთ აკრონიმების დადებით და უარყოფით მახასიათებლებზე, აღმოვაჩენთ, რომ მათი ძირითადი მიზანი დროისა და სივრცის დაზოგვაა. ამასთან, იგი საუკეთესო საშუალებაა რთული ფრაზებისა და მრავალსიტყვიანი ტერმინების მარტივად წარმოსათქმელად. ზემოთ აღნიშნულ დადებით თავისებურებებს ემატება

ისიც, რომ აკრონიმების გამოყენება დღესდღეობით ახალგაზრდა თაობებს შორის მოდურ ტენდენციად იქცა და ბოლოს, აკრონიმები ადვილად დასამახსოვრებელია. ამის უტყუარი დასტურია შემდეგი მაგალითი: National Space and Aeronautics Administration უფრო ძნელად დასამახსოვრებელია, ვიდრე NASA.

ბევრ დადებით თავისებურებასთან ერთად უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აკრონიმების გადაჭარბებით ან გაუცნობიერებლად გამოყენება, შესაძლოა, მსმენელისათვის საზიანო და შეურაცხმყოფელი აღმოჩნდეს. ხშირად მომხმარებლებმა არ იციან აკრონიმის ზუსტი მნიშვნელობა, რაც იწვევს გაუგებრობას.

თუკი დავაკვირდებით YouTube-ის კომენტარებში აკრონიმების გამოყენების სიხშირეს, დავინახავთ, რომ მათ გარეშე კომუნიკაცია წარმოუდგენილია.

კვლევის დროს შევხვდით შემდეგ აკრონიმებს: **IDK**-I don't know, **JK**-Just kidding, **LOL**-Laugh out loud, **OMG**-Oh my God, **BTW**-By the way, **WTF**-What the f *ck, და **LMAO**-Laughing my *ss off.

აღსანიშნავია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, კვლევამ გვიჩვენა, რომ ქართულენოვან კომენტარებში აკრონიმთა გამოყენების დეფიციტია. ჩვენ საკვლევ მასალაში არ შეგვხვედრია არც ერთი ქართული წარმომავლობის აკრონიმი, თუმცა მრავლად იყო ინგლისურენოვანი აკრონიმების lol, lmao, omg მაგალითები.

ქვემოთ წარმოვადგენთ აკრონიმების მაგალითებს ცხრილის სახით.

	ინგლისურენოვანი	**ქართულენოვანი**
სიცილის ვარიანტები	**LOL / LMAO,**	**ლოლ / lol, lmao**
შეძახილი/შეცხადება	**OMG**	**ომგ/ omg**
ნეიტრალური ვარიანტები	**BTW / JK,**	--
სალანძღავი სიტყვები	**WTF**	**WTF**
უარყოფა	**IDK**	--

YouTube-ის ვიდეო კომენტარებში ერთ-ერთი პოპულარული აკრონიმია LOL - Laugh(ing) out loud, რომელიც ხმამაღლა სიცილს ნიშნავს. მომხმარებლები მას იყენებენ მაშინ, როდესაც საუბრის თემა სასაცილოდ მიაჩნიათ:

- That was sick funny, **LOL** 😵
- If you never tried that leaning dance and fall you not a real mj fan **lol**
- Crazy video. B-) Looks like they had a lot of fun **lol.**
- რომ ვუყურებ უკვე მეცინება **ლოოოოლ**
- აქ დასცინოდნენ და ახლა მომღერალია **lol**

თუმცა, აღსანიშნავია ისიც, რომ Lol-ი მხოლოდ სასაცილო ხასიათს არ ატარებს, იგი მასიურად გვხვდება ირონიის გამოხატვის დროსაც:

- I think you have to be high to understand this song. :D **LOL**
- Anyone still watching in 2018 **lol**!
- 2020ია და კიდე ვუსმენთ **ლოლ**

Lol აკრონიმის გაძლიერებულ ფორმას წარმოადგენს Lmao, რომელიც, ასევე, ხშირად გვხვდება ვიდეო კომენტარებში, როგორც სიცილის აღმნიშვნელი ემოტიკონი:

- **Lmao** this is hilarious
- **lmao** that was actually pretty funny
- იმენა სიმღერااა იხოხებ **lmao**
- გადავკვდიიიიიიი ;დდ მოსიარულეე საფრთხობელა **lmao**

ზოგჯერ ემოტიკონები განიცდიან ვერბალიზაციას, რაც მიუთითებს მათ სრულ ინტეგრაციაზე ინტერნეტ ენაში. ამის უტყუარი ნიშანი ქვემოთ მოყვანილი მაგალითებია:

- I **lol'd** xD
- Hahahah. I almost had an accident while reading this. I_**lmao'ed** on my steering wheel.

შეცხადება/შეძახილთა გამომხატველ აკრონიმთა კატეგორიას მივაკუთვნეთ **OMG** „O, my god“ აკრონიმი, რომელიც, ძირითადად, ემოციურ დატვირთვას ატარებს და მისი მიზანი სწორედ მომხმარებლის ემოციის დემონსტრირებაა. ქართულ ინტერნეტ სივრცეშიც იგივე დატვირთვას ატარებს აკრონიმი **ომგ:**

- **Omg** this song is the best 💜 😂
- Wow this song. **OMG** Its still alive
- Amazing! This piece is super hard **omg**
- **ომგ,** მაგარია ძალიან <3
- **OMG** სიტყვები არ მყოფნისს, ცეცხლი დაანთოოოოო

კიდევ ერთ მნიშვნელოვან აკრონიმთა ჯგუფს წარმოადგენს ნეიტრალური ვარიანტები: BTW და JK, მომხმარებელი მათ უმეტეს შემთხვევაში მაშინ იყენებს, როდესაც სურს წინამდებარე უსიამოვნო ან სახუმარო გამონათქვამის გაქარწყლება:

- The song is depressing but the video is outstanding 👍 **btw** I love it 😝
- What is up with all the bizarre people in this video? Isn't Steven Tyler enough? Great song **btw** pussy! **JK** its nice
- liliana oviedo and get HIV? **Jk.** Incredible guy. I wish I was half as good as him.

შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ფართოდ გავრცელებული აკრონიმი WTF (What the F*ck), რომელსაც აქვს შეფასების მნიშვნელობა და, ძირითადად, წარმოაჩენს მომხმარებლის გაკვირვებას, გაბრაზებასა და აგრესიას, იგი მიუთითებს მის ნეგატიურ დამოკიდებულებაზე საკითხთან დაკავშირებით:

- **wtf** who is this Fred why did he copy Kanye West, kanyes orgijinal better easy
- **Wtf** I clicked for the girl but damn this was outstanding!
- This song is makin' me miss people that doesn't even exist **wtf**

YouTube-ის ვიდეო კომენტარებში, ასევე, შეიმჩნევა აკრონიმ IDK “I don’t know“ ხშირი გამოყენება, რომელიც ჩვენ მივაკუთვნეთ უარყოფის აღმნიშვნელ აკრონიმთა კატეგორიას:

- **Idk** why my tears suddenly came out after hearing this..
- I cry every time I listen to this. **Idk** why

- **Idk** why I go rampage on any gun game every time I hear this

დაკვირვება ცხადყოფს, რომ YouTube-ის ვიდეო კომენტარებში აკრონიმები ერთ-ერთ მნიშვნელოვან ენობრივ ერთეულს წარმოადგენს. თუმცა, ორი განსხვავებული ენის კომენტარების შედარებისას აღმოჩნდა, რომ რაოდენობრივად აკრონიმები უმეტესად დამახასიათებელია ინგლისურენოვანი ვიდეო კომენტარებისთვის, ხოლო ქართული ინტერნეტ სივრცე, ამ მხრივ, დეფიციტს განიცდის.

YouTube-ის მომხმარებლები ხშირად მიმართავენ **შორისდებულებს**, რათა უკეთ წარმოაჩინონ თავიანთი შეგრძნებები. შორისდებულები ,,წმინდა ემოციური სიტყვებია, რომელთაც არ აქვთ რეფერენციალური ფუნქცია, თუმცა ასრულებენ ენის კონოტატიურ, ფატიკურ და გამომხატველობით ფუნქციებს'' (Meinard, 2015:167).

კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი შორისდებულებთან დაკავშირებით, მათი წინადადებაში განლაგებაა. მაგალითები ცხადყოფს, რომ ისინი ხშირად გამოიყენება ან გამოთქმის დასაწყისში (ამ შემთხვევაში ისინი, როგორც ჩანს, წარმოადგენს ემოციის სპონტანურ და არაარტიკულირებულ გამოხატვას, რომელიც წინ უსწრებს ვერბალურ გამოხატვას), ან სიტყვის ბოლოს (ამ შემთხვევაში ისინი გამოიყენება, როგორც ილოკუციური ძალის მარკერები, რომლებიც მიზნად ისახავს გამოხატოს ის, თუ როგორ უნდა იქნას მიღებული გამოთქმა).

- **Wow!** This is a fantastic song
- Brutality song **wooooooaah**
- **Ah,** the sound of a butterfly settling on a dew covered petal.
- **უუუხ** რახაااარ
- **ვაი** რა გეშველება
- **ჰმმ**... ეს მუსიკა რო ჩავრთე ჩემ ძაღლსაც კი გული გაუსკდა და ოთახიდან გაიქცა ეს რაარის? :///
- **ავოიეეე

- I've seen them live in the gig this year. All I can say that they **r** amazing rock band !!!!!! I do like Nickelback even more now.

ჩვენი დაკვირვებით, ელექტრონულ დისკურსში ხდება **სიტყვის ციფრებით ჩანაცვლებაც.** ასეთ შემთხვევაში ინტერნეტ მომხმარებლები ისეთ ციფრებს იყენებენ სიტყვის, მარცვლის ან ფონემის ჩასანაცვლებლად, რომლებსაც მსგავსი გამოთქმა აქვთ.

- INCREDIBLE! From another planet! Love you for eternity MJ, you‘re my idol **4 LIFE!**
- His music is **4 ever**
- **2**day is his birthday, I never forget it

ზემოთ მოყვანილი მაგალითების მიხედვით შეგვძლია დავასკვნათ, რომ მომხმარებლები ნაცვალსახელის You -სა და to be ზმნის Are – ის ნაცვლად იყენებენ U და R ასოებს, ხოლო წინდებულების for და to-ს ნაცვლად ციფრებს - 4 და 2. აღნიშნული არასტანდარტული ლინგვისტური ფორმა დამახასიათებელია მხოლოდ ინგლისურენოვანი ვიდეო კომენტარებისთვის. ამრიგად, ვიდეო კომენტარების ლექსიკური მახასიათებლები ქმნის თანამედროვე ციფრული კომუნიკაციის უნიკალურ ენობრივ სტილს, სადაც მთავარი აქცენტი კეთდება სისწრაფესა და ემოციების გამოხატვაზე.

2.3. YouTube ვიდეო კომენტარების ლინგვო-სტილისტური მახასიათებლები

YouTube, მრავალფუნქციური ვებ-საიტი, წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც 2005 წლიდან დიდი პოპულარობით სარგებლობს მთელ მსოფლიოში. ბევრ მნიშვნელოვან მახასიათებელთა შორის მისი ერთ-ერთი განსაკუთრებული თავისებურებაა ის, რომ მომხმარებელს საშუალებას აძლევს ვიდეოსთან დაკავშირებით კომენტარის სახით გამოხატოს საკუთარი აზრი. აქედან გამომდინარე, იკვეთება YouTube-ის ვიდეო კომენტარების მთავარი მიზანი - ატვირთული ვიდეოს შეფასება და კომენტირება.

დღესდღეობით YouTube წარმოდგენილია, არამარტო სხვადასხვა შიანაარსის მქონე ვიდეოების ერთობლიობად, არამედ იგი გვევლინება ონლაინ კომუნიკაციის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებად. იგი აერთიანებს სხვადასხვა სახეობის: მოტივაციის ასამაღლებელ, ღიმილის მომგვრელ, ნეგატიურ, აგრესიულ და იუმორისტულ-სარკასტულ კომენტარებს, თითოეული მათგანი კი ლინგვოსტილისტური მახასიათებლებით გამოირჩევა. ერთი და იმავე აზრის გამოხატვა სხვადასხვაგვარი ენობრივი საშუალებით შეიძლება: ემოციის გასაძლიერებლად სიტყვებს გადატანითი მნიშვნელობით, მეტაფორულადაც იყენებენ, ამიტომ უკეთ თქმის ხელოვნება გულისხმობს უფრო ძლიერი სტილისტური ხერხების შერჩევას.

მოცემულ ქვეთავში ჩვენი მიზანია იმ მაგალითების გაანალიზება, რომელთაც სტილისტური ფერადოვნება გააჩნია. კომენტარებზე დაკვირვებისას ჩვენ არაერთ სტილისტურ ხერხს შევხვდით, ესენია: მეტაფორა, მხატვრული შედარება, ეპითეტი, ირონია, ტაბუირებული, ე.წ. ,,4 ასოიანი სიტყვები“, ვულგარიზმები, ჟარგონები, სლენგური გამონათქვამები. მომხმარებლი მათ იყენებს ემოციის გასაძლიერებლად და სუბიექტური აზრის უკეთ გამოსახატავად.

კრიტიკა YouTube-ის ვიდეო კომენტარების განუყოფელი ნაწილია. საზოგადოების წევრების მხრიდან დაუდევარი, უხამსი და ზიზღით გაჯერებული მოსაზრებები გავლენას ახდენს საზოგადოებაზე. შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკისა და აგრესიის შინაარსის შემცველი კომენტარები, კონფლიქტური გარემოს წარმოშობის წინაპირობაა.

იგივე შეიძლება ითქვას ირონიისა და სარკაზმის გამოყენებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმ სირთულეებისა, რაც გამოწვეულია ონლაინ კომუნიკაციაში მათი გაუგებრობით, კონტექსტის გათვალისწინებით მაინც შესამჩნევი ხდება ორაზროვანი, პარადოქსული, გაურკვეველი და მოულოდნელი შინაარსის მქონე კომენტარების ამოცნობა.

YouTube-ის კომენტარები არ შემოიფარგლება მხოლოდ ნეგატიური შინაარსის მქონე კომენტარებით. საბედნიეროდ, არსებობს ადამიანთა ის კატეგორია, რომელთაც შეუძლიათ დადებითი მოვლენა შესაბამისად შეაფასონ და კმაყოფილება გამოხატონ ნანახითა თუ მოსმენილით.

§2.3.1. შექების, კომპლიმენტირების, დადებითი ემოციის გამომხატველი კომენტარები და მათი ლინგვოსტილისტური თავისებურებები

მომხმარებლის კეთილგანწყობა ვიდეოს მიმართ, დადებითი შეფასებითა და კომპლიმენტირებით გამოიხატება. რა იგულისხმება დადებით შეფასებაში? რამდენად მნიშვნელოვანია იგი? რა ლექსიკური ერთეულები გამოიყენება კომლიმენტირებისას?

კომპლიმენტზე საუბრისას ჩვენ დავეყრდნობით ჯ. ჰოლმსის ფართოდ გავრცელებულ დეფინიციას, რომლის თანახმადაც, ,,კომპლიმენტი არის სამეტყველო აქტი, რომელიც აშკარად ან ირიბად მიმართულია ვინმეს კარგი გარეგნობის, თვისებების, უნარებისა და შესაძლებლობების აღსაწერად'' (Holmes, 1988:23).

კომპლიმენტი თავაზიანობისა და პატივისცემის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა. მისი მიზანი დადებითი შეფასებისა და კეთილგანწყობის გამოვლენაა ვინმეს ან რაიმეს მიმართ. იგი ამაღლებს განწყობას და ქმნის ჰარმონიულ სასაუბრო გარემოს, სადაც მოსაუბრეები მხოლოდ დადებითი შინაარსის მქონე სიტყვებით გადმოსცემენ თავიანთ სათქმელს. კომპლიმენტირება შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადსხვა ფაქტორით: ვისიმეს გარეგნობით, უნარ-ჩვევებით, თვისებებითა და პირადი მიღწევებით (ახვლედიანი,2020:46).

წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობა სწორედ დადებითი შეფასება და თავაზიანი მიმართვაა. დადებითი შეფასება, ძირითად, წარმოდგენილია იმ კომენტარებით, რომელთა შინაარსი ემსახურება ვიდეოს ავტორის მხარდაჭერას, ქებას ან მოტივაციის ამაღლებას. თითოეული მათგანი მას საკუთარ შესაძლებლობებში არწმუნებს და უკეთესის შექმნისაკენ უბიძგებს.

ჩვენი დაკვირვებით, ვიდეო კომენტარების კომპლიმენტირების, შექების დროს გამოიყენება შემდეგი მეტყველების ნაწილები - არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა.

არსებითი სახელები:

- This is **Art** 🖼

- This video is a **masterpiece**
- source of faith 🌱, **peace** 🌬 and **inner deceleratio**n 🌠 Thank YOU 🏯 YIRUMA
- Another beautiful **masterpiece**! Bravo!
- ეს **აღმაფრენაა**
- **ფენომენია** ეს ადამიანი

ხშირად განმეორებად კომპლიმენტებად გვევლინება შემდეგი სიტყვები: სრულყოფილება, შედევრი, სიტკბოება, სასწაული, ხელოვანება, ლეგენდა, გენია, საოცრება.

ზმნები:

- Lola **is shining**..🌟💜"
- I like this amazing Nickelback his band **rocks**
- This song has touched so many people's heart 💜 that's what music and love does to people ! It **heals** !!!
- მეამაყებით!
- ძალიან მომწონს
- ძალიან, ძალიან მიყვარს :*:*
- მესიამოვნა ძალიან ეს მუსიკა
- დამბურძგლა

ქართულენოვან მუსიკალურ ვიდეო კომენტარებში შეინიშნება **საალერსო** ზმნური ფორმების გამოყენებაც: გენაცვალეთ, შემოგევლეთ, გაიხარეთ, შენი ჭირიმე, იდღეგრძელეთ. თითოეული მათგანის ექვივალენტად, ინგლისურენოვან კომენტარებში, შეიძლება მივიჩნიოთ სიტყვა **dear**.

ზმნიზედები:

- But **beautifully** done.
- **Masterfully** done!!!
- Wow...played **beautifully.**
- **საოცრად** ასრულებს ამ კომპოზიციას.

- **უძლიერესად** შესრულებული
- რა **ლამაზად** მღერიხართ

ზედსართავი სახელები

- **Amazinggg**
- Always **brilliant**.
- So **comfortable** :)))
- Very **catchy** song. Nickelback has always had a knack for writing great melodies
- **The Best** pianist, only this
- **პროფესიონალი**
- ბრავო! **დიდებულია**
- **უძლიერესი** როგორც ყოველთვის
- ერთ ერთი ქართული **საუკეთესო** როკ სიმღერა
- **გენიალურია** უბრალოდ

როგორც ზემოთ აღინიშნა, მომხმარებლის კომენტარები გამოირჩევა სტილისტური ფერადოვნებით. კვლევისას მრავალფეროვანი სტილისტური ხერხებიდან გამოიკვეთა: **მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, ჰიპერბოლა (გაზვიადება).**

შედარება - ტროპის ერთ-ერთი სახეა. ის ექსპრესიულობის მისაღწევი საშუალებაა. შედარებისას განსაკუთრებული სიფრთხილით შეირჩევა მეორე - შესადარებელი საგანი ან ამ საგნის განსაზღვრება. ამიტომ აქ, ჩვეულებრივ, ორი საგანი, ორი მოვლენა უპირისპირდება ერთმანეთს, რათა ერთი მათგანი უკეთ აიხსნას და დახასიათდეს (სანიკიძე, 2009:91).

Waltz - Eugen Doga. So beautiful! Sing like a broken piece of heaven! You are an exception! Congratulations!

ლევან 💔 კაცი რომელსაც სიმღერა ღმერთივით უყვარდა 💔





ეპითეტი სტილიტური ხერხიაა, რომელიც ხაზს უსვამს საგნის ან მოვლენის რომელიმე ერთ მხარეს. ეპითეტში ჩანს მთქმელის შეფასებითი დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი.

მეტაფორა ტროპის სახეა, რომელიც ერთი საგნის თვისებების მეორეზე გადატანასა ან მათ მსგავსებაზეა დაფუძნებული, იგი ტროპის სახეთა შორის ყველაზე რთულ მხატვრულ გამომსახველობით საშუალებადაა მიჩნეული და მისი ძალა ის არის, რომ სიტყვის სემანტიკა ასოციაციურად არის გადახრილი და უჩვეულო, ყოფითი რეალობისგან მოწყვეტილ, მხატვრულ სახეს ქმნის (სანიკიძე, 2009:92).





- Beautiful Music my heart breaks
- Great. Unforgettably good. Beautiful... Touching the soul.
- Khatia obviously dropped down from heaven to play this.
- Mind blowing! The performance captures the time and exuberance of the music. Gershwin would love it!
- ზღვა ემოციას აღძრავს ეს მელოდია

- მკვდარს გააცოცხლებს!!! ბრმას თვალს აუხელს, ყრუს სმენას აღუდგენს და ღმერთთან შეგარიგებს.
- ამ სიმღერის სმენის შემდეგ გული გამითბა
- გულში და სულში დადის ეს ბიჭი

ჰიპერბოლა გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს. ჰიპერბოლის გამოყენება მაშინააა გამართლებული, როცა ის მკითხველს კი არ აშორებს სინამდვილეს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს უფრო მკვეთრად, ზუსტად განაცდევინოს ნათქვამი.

- Literally dying froom laughter XD
- this voice killed me
- შემიძლია გაუჩერებლად ვუსმინო მთელი დღე და ღამე
- მერამდენედ ვუსმენ ^_^ ცხრაათასმა თქვა, მაგრამ ……..მშვენიერი ვოკალი გაქვს :3

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ონლაინ სივრცე ცნობილია უარყოფითად განწყობილ მომხმარებელთა დიდი რიცხვით, შეურაცხმყოფელი ტექსტებითა და ნეგატიური გარემოთი, ზემოთ მოყვანილი მაგალითები გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ ამავე სივრცის დადებით ასპექტებზეც. YouTube-ში ვიდეოს ავ-კარგიანობა, პირველ რიგში, ვიდეოს შინაარსით, ხოლო შემდეგ მომხმარებელთა შეფასებით განისაზღვრება. ორივე ენისათვის კომპლიმენტირება მსგავსი ლექსიკური თუ ტროპული საშუალებებით გამოიხატება.

§2.3.2. სიძულვილის ენა - კრიტიკის, აგრესიის გამოხატვა ვიდეო კომენტარებში და მათი ლიგვოსტილისტური ეფექტი

კრიტიკა რაიმეს მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას, განსჯასა და მსჯელობას წარმოადგენს. ჩვენ ყველანი კრიტიკოსები ვართ იმ თვალსაზრისით, რომ მუდმივად ვმსჯელობთ, არის თუ არა რაიმე საგანი ან მოვლენა კარგი თუ ცუდი. კრიტიკა უარყოფით ასპექტში აგრესიით, ლანძღვით, მუქარითა და დაშინებით გამოიხატება. კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ქვეთავში ყურადღება დაეთმობა კრიტიკის ვერბალურ გამოხატულებას, რაც გულისხმობს

სიძულვილის ენისა და მისთვის დამახასიათებელი ლინგვოსტილისტური ერთეულების ანალიზს.

სიძულვილის ენა „შეიძლება განისაზღვროს, როგორც ნებისმიერი გამონათქვამი, რომელიც სხვის შეურაცხყოფას იწვევს“ (Lewis, 2012:45).

სიძულვილის ენა გამოხატავს ზიზღს, მუქარას, დაცინვას, სიძულვილს ინდივიდების ან ჯგუფებისადმი. გამოვლენილი ემპათიის დეფიციტი შესაძლოა გამოწვეული იყოს გარეგნობის, ინტელექტის, რასის, ეთნიკურობის, ეროვნების, ჩაცმულობისა და სხვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორებისაგან. მისი მიზანი ადამიანების შევიწროება, დაშინება, შეურაცხყოფა, დამცირება, დაკნინება და ზიანის მიყენებაა.

ს. თოთიბაძის წიგნში „სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართულ ციფრულ მედია-დისკურსში'' ვკითხულობთ: ,,სიძულვილის ენა არის ვერბალური თუ არავერბალური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმა, რომელიც შეიცავს მუქარასა თუ დისკრიმინაციულ შეხედულებებს საზოგადოების წიაღში არსებული სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. სიძულვილის ენის ყველაზე ხშირი სამიზნე ჯგუფები არიან რასით, ეთნიკურობით, გენდერით, რელიგიური შეხედულებით, სექსუალური ორიენტაციითა თუ ასაკით განსხვავებული ადამიანები. სამწუხაროდ, სიძულვილს არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები და ეროვნება'' (თოთიბაძე, 2003: 20).

თ. დორეული ნაშრომში: „სიძულვილის ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართულ რეალობაში“ განიხილავს სიძულვილის ენის, როგორც ახალი ფენომენის, დაბადების პროცესს: სიძულვილის ენის საწყისები, შესაძლოა, ვეძიოთ ადამიანური კულტურის ღრმა წარსულში. ფსიქოანალიზის ფუძემდებელმა ზიგმუდ ფროიდმა თქვა: „ადამიანი, რომელმაც პირველად შეძლო შუბის ნაცვლად შეურაცხმყოფელი სიტყვა ეხმარა, იყო ცივილიზაციის დამაარსებელი”. ამგვარად, სიძულვილის ენის გამოყენება კულტურის ფენომენია და სამყაროსადმი ადამიანის უნივერსალური დამოკიდებულების შემქმნელი ერთგვარი შემოქმედებითი აქტია. ასეა თუ ისე, შეიძლება ითქვას, რომ ამ ენას უნდა ჰქონდეს საწყისი წერტილი, რომელიც ბიძგს მისცემდა მის წარმოშობას. მისი არსიდან გამომდინარე, სიძულვილის ენის ჩანასახი უნდა მოვიძიოთ უძველესი კულტურული ფენომენის

ინვექტივის წიაღში, რომელიც თავისი არსით გულისხმობს ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ მკვეთრ, შეურაცხმყოფელ გამოსვლას ან ლანძღვას. სავარაუდოდ, სწორედ ინვექტივის არსებობას გულისხმობდა ფროიდი შეურაცხმყოფელი სიტყვის გამოყენებაში (დორეული, 2021: 39).

სიძულვილის ენაზე საუბრის დროს აუცილებელია შევჩერდეთ ინვექტიურ ლექსიკაზე, რომლის ძირითად ნაწილს უხამსი, საგინებელი ლექსიკა შეადგენს, ეს არის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსაუბრეს უარყოფითი ემოციების გამოხატვით მოწინააღმდეგის ნეგატიური შეფასების დემონსტრირება და პიროვნების დაკნინება მოახდინოს.

ფრანგი მეცნიერი დ. ლაგორგეტი გამოყოფს ინვექტივის 3 კატეგორიას, რომლებიც ადამიანს გაანაწყენებს:

1) შედარება ცხოველებთან და უსულო საგნებთან;

2) შედარება ცუდ ადამიანებთან;

3)ადამიანის თანდაყოლილი მახასიათებლების დაცინვა/დამცირება (Lagorgette, 2008:7-10).

ინვექტივის მიზანია ადამიანის გაუფასურება, იმიჯის შელახვა საზოგადოებაში, შეურაცხყოფა ან დაცინვა. ამ დროს ეჭვქვეშ დგება ადამიანის არსი, მისი პიროვნება, მორალური ღირსება, გონებრივი შესაძლებლობები, ფიზიკური მხარე, პიროვნული თვისებები, ზნეობა, ფსიქიკური შესაძლებლობები.

სიძულვილის ენა სიტყვას იყენებს, როგორც მაგიურ იარაღს იმისთვის, რომ პირდაპირი ზიანი მიაყენოს ადამიანს. ამერიკელი პროფესორის რ. დელგადოს მიხედვით, სწორედ „სიტყვებია შეურაცხმყოფელი, ჭრილობის მიმყენებელი და ზიანის მომტანი. სიტყვებთან ერთად მნიშვნელოვანია ტონი და კონტექსტიც“ (Delgado, 2009: 354-370).

ბოლო ათწლეულების მთავარი მიღწევა - ინტერნეტი, ამარტივებს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა: ინფორმაციის მოძიება, გაზიარება/გავრცელება, კომუნიკაციის დამყარება როგორც ახლო, ისე გეოგრაფიულად შორს მყოფ არეალზე. მიუხედვად იმისა, რომ ინტერნეტს არაერთი დადებითი მხარე აქვს, მას აქვს უარყოფითიც. მისი საშუალებით ე.წ. ,,სიძულვილის ენა“ მძვინვარებს.

კიბერსივრცეში ადამინებს შეუძლიათ დამალონ თავიანთი ვინაობა, რაც მათ ეხმარება აგრესიის უკეთ და თავისუფლად გამოვლინებაში.

სიძულვილის ენის ხსენებისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ტერმინს ,,ფლეიმინგი''. ტერმინი ,,ფლეიმინგი" სათავეს იღებს ჰაკერთა ლექსიკონიდან, სადაც იგი განმარტებულია სხვადასხვაგვარად: ,,გაბრაზებით ან სასაცილო დამოკიდებულებით საუბარი უინტერესო თემაზე", ,,შეურაცხმყოფელი ან სალანძღავი, საგინებელი ტექსტების გამოყენება ვისმეს მიმართ''. პ. მურის თანახმად, ფლეიმინგი ,,მტრობის გამოვლენაა ვინმეს ან რაიმეს მიმართ შეურაცხყოფისა და ლანძღვის გამოყენებით'' (Moor, 2008:7). რაოდენ რთულიც არ უნდა იყოს ტერმინის განმარტება, ფლეიმინგი საზოგადოებისთვის რეალური პრობლემაა და ნეგატიურად განწყობილი ადამიანებისგან მოდის.

დადებითი კომენტარების მსგავსად, უარყოფითი კომენტარებიც, ძირითადად, შემდეგი მეტყველების ნაწილებით გამოიხატება: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი, ზმნიზედა.

არსებითი სახელები:

- Simple their music is **garbage**
- The second band is a **mental breakdown** version of Sweet Child O'Mine
- This truly is the most bizarre **shit** I've ever heard. I can certainly see how Zappa dug this.
- **საზიზღრობაა**
- რა **ბანძობااااااااااا**
- ეს არის სრული **მარაზმი**(((ხალხის **დაცინვა** ხალხოოო როდემდე უნდა იმანჭოს ამან სცენაზე

ზმნა:

- I am the only one who **hates** it ?
- What I'm doing here **?** I **don't even like** piano **!**
- **ვერ ვიტან** ამ მახინჯი ქალის ცეკვას
- როგორ **მაღიზიანებს** ნეტა იცოდეს

- ვაი საცოდავი ბიჭები მე **მეზიზღები** ქალო....აუ რამაგარი **აკლია**

ზედსართავი სახელი:

- Totally **inappropriate** for classical music. I'm not **impressed.**
- We hate em cause their music is **recycled** garbage
- სასწაული კომმარია.... თან პრეტენზიიით ორიგინალურობაზე, **საშინელი** თრეშია
- ფუუ რა **ამაზრზენი** ხარ
- ნუ, არ ვიცი რა დავწერო პირველ რიგში ვიტყოდი იმას, რომ **საშინელი** სიმღერაა, აზრს **მოკლებული** კლიპი საერთოდ იდიოტობა ეს ქალი კი ვაფშე **დებილი**

ზმნიზედა:

- He sings very **badly**, I cant listen
- **Foolishly** done haaaaaaaate it
- რა **მდაბიურად** იქცევა ან რას მღერის საერთოდ
- ნეტა ხვდებოდეს რა **ცუდად** ჟღერს მისი წიკვინი

უარყოფითი ხასიათის კომენტარების გაკეთებისას ტაბუ სიტყვების შემცველი გამოთქმები ფართოდ გავრცელებული ფორმაა.

- What the f..... Lmao😂😂😂😂😂i never heard this in 50yrs of my life lol
- what the hell?
- Well fuck them yeah?

ტაბუირებული ლექსიკა ეხმარება მომხმარებელს ემოციების ღიად გამოხატვაში. ამ ტიპის სალანძღავი სიტყვები, როგორც წესი, ისმის მაშინ, როდესაც რაღაც ცუდი ხდება, თუმცა გასაკვირი არ იქნება თუ მათ დადებით კონტექსტშიც ვიხილავთ:

- Damn what a voice !
- Damn thats so deep

- I love it!! Funny real shit

სიტყვა ''damn'' ითარგმნება, როგორც „ჯანდაბა'', „ეშმაკსაც წაუღია,'' „ეშმაკმა დალახვროს,'' „წყეულიმც იყოს'' და მას უარყოფითი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მომხმარებელი, რომელიც მუსიკის მიმართ კეთილგანწყობილია, სიტყვებს damn და shit ემოციის გასაძლიერებლად დადებითი კონტექსტით გამოიყენებს.

ვიდეო კომენტარებში ხშირია კონკრეტული სუბიექტის ან ჯგუფის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენება. ამის მთავარი მიზანი ოპონენტის შეურაცხყოფა და დაშინებაა.

- 10 years later and he's still trash
- They are fucking horrible in concert...probably a good reason.
- The bitch musician of classic piano
- This people name's: The Idiots
- ხატი შე კაზიოლო
- ფუი რა ძროხა�ა როგორი გულისამრევი მოძრაობები და ხმა აქ
- მაგრად არ მევასება ეს კაცი სუფთა ლოქო

ჟარგონი / სლენგი - ქართული ჟარგონის ლექსიკონის ავტორი ლ.ბრეგვაძე აღნიშნავს: ,,ფრანგული წარმომავლობის „ჟარგონი'' და ინგლისური წარმომავლობის „სლენგი''ერთსა და იმავეს ნიშნავს: ეს არის მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც უპირატესად ზეპირი ურთიერთობისას იყენებენ ცალკეული, მეტ-ნაკლებად მყარი სოციალური ჯგუფები, რომლებიც ადამიანებს აერთიანებს პროფესიის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, ინტერესების ან ასაკობრივი ნიშნით (შამუგია, 2016:1)

ჟარგონი არის მცირე სოციალური ჯგუფის, ამა თუ იმ პროფესიის ადამიანთა მეტყველება. ჟარგონული ლექსიკიდან გამოიყოფა თავისებური სიტყვები, რომლებიც მხოლოდ ადამიანთა ვიწრო ჯგუფისთვის არის გასაგები (ხახუტაიშვილი, 2014:139). ინტერნეტ სივრცეში ხშირად ვხვდებით ჟარგონებს. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ მუსიკალურ ვიდეო კომენტარებში ჟარგონი, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი სახით ვლინდება:

დადებითი მნიშვნელობით გამოყენებული:

- **საკაიფო** ვეშია ^_____^ **საღოლ** დაგდაგაან ^__^
- დილაც ასე უნდა დაიწყოს მაგრად **მევასებით** :*
- კაი **ტიპები** ხართ, რესპეკტ :D ^_^
- **უჯიგრესიااااااა** ^_^ **საღოოლ** ^____^
- აუუუ **ვიხევიიიი** :D
- კიდე ერთი ესეთიც **მოხოდეთ უეჭველი**
- გუშინ **დაგლიჯეთ** მონოჰოლში

უარყოფითი მნიშვნელობით გამოყენებული:

- რაღაც ვერ **ასწორებს**
- ტაში, ოვაცია მარში : დდდდდდდდდდდდ **რადარხეული** გვქონია :დდ
- რა **ბანძობااااااااااა**
- **მიტყდება** ამას რომ ვუსმინეე
- მაგარი **ვიღადავე** :D :D სამარცხვინოებოო

ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებზე დაყრდნობით წარმოგიდგენთ ქართულენოვან კომენტარებში შემჩნეული ჟარგონების სქემას:

დადებითი ჟარგონები/ სლენგური გამონათქვამები		**უარყოფითი ჟარგონები/ სლენგური გამონათქვამები**		**ორივე**
საკაიფო	კარგი, სასიამოვნო	**დამერხა**	მოვლენის გაუარესება/ დამძიმება	**ღადავი** -ხუმრობა / დაცინვა
საღოოლ	ყოჩაღ	**ბანძი**	ბინძური/ მოუწესრიგებელი	
გაასწორა	სასიამოვნოა, მისაღებია	**მიტყდება**	მეთაკილება, მესირცხვილება	
მოხოდვა	სისრულეში მოყვანა/	**გოიმი**	ჩამორჩენილი	

	ორგანიზება			
დაგლიჯა	მოწონება დაიმსახურა			
ბაზარი	საუბარი			
გაჩითვა	შოვნა			
დამულამება	ალღოს აღება			
სვეცკი	მოდური			
ჯიგარი	კარგი, სამაგალითო.			
ვიხევი	ვიცინი			
მევასება	მომწონს			

ინგლისურენოვან კომენტარებში გავრცელებული დადებითი და უარყოფითი ჟარგონები კი შემდეგია:

დადებითი

- **Epic**, it really deserves to be winner
- Overture ending **is fire**
- **Oooo slayyyyyyyy** u look amaziiiing!!!!

უარყოფითი

- it just **freaks** me out
- I feel sorry for the poor **bastard** with headphones on who's recording this.
- What a **bullshit**

ჩვენ მიერ მოპოვებულ მაგალითებზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ინგლისურენოვან კომენტარებში შემჩნეულ ჟარგონების სქემას

Positive Jargons/slangs		Negative jargons / slangs		Both
Bestie	The best friend	**My bad**	My fault / mistake	**Bastard** - unpleasant despicable person /poor
Cutie	Appealing / attractive	**Bullshit**	Stupid / talk nonsense	**Baddass –** tough, intimidating person / impressive, excellent.
Epic	incredible, strong, awesome	**Freak someone out**	Suddenly feel extremly surprised,upset, angry	
Slay	Impress/ amuse	**Asshole**	a selfish, unpleasant, obnoxious person	
Cool	Fashionable / attractive			
Buddy	A close friend			
Dude	Gay / man			
Fire	Very good			

ვულგარიზმები / ტაბუირებული სიტყვები ან ე.წ 4 -ასოიანი სიტყვები - უხეში, უხამსი, აკრძალული, უწმაწური სიტყვებია. ვერბალური აგრესიის გამოხატვა შეუძლებელია აღნიშნული ერთეულების გარეშე, რადგან სწორედ ვულგარიზმები და ტაბუირებული სიტყვების სიმრავლე გვიქმნის წარდმოდგენას, თუ რაოდენ დიდი სიძულვილით არიან განმსჭვალული ადამიანები ერთმანეთის მიმართ ვირტუალურ სამყაროში.

- ეს ***ლექალა** რას გავს
- ნამდვილი ***ოზია** ეს
- პუტინის *უკნა
- უსაქმური ***ლეეები** მაგათი ასაგდები ვინაა.
- whenever i feel like my band ***ucks** i watch this video
- fuck pop music it ***iss** me **off**
- imagine how u perpetuate that by your bullshit ***ss** comment
- LOTS OF ***UNTS**

- I like their music. But i can admit that Chad is an ***sshole** now and their new stuff is shitty.

უარყოფით კომენტარებშიც შევხვდით ტროპულ საშუალებებს, რომელთა მაგალითებს ქვემოთ წარმოვადგენთ:

შედარება

- It's like aliens tried to replicate human behavior and music
- I agree the vocalist for the second one sounded like he had a sore throat from eating to much Fried chicken
- the sweet child o mine cover souns like a cat being raped by a pig while there are ducks around screaming
- The singer in the first video sounded like he was being tortured to sing
- ამფრა იგრიხება როგორც ბიჭიკოს საფრთხობელა, უდიპლო სასიძოში.
- რუსულ სიტყვებს ძალიან ცუდად გამოთქვამ, კლიპს რაც შეეხება მონანიებაში რომ თეთრი პერანგით დადის წრეზე ის კაცი გამახსენდა
- ჩიტივით კი დაფრინავ მაგრااااااااااام……. ხმა არ გივარგა ლამაზოოოოოოოო 😄 😄

მეტაფორა:

- მაგრად ყროყინებ
- ყურებიდან სისხლდენა რითი შევაჩერო?
- თუ ეს გოგოა, რომელიც მღერის ბოდიში მაგრამ კი არ მღერიხარ ბღავიხარ. ლამის გავიგუდე.
- My ears and eyes are burning !!!!!!!
- My eardrums exploded after hearing sweet child o mine

მხატვრული ლიტერატურისთვის დამახასიათებელია **არქაიზმების** გამოყენება. იგი ემსახურება ძველი ეპოქის კოლორიტის ან ამაღლებული განწყობილების გადმოცემას. ელექტრონულ კომუნიკაციაში ქართულ და ინგლისურენოვან კომენტარებში ნაკლებად, თუმცა მაინც შეინიშნება არქაიზმის ნიმუში, რომელიც კომენტარს ექსპრესიულობასა და მხატვრულ ფერადოვნებას ანიჭებს



ფრაზა ,,სიძვის დიაცი'' უარყოფითი მნიშვნელობისაა. ამასთანავე მას ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი მხრივ, იგი ევფემისტური გამონათქვამია, მეორე მხრივ კი ,,დიაცი'' არქაიზმია, რომელიც ქართულ ენაში უკვე მოძველებულ სიტყვად იქცა.

აღსანიშნავია, რომ როგორც ინგლისურ, ასევე ქართულენოვან კომენტარებში ხშირია ადამიანების ცხოველებთან გაიგივების შემთხვევები. ქართულ რეალობაში ცხოველებიდან „ვირი'' „ძროხა'' და „ღორი“, ფრინველებიდან ,,ქათამი'', ხოლო ინგლისურენოვან კომენტარებში ცხოველებიდან ''rabbit'' და ''goat''დიდი პოპულარობით სარგებლობს. ეს სიტყვები გამოიყენება როგორც მამრობითი, ასევე, მდედრობითი სქესის ადამიანების მისამართით, რათა მოხდეს მათი პიროვნული შეურაცხყოფა. ვხვდებით, აგრეთვე, შედარებებს კატასთან და ცხენთან.









კომენტარების ავტორები ხშირად აქცენტს აკეთებენ **მუსიკოსის გონებრივ და ფიზიკურ ნაკლოვანებებზეც**: ,,სულელი'', ,,უტვინო'', ‘,,გაუნათლებელი'', ,,დებილი'', ,,ჩერჩეტი'', „კრეტინი“, „მახინჯი“, „უგუნური“, „ორღობის გაუნათლებელი ქალი'', „ცანცარა'', „გოიმი“, „ბანძი'', „გათახსირებული'', „ამორალური'', „სამარცხვინო''.



როგორც ინგლისურენოვან, ასევე ქართულ ვიდეო კომენტარებში აგრესიის გამოხატვისას კომენტარის ავტორები ხაზს უსვამენ **ადამიანის სხეულის ნაწილებს.** ხშირია მუსიკოსის **სექსუალურ ორიენტაციაზე** აქცენტირებაც:

- They are major **dicks**
- ამ **უსქესოს** დახედეთ, ვინ ხარ ბიჯოოოოოოო საიდააან მოხვედი

აგრესიას კომენტარების ავტორები იმითაც ავლენენ, რომ მუსიკოსს ხშირად სამკურნალოდ შერაცხავენ ან სამედიცინო სახის „დიაგნოზს'' უსვამენ, ასე მაგალითად:

- ამას ნაწლავებში აქვს პრობლემა? **სწორ ნაწლავში უჭირს**
- Are they having a **collective stroke**?

ფაქტია, რომ აგრესია ინტერნეტ სივრცის განუყოფელი ნაწილია, თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ გამოიყენება აგრესიული, სიძულვილის ენით გაჯერებული კომენტარები კომპიუტერულ– შუამავლობითი კომუნიკაციისას უფრო მეტად, ვიდრე პირისპირ კომუნიკაციაში?

უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერულ - შუამავლობითი კომუნიკაცია მოკლებულია სოციალურ კონტექსტს, ურთიერთობას, სახის გამომეტყველებასა და ემოციების გამოხატვას, რაც არაოპტიმალურს ხდის კომუნიკაციას. ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების უგულებელყოფა და მომხმარებლის ანონიმურობა ონლაინ სივრცეში მის ქცევას უფრო თავისუფალს და შეუზღუდავს ხდის. სწორედ სრული თავისუფლება არის მომხმარებლის მხრიდან აგრესიული და არაკორექტული კომენტარების გავრცელების წინაპირობა .

ემპირიული მასალის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ აგრესია მეტად უხეში და უხამსი ლექსიკით გადმოიცემა (წყევლა-კრულვა, ლანძღვა-გინება და პირადი შეურაცხყოფა, ვულგარიზმები, ჟარგონები, სლენგური გამოთქმები, ტაბუირებული, ე.წ. 4 - ასოიანი სიტყვები) და ზუსტად მოაქვს მკითხველამდე ის ემოცია, რაც ადრესატისგან არის გამოგზავნილი.

§2.3.3.სარკაზმი და ირონია YouTube - ის ვიდეო კომენტარებში

ვიდეო კომენტარზე საუბრისას, შეუძლებელია გვერდი ავუაროთ სარკაზმისა და ირონიის შემცველ გამოხმაურებებს.

ეტიმოლოგიურად, სიტყვა ,,სარკაზმი" („sarkazein'') ბერძნული წარმოშობისაა და ,,მწარედ ლაპარაკს" ნიშნავს. ,,სარკაზმი" შორს არის ენის კეთილი ბუნებისაგან, მას მხოლოდ თანდაყოლილი ,,მჟავიანობა და სიმწარე" დაკრავს. საინტერესოდ განმარტავს სარკაზმის არსს მ. პოგრებინი და ამბობს: ,,ნაშრომებში სიტყვა სარკაზმი განმარტებულია, როგორც „იუმორისტული აგრესია" (Pogrebin,1988:198-210).

რაც შეეხება ირონიას, მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან „eironeia'', რაც ,,თვალთმაქცობას" ნიშნავს. იგი გულისხმობს თავაზიანობით შენიღბულ დაცინვას და დამცინავი გადაკვრით ნათქვამს.

სარკაზმსა და ირონიაზე საუბრისას, ლინგვისტთა მხრიდან, ორი ურთიერთ-საპირისპირო მოსაზრება გვხვდება. მკვლევართა ერთი ნაწილი, როგორც წესი, ამ ორ ტერმინს განაცალკევებს ერმანეთისაგან და მიიჩნევს, რომ სარკაზმი ირონიის უფრო მწარე, მწვავე და დამცინავი ფორმაა. მკვლევართა მეორე ნაწილის თანახმად კი, ამ ორს შორის განსხვავების დანახვა რთულია. მეტიც, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ორი ტერმინი ურთიერთჩანაცვლებადია, სინონიმურია (ახვლედიანი, 2020:41).

ორაზროვანი მოსაზრებები ირონიისა და სარკაზმის შესახებ ხელს არ შეგვიშლის ვისაუბროთ მათ ბუნებასა და მახასიათებლებზე. ამ ორი ტერმინის დახასიათებისას მეცნიერები ხაზს უსვამენ სოციალურ და ინტერპერსონალურ ფუნქციებს და ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, თუ როგორ გამოიყენება ისინი საზოგადოების მიერ ყოველდღიურ ურთიერთობაში.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი განხილვა ონლაინ კომუნიკაციის სფეროშიც, სადაც მსგავსი შინაარსის კომენტარებმა საკმაოდ დიდი ადგილი დაიკავა. ამ მხრივ საინტერესო სურათს იძლევა YouTube-ის ვიდეო კომენტარები, სადაც ყოველ მეორე ვიდეოზე განთავსებული კომენტარი ირონიული და სარკასტული იდეის მატარებელია.

პირისპირ საუბრის დროს გაჟღერებული სარკაზმი და ირონია ადვილად მისახვედრია, ამას ხელს უწყობს ისეთი არავერბალური ელემენტების არსებობაც, როგორიცაა: გაღიზიანებული ან დაძაბული სახის გამომეტყველება, მიმიკა, შეცვლილი ხმის ტონი თუ ტემბრი. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვით ტექსტური შეტყობინებების შემთხვევაზე, სადაც არ არსებობს არც გამომეტყველება და არც ინტონაციურად არის მინიშნება. მეტიც, ირონიული შინაარსის ამოცნობა უფრო რთულდება მაშინ, როდესაც კომუნიკანტები არ იცნობენ ერთმანეთს.

მოცემული პრობლემის აღმოსაფხვრელად ციფრულმა ხანამ, კონტექსტის გათვალისწინებასთან ერთად, ბუნდოვანების შესამცირებლად რამდენიმე გზა შეიმუშავა, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებული ფორმა ე.წ „სიცილაკების/ღიმილაკების“ განთავსებაა, რომლებიც გამოიყენება ნებისმიერი ემოციის აღსანიშნად. დღესდღეობით მათი როლი კომუნიკაციაში საგრძნობლად გაიზარდა, რაზეც მეტყველებს ტექსტების ჩანაცვლება ემოტიკონებით.

ქვემოთ წარმოგიდგენთ ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის დროს მოძიებულ ირონიული და სარკასტული შინაარსის მქონე ვიდეო კომენტარებს, რომელთა რაოდენობა იმაზე მეტი აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა:

- His hands are faster than my internet
- See this is what happens when you dont rehearse
- ეს მოასმენინეთ მეზობლის ბავშვს და შიშით ხმას ვერ გაგცემთ
- მზეს აღარ უმღერო თორე არ ამოდის და დავლპით

ინტერნეტ მომხმარებლები ხშირად დასცინიან მუსიკოსების მოძრაობებსა თუ ჯდომის მანერას:

- When you want to pee but you have to do a piano concert
- Damn, she's moving more in almost 5 Minutes at the piano than me in a pool...
- The worst posture I’ve ever seen for playing piano; poor back

- ამას მგონი კენჭის გავლა აქვს?!
- ეს რა მეგა *ირობაა.....მოძრაობა მაინც დაამთხვიე

- კალიასავით რავა უხტის
- როგორ კვინტრიშობს ხბოსავით

ინტერნეტ მომხმარებლები მუსიკოსებს ადარებენ სხვადასხვა პერსონაჟს, აკრიტიკებენ მათ გარეგნობას და ამით აკნინებენ მათ:

- Is it just me or is his facial expressions to similar to Mr bean?
- He could swallow a house with the size of that mouth... Haha lol 😂'
- ნინო ქათამაძეობა უნდოდა და ქათამი გამოვიდა

ირონია განსაკუთრებით შესამჩნევია მაშინ, როდესაც იგი მუსიკოსის კომპეტენციას ეხება:

- sad that isnt special to play this song anymore because its to easy: →everybody can play this song man
- Matheus Damasceno I believe the song was written in like 10 minutes lmao, song just has the key elements for a good song.

- ნიჭი წონას გააყოლე?
- მგონი ყურები დამისისხლიანდა, მადლობა

ირონიული და სარკასტული გამონათქვამებისგან განსხვავებით, YouTube ვიდეო კომენტარებში ცალკე აღნიშვნის ღირსია **იუმორის** შემცველი კომენტარები, რომლელიც ემსახურება სხვათა გამხიარულებასა და კარგი განწყობის შექმნას.

- იქნებ პანდემიით იმიტომ ვისჯებით რომ ეს სიმღერა არსებობს
- კომიდან გამოღვიძებული ბაბუაჩემი სიმღერის გათიშვას მთხოვდა
- I played this song and my furniture rearranged itself :))).
- singing in the shower with a shampoo bottle XD xd
- Who hurt you this time Alen, We'll fight them

ირონია და სარკაზმი უმნიშვნელოვანეს ადგილს იკავებს ელექტრონულ კომუნიკაციაში, კერძოდ, YouTube ვიდეო კომენტარებში. მიუხედავად იმ სირთულისა, რაც თან ახლავს მის ამოცნობას შენიღბულ ტექტსებს უკან, ვიდეოს კონტექსტი ყოველთვის გვაძლევს საშუალებას გავიაზროთ, თუ რა იყო რეალურად

ნაგულისხმევი კომენტარის ავტორის მიერ. რაც შეეხება იუმორს, იგი მარტივი გამოსაცნობია, რადგან კომენტარები, რომლებიც არ ვნებს სხვას და მხოლოდ გამხიარულების მიზნითაა დაწერილი, რადიკალურად განსხვავდება ირონიულ-სარკასტული კომენტარებისგან.

§2.4. YouTube ვიდეო კომენტარების გრაფიკული მახასიათებლები

ინტერნეტ ენა დღითიდღე მრავალფეროვანი ხდება და ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს კომუნიკანტებს. კვლევისას ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება ინტერნეტ ენისათვის დამახასიათებელმა გრაფიკულმა ელემენტებმა მიიპყრო.

YouTube-ის ვიდეო კომენტარებისათვის განუყოფელ ფენომენს წარმოადგენს **ემოტიკონები.** ემოტიკონი ადამიანის ემოციის გამომხატველი სიმბოლოა, რომელიც შედგება სასვენი ნიშნების, ასოებისა და ციფრებისაგან. მისი გამოჩენა დაკავშირებულია სკოტ ფალმანის სახელთან, რომელმაც 1982 წელს შექმნა პირველი ნიმუშები: :-) სიმბოლო, რომელიც აღნიშნავდა ღიმილს, ხოლო :-(მოწყენილობას (ახვლედიანი,2020:54).

წერილობითი კომუნიკაცია მოკლებულია სხეულის ენისა და ხმის ტემბრის გამოყენებას. ამ დანაკლისის კომპენსაციის მიზნით, ადამიანები ონლაინ კომუნიკაციისას ხშირად იყენებენ ემოტიკონებს, ვინაიდან ეს სიმბოლოები გამოხატავს როგორც მენტალურ, ისე ფიზიკურ რეაქციებსაც. გარდა ამისა, ისინი მომხმარებლის დამოკიდებულებისა და აზრის სწორად გასაგებად საუკეთესო საშუალებაა.

ემოტიკონების მრავალი სახეობა არსებობს. ისინი იყოფა: დადებით და უარყოფით, ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ ემოტიკონებად. ამ ორ უკანსაკნელს შორის განსხვავება აისახება არა მარტო ფორმაში, არამედ მათი გამოყენებისა და გავრცელების არეალშიც. ფორმის მხრივ, ვერტიკალური ემოტიკონები მიმართულია მარცხენა მხარისაკენ, ისე, როგორც შემდეგ მაგალითებშია: :-) ან :-(, მათ ძირითადად, იყენებენ დასავლურ კულტურაში. რაც შეეხება აღმოსავლურ

კულტურებს, მათ გააჩნიათ ემოტიკონების თავიანთი სტილი, რაც სულაც არ გულისხმობს მარჯვენა ან მარცხენა მხარის უპირატესობას.

ღიმილი	**;-)**
სიცილი	**:D**
ხუმრობა	**:-P**
სიცილის უკიდურესი ფორმა	**XD**
სიყვარული	**<3** **♡‿♡** **(˘ ω ˘)**
კეთილგანწყობა	**^_^** **:***
მოწყენილობა/გაბრაზება	**-_-** **\(^o^)/**

დღესდღეობით ონლაინ კომუნიკაცია წარმოუდგენელია ემოტიკონების გარეშე. ხშირად სიტყვების ნაცვლად სწორედ გრაფიკული ფორმები გადმოსცემენ მომხმარებლის სათქმელს. YouTube-ის ინგლისურენოვან და ქართულ ვიდეო კომენტარებში შევნიშნეთ ბედნიერების, დამწუხრების, დაბნეულობის, სიცილისა და სიბრაზის გამომხატველი ემოციური ფიგურების სიმრავლე.

ჰორიზონტალური ემოტიკონების საშულებით, მომხმარებლები გამოხატავენ სიყვარულის ემოციას:

- uh the music going through my heart **(˘ ω ˘)**
- I love to play this song in Piano Tiles. **♡‿♡**

კეთილგანწყობას, მუსიკოსის ან მუსიკის მიმართ:

- I miss you Yiruma ╥﹏╥ It's been a longggg timeee Listening to you wonderful music makes me better than before Luv you ^-^
- i always enjoyed this kind of music ^_^

- Nickelback are just so awesome ^_^ I love their music, Wish I had Chads guitar skills
- როგორ მიყვარს ამ ჯგუფის სიმღერები ^_^
- ორივე ძაან მაგარია, ეგრე განაგრძეთ ^_^
- საკაიფო ვეშია ^_____^ საღოლ დაგდაგაან ^_^
- მერამდენედ ვუსმენ ^_ ^

მოწყენილობას ან გაბრაზებას:

- LIke as usual, Yiruma did a great job ! Who have melancholic feeling like me when listening ? **\(^o^)/**
- It´s like to look in Lucifer´s eyes **-_-**
- მგონი მეძინა ეს რომ ვერ ვნახე -_-

ჰორიზონტალურისგან განსხვავებით, შეინიშნება ვერტიკალური ემოტიკონების სიმრავლე. ჩვენ ნაშრომში ვერტიკონთა ნიმუშები ორ ჯგუფად წარმოვადგინეთ: დადებითი და უარყოფითი. დადებით ემოტიკონებში გავაერთიანეთ შემდეგი ფიგურები :-), :-D, XD, <3, :P.

ღიმილის აღმნიშვნელი ემოტიკონი, როგორიცაა: :-) ან :), გამოიყენება, კეთილგანწყობის, მხიარულებისა და ბედნიერების აღსანიშნად:

- very great !! very beautiful to listen and to look **:-)** wonderful person or wonderful musical sense. **:)**
- უძლიერესი სიმღერაა :)
- ძალიან სასიამოვნოა :)

ინგლისურენოვანი ვიდეო კომენტარებისგან განსხვავებით, ქართულ ვიდეო კომენტარებში **კეთილგანწყობას** გამოხატავს შემდეგი ემოტიკონიც :*

- ძალიან, ძალიან მიყვარს :*:*
- დილაც ასე უნდა დაიწყოს მაგრად მევასებით :*
- სააღოლ საკაიფოა :*

ემოტიკონი :-D ან :D გამოიყენება **სასაცილო** დამოკიდებულების გამოსახატავად:

- He has some kind of problem with his mouth ? **:D**

- I don't know why but the dude in the video looks like Chris Jerico **:D**
- supreme brick2: only sexy girls came to see him **:D**

იმავე დატვირთვას ატარებს ზემოთ ხსენებული ემოტიკონი ქართულ ვიდეო კომენტარებშიც. უფრო მეტიც, არსებობს მისი ქართული ვარიანტიც:

- მოიცა ეს ქართველების სიმღერაა? :დ
- როკმა პური ჭამა! :დდდდ
- მაგარი ვიღადავე :D :D
- ბიბერი რომ გაჯობებს ადამიანს სიმღერით :D

გარდა ზემოაღნიშნული ნიმუშისა, არსებობს სიცილის გამომხატვის სხვა ფორმაც, რომელიც, ძირითადად, გამოიყენება ძალიან სასაცილო ფაქტის აღსანიშნად:

- when I was 4 I thought my dad was nickelback lolololol! **XD**
- i liked the centaur guy playing the guitar lol **XD**
- ეს რომ დიკაბრიოს მოესმინა თვითონ ჩაძირავდა იმ გემს XD

YouTube-ის ვიდეო კომენტარების ლინგვისტური ანალიზისას შევხვდით ემოტიკონს :-P ან :P ფორმასაც, რომელიც, უმეტესად, **სახუმარო** დამოკიდებულების მაჩვენებელია:

- just wanted to comment **:P**
- This is absolutely hilarious this video and the song. **:P**
- And I thought music videos today were weird**: p**

დადებით ემოტიკონთა შორის, როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულ ვიდეო კომენტარებში გამოყენების სიხშირით გამოირჩევა **სიმპათიისა და სიყვარულის** აღმნიშვნელი ვერტიკონი **<3**

- I love so much this song **<3**
- Love you guys. Thanks a lot for this masterpiece. **<3**
- Handsome young genius! Thanks for sharing. **<3**
- როგორრ მიყვარს ეს ჯგუფიი პროსტა არიცით <3

- ეს ის სიმღერაა რომლის მოსმენაც არ მბეზრდება <3
- შემიძლია გაუჩერებლად ვუსმინო მთელი დღე და ღამე <3

რაც შეეხება უარყოფითი ემოციების გამომხატველ ემოტიკონებს,-ემოტიკონს :-(კომენტარებში ორმაგი დატვირთვა აქვს. იგი, ერთი მხრივ, **მოწყენილობას,** მეორე მხრივ კი **გაბრაზებას** გამოხატავს:

- I guess i'm lonely **:(**
- Freddie please come back!! we need you **:(**
- Anyone else suddenly obsessed with MJ? I feel so sad I never got to see him perform I was born in the wrong generation**:(**
- არ იმსახურებთ ასეთ მცირე მსმენელთა რაოდენობას, არააااა :(
- არ მესმის ასე ზუსტად რროგორ უნდა აღწეროს ჩემი ცხოვრება მუსიკამ :(((
- ფუ რა ამაზრზენი ხარ :((

უარყოფითი ემოციების აღსანიშნ ფიგურად ითვლება შემდეგი ემოტიკონიც: **:-/ .** მომხმარებელი მას მიმართავს მაშინ, როდესაც მისთვის რაღაც **გაურკვეველი ან ბუნდოვანია** :

- i dont understant the meaning of the lyrics and the video **:/**
- ანუ ტექსტი გასაგებია მარა კლიპი ტექსტთან რა შუაშია : /
- ვინ როგორ გაიგო მოკლედ თქვით ? :/

მაგალითების საფუძველზე ვრწმუნდებით, რომ ინტერნეტ კომუნიკაციაში ემოტიკონები ემოციების გამოხატვის ერთ-ერთი პოპულარული საშუალებაა, ეს მარტივი სიმბოლოების კომბინაციები წლების განმავლობაში ფართოდ გამოიყენებოდა ონლაინ მესიჯებში, თუმცა, ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ემოტიკონების გვერდით გამოჩნდა და სწრაფად მოიპოვა პოპულარობა კიდევ ერთმა საკომუნიკაციო საშუალებამ, რომელსაც ემოჯი ეწოდება.

ემოტიკონების მსგავსად, ემოჯი პოპულარული გრაფიკული სიმბოლოა და გამოიყენება ციფრულ კომუნიკაციაში ემოციების გამოსახატავად. ემოჯები მნიშვნელოვნად ამდიდრებენ ტექსტურ შეტყობინებებს, სოციალური მედიის

პოსტებს და სხვა ონლაინ ინტერაქციებს. ემოჯებს უამრავი თავისებურება გააჩნია, თუმცა მათი ძირითადი მახასიათებლები შემდეგია:

- **უნივერსალურობა.** ისინი გასაგებია მრავალი კულტურისა და ენის წარმომადგენლებისთვის;
- **მრავალფეროვნება.** არსებობს ასობით ემოჯი, დაწყებული სახის გამომეტყველებით, დამთავრებული ცხოველებით, საგნებით და აქტივობებით;
- **ევოლუცია.** ჩნდება ახალი ემოჯები, ძველს ახალი ემატება. ისინი ასახავენ და გადმოსცემენ თანამედროვე კულტურულ ტენდენციებს;
- **პლატფორმებს შორის განსხვავება.** ემოჯის დიზაინი შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა პლატფორმაზე (მაგ. Apple, Google, Microsoft).

ემოჯის ისტორიის სათავეები იაპონიას უკავშირდება, სიტყვა ,,ემოჯი" იაპონური წარმოშობისაა და ნიშნავს "სურათ-სიმბოლოს" (絵文字). პირველი ემოჯი 1999 წელს შეიქმნა იაპონელი მხატვრის შიგეტაკა კურიტას მიერ, NTT DoCoMo-ს მობილური ინტერნეტ პლატფორმისათვის. კურიტა და მისი გუნდი ცდილობდნენ, გაეუმჯობესებინათ მობილური კომუნიკაცია. მათ შენიშნეს, რომ ტექსტური შეტყობინებები ემოციური კონტექსტის ნაკლებობის გამო ხშირად არასწორად იყო გაგებული. გუნდმა მიზნად დაისახა შეექმნა მარტივი, მაგრამ ექსპრესიული სიმბოლოები, რომლებიც შეზღუდული ტექნოლოგიური შესაძლებლობების პირობებში დაეხმარებოდა მომხმარებელს ემოციების გადმოცემაში. თავდაპირველად, ემოჯების რაოდენობა შეადგენდა 176 ელემენტს, 12x12 პიქსელის ზომით, თუმცა მათი რიცხვი მალევე საგრძნობლად გაიზარდა.

ემოჯი, სწრაფად გავრცელდა ჯერ იაპონიაში, შემდგომ კი მთელს მსოფლიოში. დღეს ის გამოიყენება პრაქტიკულად ყველა ციფრულ პლატფორმაზე: მობილურ აპლიკაციებში (WhatsApp, Telegram, და ა.შ.), სოციალურ მედიაში (Facebook, Instagram, Twitter), ელექტრონულ ფოსტაში, ვებ-გვერდებზე და ბლოგებში. 2024

წლის 10 სექტემბრის მდგომარეობით, Unicode სტანდარტში 3,790 ემოჯია და დღითიდღე მათი რიცხვი საგრძნობლად იზრდება.[3]

ვინაიდან ჩვენი საკვლევი ობიექტი YouTube-ის ვიდეო კომენტარებია, სწორედ აღნიშნულ პლატფორმაზე დავაკვირდებით ემოჯის თავისებურებებსა და ფუნქციონალურობას. უპირველეს ყოვლისა, დავიწყებთ ემოჯების გამოყენების უპირატესობებისა და ნაკლოვანებების განხილვას:

1. **კომუნიკაციის გაუმჯობესება:**

ტექსტურ კომუნიკაციაში ხშირად რთულია ემოციების ზუსტად გადმოცემა. ემოჯი საშუალებას გვაძლევს წერილობით შეტყობინებებს დავამატოთ ემოციური ნიუანსი და ტონი.

ის დანაკლისი, რაც ტექსტურ შეტყობინებებს გააჩნდა ემოციების გამოხატვის თვალსაზრისით, ემოჯებმა შეავსეს და სრულად მოახდინეს კომპენსირება. შესაბამისად, შემცირდა გაუგებრობებიც და მარტივი გახდა სხვათა ემოციური გამონათქვამების გაგება.

2. დროის დაზოგვა

ემოჯების დახმარებით შესაძლებელი გახდა რთული იდეების ან ემოციების სწრაფად გამოხატვა ერთი სიმბოლოთი, რამაც საგრძნობლად შეამცირა მომხმარებლის დროის ხარჯვის მაჩვენებელი.

3. კულტურათაშორისი კომუნიკაციის გაადვილება:

ემოჯებმა შექმნეს უნივერსალური ვიზუალური ენა, რომელიც სცდება ლინგვისტურ ბარიერებს და მარტივად წვდება გლობალურ აუდიტორიას.

4. ვიზუალური მიმზიდველობა:

ემოჯები ვიზუალურად აფერადებს კომუნიკაციას, კრეატიულობასა და ბუნებრიობას ანიჭებს მას.

5. სტრესის /კონფლიქტის/ დაძაბულობის შემცირება :

მსუბუქი და სახალისო ელემენტის შეტანა კომუნიკაციაში, ხელს უწყობს დაძაბული სიტუაციის განმუხტვას. ემოჯის გამოყენება ზრდის პოზიტიურ განწყობას და ემპათიას ონლაინ ინტერაქციებში. ის ეხმარება ადამიანებს, უკეთ გამოხატონ თავიანთი პიროვნება ციფრულ სივრცეში.

[3] New Emojis In 2024-2025 (emojipedia.org)

6. ინფორმაციის სწრაფი მიწოდება:

ემოჯების საშუალებით შესაძლებელი გახდა ტექსტის გარეშე, სიტუაციის ან განწყობის სწრაფად გადმოცემა;

7. **ტრენდულობა და სოციალური მიმღებლობა:**

ემოჯის გამოყენება ხშირად მოდურად მიიჩნევა. იგი განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორისაა პოპულარული.

მიუხედავად ემოჯის მრავალი უპირატესობისა, მას გარკვეული ნაკლოვანებებიც აქვს:

1. **ინტერპრეტაციის სიმრავლე:**

ერთი და იგივე ემოჯი შეიძლება სხვადასხვა ადამიანის მიერ სხვადასხვაგვარად იქნას გაგებული, კულტურული განსხვავებები შეიძლება იწვევდეს გაუგებრობებს;

2. **პროფესიონალიზმის ნაკლებობა:**

ზოგიერთ ფორმალურ ან პროფესიულ კონტექსტში ემოჯის გამოყენება შეიძლება არაადეკვატურად ჩაითვალოს,

3. **ზედმეტად გამარტივება:**

რთული იდეების ან ემოციების ემოჯით გამოხატვამ შეიძლება გამოიწვიოს ინფორმაციის დაკარგვა.

4. **ტექნოლოგიური შეზღუდვები:**

სხვადასხვა პლატფორმაზე ემოჯი შეიძლება განსხვავებულად გამოიყურებოდეს, ძველ მოწყობილობებზე შეიძლება არ გამოჩნდეს ან არასწორად გამოისახოს;

5. ენობრივი უნარების შესუსტება:

ემოჯიზე ზედმეტმა დამოკიდებულებამ შეიძლება შეამციროს წერილობითი კომუნიკაციის უნარები, ასევე, შესაძლებელია შეზღუდოს ლექსიკის გამდიდრება;

6. ასაკობრივი განსხვავებები:

უფროსი თაობის წარმომადგენლებს შეიძლება გაუჭირდეთ ემოჯის გაგება ან გამოყენება, რაც წარმოშობს თაობებს შორის კომუნიკაციის ბარიერებს.

მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, ემოჯი განაგრძობს ევოლუციას და ციფრული კომუნიკაციის ცვალებად საჭიროებებთან ადაპტაციას, ამასთანავე, რჩება პოპულარულ და სასარგებლო ინსტრუმენტად თანამედროვე კომუნიკაციაში, რასაც ცალსახად მოწმობს ემოჯების ხშირი გამოყენება YouTube პლატფორმაზე.

ვიდეო კომენტარებში ემოჯები სხვადასხვა მიზნით გამოიყენება, რაც დამოკიდებულია კონტექსტზე, თემატიკასა და მომხმარებელთა კომუნიკაციის სტილზე. დავაკვირდით რა პრაქტიკულ მასალაში გამოყენებულ ემოჯებს, შევიმუშავეთ შემდეგი კლასიფიკაცია:

ემოციური ემოჯები გამოიყენება გრძნობების, ემოციების და განწყობის გამოსახატავად:

ემოჯი	განმარტება
😂	სიცილი
🤩	აღტაცება, გაოცება
❤️	სიყვარული , მოწონება , დადებითი შეფასება
🥰😍	მოწონება, კეთილგანწყობა , სიმპათია
😡	გაბრაზება, უკმაყოფილება
🤮	ზიზღი, გაბრაზება, ინდიფერენტული დამოკიდებულება
😥😭	ტირილი, სევდა, მოწყენილობა, სინანული
🙄	უკმაყოფილება, სარკაზმი, დაბნეულობა

ემოჯის 😂 (სიცილი) გამოყენება ვიდეო კომენტარებში რამდენიმე მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, კომენტარის ავტორს სურს გამოხატოს კმაყოფილება და სიამოვნება ან აღნიშნოს, რომ რაღაც ძალიან სასაცილოა. მეორე მხრივ კი შესაძლოა ის სარკაზმსა და ირონიას გამოხატავდეს.

- სიმღერის ნიჭი მაინც გქონდეს, რასაც გავხარ კი ვიცი😂😂

- hahahaha it got me rolling on the floor😂

ემოჯი 🤩 (აღტაცება, გაოცება) YouTube -ის ვიდეო კომენტარებში, როგორც წესი, გამოხატავს აღფრთოვანებას, გაოცებას ან აღტაცებას ვიდეოს, მუსიკოსის, შემსრულებლის და სხვათა მიმართ.

- ეს უბრალოდ შედევრიაააა🤩 ვამაყობ რომ ქართველი ვარ <33
- Pure talent… obsessed with him 🤩🤩🤩

ემოჯი ❤️ (სიყვარული, მოწონება, დადებითი შეფასება) გამოიყენება მაშინ, როდესაც ადამიანებს სურთ გამოხატონ სითბო, სიყვარული ან დადებითი დამოკიდებულება ნანახის, წაკითხულის ან მოსმენილის მიმართ

- საუკეთესო მომღერალი ხარ და ყოველთვის თვალს გადევნებ წარმატებები!!! ❤️❤️❤️❤️
- Yes I still love this song from 1979 until 2024 ❤️❤️❤️

ემოჯი 🥰😍 (მოწონება, კეთილგანწყობა, სიმპათია) გამოიყენება სათუთი ემოციების, მოწონების, სიყვარულის, სიმპათიისა და კეთილგანწყობის გამოსახატავად. ჩვენი ვარაუდით, აღნიშნული ემოჯები უფრო ძლიერ, დადებით და სუბიექტურ გრძნობასა და ემოციას გამოხატავს, ვიდრე ჩვეულებრივ ❤️.

- ძალიან მიყვარს ქართული ენაააა😍 რა ლამაზიااااა დედაااა😍😍😍
- Absolutely perfect in every way. What a great artist. Love her!!! 🥰

ემოჯი 😡 (ბრაზი) გამოხატავს მომხმარებლის სიბრაზეს, განრისხებასა და უკმაყოფილებას, ერთგვარ პროტესტს კონკრეტულ მოვლენასთან დაკავშირებით.

- რატომ შეცვალეს სოლისტი ან ეს რატომ ჩათვალეს რომ რამეს წარმოადგენს 😡😡
- Stoooooooooop putting ads in the middle of music!!!!!!!!!!!!!!!!!!! 😡

ემოჯი 🤮 (ზიზღი, გაბრაზება) გამოიყენება, როდესაც ადამიანი რაიმეს სრულიად არასასურველად ან მიუღებლად თვლის. ეს ემოჯი ყველაზე კარგად წარმოაჩენს კომენტარის ავტორის სასტიკ წინაარმდეგობასა და სიძულვილს.

- გაიტანეთ ეს ქალიიიი სცენიდან, ან ვინმე პატრონი არ ყავს ამ უბედურს🤮
- Can't stand this trashy music 🤮 who thought this waaas a good idea.....

ემოჯები 😥😭(სევდა, მოწყენილობა, ტირილი, სინანული) YouTube- ის ვიდეო კომენატარებში გამოიყენება, როდესაც ადამიანი ამჟღავნებს მწუხარებას, სევდას, წყენას, სინანულს ან დარდს რაღაც ინფორმაციის ან მოვლენის გამო.

- ამ მუსიკამ მოგონებები გამიცოცხლა ვერ ვჩერდებიიიიიიიიიიიიიი 😭
- I saw the video maybe 5 times and each time I cried 😢😢😢

ემოჯი 🙄 (დაბნეულობა, სარკაზმი, უკმაყოფილება) გამოხატავს სიღრმისეულ სკეპტიციზმს ან კრიტიკულ დამოკიდებულებას. ვიდეო კომენატრებში მომხმარებელი მიმართავს მას, როდესაც მისთვის რაღაც გაურკვეველი, არადამაჯერებელი და უინტერესოა. იგი უნდობლობისა და უკმაყოფილების გამოხატვის ერთ-ერთი გზაა.

- ვააიჰ.... რა ორიგინალურია 🙄
- Cant believeeeeeeeeeeeeeeeeeeeee this is trending 🙄🙄🙄

ქვემოთ ცხრილის სახით წარმოდგენილი ჩამონათვალი **მოსაზრებებისა და შეფასებების** გამოხატვას ემსახურება:

ემოჯი	განმარტება
👍	თანხმობა, მოწონება, ლოიალურობა
👎	უარყოფა, უკმაყოფილება

🔥	შესანიშნავი, მაგარი
💯	სრულყოფილება, ზედმიწევნით შესრულება

ემოჯი 👍 (თანხმობა, მოწონება, ლოიალურობა) YouTube-ის ვიდეო კომენტარებში გამოიყენება მაშინ, როცა ადამიანი ეთანხმება რაიმეს, მოსწონს ან კმაყოფილია რაღაცით :

- ძალიან კარგი შესრულება 👍👍 საუკეთესოოო
- Their performance of this piece is my favorite of all time 👍

ემოჯი 👎 (უარყოფა, უკმაყოფილება) გამოიყენება, მაშინ როდესაც ადამიანს არ მოსწონს,უკმაყოფილოა რაღაცით.

- არ ვარგაა 👎👎👎 ვიზუალიც შემაწუხებელია დამეთანხმებით?!
- This song is absolutely disgusting 👎

ემოჯი 🔥 (შესანიშნავი, მაგარი) გამოიყენება მაშინ, როდესაც რაღაც ძალიან კარგი, ძლიერი, დინამიური ან არაჩვეულებრივია. აღნიშნულ ემოჯის მრავალი განმარტება აქვს. ზოგჯერ კომენტარის ავტორი აღფრთოვანებას, მოწონებასა და სიამოვნებას სწორედ მისი საშუალებით გამოხატავს.

- დაანთო ცეცხლი სცენაზე...🔥🔥.ბრავო ბრავო და კიდევ ერთხელ ბრავოოოო!!!
- WTFFF!!!!! SUCH BEAUTY!! 🔥 SUCH TALENT!! ...

ემოჯი 💯 (სრულყოფილება) გამოიყენება, როგორც ხარისხის ან წარმატების მაჩვენებელი. ზოგადად, იგი გულისხმობს, რომ რაღაც საუკეთესო, სრულყოფილი და განსაკუთრებულია.

- როცა ფიზიკური სილამაზე, ნიჭი და გემოვნება ერთადაა თავმოყრილი 💯💯💯გაფასებთ

- Lola is absolute perfection 💯 This music just makes my soul float

აღნიშნული ემოჯები გამოიყენება **მხარდაჭერის, მიღწევების, აღფრთოვანების ან მადლიერების** გამოსახატავად:

ემოჯი	განმარტება
👏	აღფრთოვანება, მოწონება, მხარდაჭერა
🙏	მადლიერება
🤲	თანაგრძნობა, მხარდაჭერა

ემოჯი 👏 (აღფრთოვანება, მოწონება, მხარდაჭერა) YouTube-ის ვიდეო კომენტარებში გამოხატავს აღფრთოვანებას, მოწონებას და შთაბეჭდილებას იმასთან დაკავშირებით, რომ რაღაც ძალიან კარგად ან შთამბეჭდავად განხორციელდა, ასევე, კმაყოფილებასა და სიამაყეს რაიმე მიღწევის ან გამარჯვების გამო.

- ბრავო 👏 ძალიან კარგები და საყვარლები ხართ.გაიხარეთ 👏👏
- Beautifully played. Such passion 👏👏👏👏👏

ემოჯი 🙏 (მადლიერება,) გამოიყენება მადლიერების, დაფასების ან თხოვნის გამოხატვის მიზნით. ის, ასევე,შეიძლება აღნიშნავდეს ლოცვას, ან კიდევ სიმბოლურად გამოხატავდეს მხარდაჭერას ან თანაგრძნობას.

- მადლობა ამ საოცარი შეგრძნებისთვის 🙏მინდა სულ გისმინოოო 🙏
- I love all the music you play. you are the master of all masters. may god always stand by you 🙏🙏

ემოჯი🤲 (თანაგრძნობა, მხარდაჭერა) - მისი მნიშვნელობა შეიძლება განსხვავდებოდეს კონტექსტის მიხედვით, YouTube-ის ვიდეო კომენტარებში იგი

ხშირად გამოიყენება მხარდაჭერის, მოწონების, მადლიერების, ჰარმონიისა და პატივისცემის მიზნით.

- ეს ბიჭი ჩემი აღმოჩენაა, ასე გააგრძელე 🙏🙏🙏🙏
- Bravo !!!! Wonderful ..... so powerful🙏🙏

ხუმრობა და იუმორი - ეს ემოჯები გამოიყენება ხუმრობის, იუმორისა და კარგი განწყობის გადასაცემად:

ემოჯი	განმარტება
😛	გასულელება, მოტყუება,ხუმრობა
😎	თვითდაჯერებულობა, თავმომწონებობა, ირონია
😜	გაურკვევლობა,სიგიჟე, უაზრობა,სიცილი, დაბნეულობა

ემოჯი 😛 (ხუმრობა, მოტყუება, გასულელება) გამოხატავს მხიარულ განწყობას. ზოგჯერ გამოიყენება მსუბუქი გაღიზიანების ან დაცინვის მიზნით, მაგრამ არა ბოროტი განზრახვით, როგორც სხვა ემოჯების შემთხვევაში, ზუსტი მნიშვნელობა დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექტსზე და კომენტარის ავტორის განზრახვაზე:

- როგორც ჩანს აწი მხიარულება არ მოგვაკლდებااა😛
- Those legs. The Piano smoked a cigarette after. 😛

ემოჯი 😎 (თვითდაჯერებულობა, თავმომწონეობა, ირონია) ვიდეო კომენტარებში შეიძლება მიანიშნებდეს თავდაჯერებულობაზე ან საკუთარი თავის რწმენაზე, თუმცა ყველაზე ხშირად გამოიყენება ,,მაგარის'' მნიშვნელობით. ამ შემთხვევაში სიტყვაში ,,მაგარი'' ვიგულისხმეთ სლენგური ტერმინი, რომელიც აღნიშნავს რაიმე ისეთს, რაც შთამბეჭდავია, განსაკუთრებულია ან მიმზიდველია.

აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტიც, რომ ხშირად აღნიშნულ ემოჯის ირონიულ-სარკასტული დატვირთვა აქვს.

- ტიპმა დაგვაფარა მარა გაგვისწორდა😎
- That's really coool 😎 loved every moment <3

ემოჯი 😜 (გაურკვევლობა, სიგიჟე, უაზრობა, სიცილი, დაბნეულობა) ჩვეულებრივ გამოიყენება ხალისიანი, არაორდინალური და ქაოტური განწყობის გამოსახატავად. ეს ემოჯი კომენტარს არაფორმალურ ტონს სძენს.

- კი არ ვუსმენ რომ ვუყურებ ასე მემართებაა 😜
- Crazy fun, cant stop dancing 😜😜😜

ცალკე აღნიშვნის ღირსია ემოჯების გრამატიკული მახასიათებლები:

ემოჯებმა შეიძლება ჩაანაცვლოს ასოები, სიტყვები, ფრაზები და მთელი წინადადებებიც კი. ისინი შეიძლება განმეორდეს სიმრავლის გამოხატვის მიზნით (👶👶 „ბავშვები“) ან მოხდეს ზმნიზედის მოდიფიკაცია (🛫🛫🛫 „სწრაფად ფრენა“). კომბინაციაში, ისინი ქმნიან წინადადების მსგავს თანმიმდევრობას, რომელსაც გააჩნია ქვემდებარე, დამატება და ზმნა;

მაგ: ,,მე მიყვარს პიცა" . 🍕🙂❤️

ემოჯის გამოყენების გაზრდამ შეამცირა ღიმილაკების სიხშირე, თუმცა გაზარდა არასტანდარტული ენის გამოყენება. რეალურად გაჩნდა იმის საფრთხე, რომ მალე ტრადიციული ტექსტები არა სიტყვებით, არამედ ემოჯებით იქნება გადმოცემული.

YouTube-ის კომენტარებში ემოჯების გამოყენებას მრავალფეროვანი სახე აქვს. მათი ზუსტი მნიშვნელობა დამოკიდებულია კონკრეტულ კონტექსტზე, თემატიკასა და მომხმარებელთა განზრახვაზე. ემოჯების ინტერპრეტაცია ხშირად სუბიექტურია და შეიძლება განსხვავდებოდეს სხვადასხვა ადამიანისა და კულტურის მიხედვით. ემოჯები აძლიერებენ კომენტარების შინაარსს და მომხმარებლებს თავიანთი ემოციების, მოსაზრებებისა და შეფასებების უფრო მხიარულად და ვიზუალურად გამოხატვის საშუალებას აძლევენ.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ ცხადყო, რომ ციფრული კომუნიკაციის ეპოქაში ემოჯები და ემოტიკონები ჩვენი ყოველდღიური მიმოწერის განუყოფელი ნაწილი გახდა. ეს ვიზუალური სიმბოლოები გვეხმარება გრძნობებისა და ემოციების გამოხატვაში. ზემოთ უკვე განვიხილეთ თითოეული მათგანი და ვნახეთ, თუ რაოდენ განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან, თუმცა ამ ანალიზში ჩვენ შევადარებთ აღნიშნულ ორ ფენომენს, რათა უკეთ გავიგოთ მათი უნიკალური თავისებურებები და გავლენა ონლაინ კომუნიკაციაზე.

უპირველეს ყოვლისა, ისინი ვიზუალურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ემოტიკონები - პუნქტუაციის ნიშნების, ასოებისა და ციფრების კომბინაციაა, ემოჯი კი გრაფიკული გამოსახულება. YouTube-ის ვიდეო კომენტარებში ორივე მათგანი აქტიურად გამოიყენება, თუმცა ჩვენი დაკვირვებითა და რაოდენობრივი შედარების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ემოჯები უფრო პოპულარულია, ვიდრე ემოტიკონები. შევეცდებით ავხსნათ ამის მიზეზი:

- ემოჯები ვიზუალურად უფრო ფერადი და სანახაობრივია, რაც მას მეტად მიმზიდველსა და მარტივად აღქმადს ხდის;
- ემოჯები გაცილებით დიდ არჩევანს გვთავაზობს და მათი მეშვეობით მომხმარებელს შეუძლია უკეთ გამოხატოს ემოციები და იდეები;
- ემოჯები უფრო ადვილად გასაგებია სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებისათვის, რადგან გრაფიკული გამოხატულება შინაარსის ერთგვარი მიმანიშნებელია;
- თანამედროვე ტექნოლოგიები და სოციალური პლატფორმები ხელს უწყობს ემოჯის გამოყენებას, კერძოდ, YouTube-ს ჩაშენებული აქვს ემოჯების გრაფა, რომლის გახსნისთანავე, ჩვენს წინაშე ჩნდება უამრავი სიმბოლო;
- ემოჯები ფართოდ გამოიყენება ახალგაზრდა თაობაში.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ემოტიკონებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ონლაინ კომუნიკაციაში, კონკრეტულად YouTube-ის ვიდეო კომენტარებში, რასაც განაპირობებს შემდეგი მიზეზები:

- ემოტიკონი ადვილია დასაწერად, საჭიროებს მხოლოდ რამდენიმე სიმბოლოს კლავიატურაზე;
- ემოტიკონები გამოიყენება უფროსი თაობის მომხმარებლის მიერ;

- ემოტიკონები მუშაობს ყველა პლატფორმაზე, მათ შორის, ძველ მოწყობილობებზეც, იმისდა მიუხედავად, აქვს თუ არა სპეციალურად გამოყოფილი გრაფა, ასევე, არ საჭიროებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას ან მხარდაჭერას;
- მომხმარებელს შეუძლია შექმნას საკუთარი უნიკლაური ემოტიკონი.

საბოლოო ჯამში, ემოჯის პოპულარულობა განპირობებულია მისი ვიზუალური მიმზიდველობით, მრავალფეროვნებით და თანამედროვე ციფრულ კულრტურასთან ინტეგრაციით. მიუხედავად ამისა, ემოტიკონები კვლავ გამოყენებეშია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, სადაც სიმარტივე და უნივერსალურობაა მნიშვნელოვანი.

YouTube-ის ვიდეო კომენტარების კიდევ ერთი თავისებურება აისახება ემოციების, კერძოდ, სიცილის აღმნიშვნელ საშუალებათა გამოხატვის მრავალფეროვნებაში.

ქვეთავში 2.2. ჩვენ უკვე განვიხილეთ ის შემთხვევები, სადაც მომხმარებლის ესა თუ ის რეაქცია აკრონიმებით, ემოტიკონებითა და ემოჯებით იყო გადმოცემული, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი საკმაოდ გავრცელებული ფორმა, რაც გულისხმობს სიცილის ბგერების ტექსტურ წარმოდგენას.

როგორც ინგლისურენოვან, ისე ქართულ ვიდეო კომენტარებში, სიცილის ემოცია გადმოიცემა შემდეგი ტექსტური სახით: haha და hehe, თუმცა კომენტარებში აღნიშნული ფორმები ხშირად სახეშეცვლილია მომხმარებლის მიერ და ისინი წარმოდგენილია ასოების დამატებით / განმეორებით - **hahahaha** ან პირიქით, ასოების შემცირებით - **hah, he.**

- Crazy! yea **haha** tell me about it!
- **hahahah** bad trip that baby
- that is Steven Tyler no face swap **hahahahaha**
- **hehe** Freddie mercury eoooooo
- **ჰაჰა** ესეც თუ სიმღერაა :დ
- **ჰეჰე** ვერც წარმოვიდგენდი თუ იმღერებდა

ამ მხრივ მცირედ განსხვავებულ სურათს ვხედავთ ქართულ ინტერნეტ სივრცეში. თუ ინგლისურენოვან ვიდეო კომენტარებში გვხვდება სიცილი ,,**ჰაჰაჰა**", ქართულ კომენტარებში ვხვდებით როგორც ,,**ჰაჰაჰა**'', ასევე, მის ტრანსფორმირებულ ვარიანტებს შემდეგი სახით **აჰაჰაჰ**:

- **აჰაჰაჰ,** მართლაც სასაცილოა ეს)))
- **აჰაჰ** ლოლაა შეგვიცოდე ჩვენც, დავდნით ხალხიი :D

ამავე ქვეთავში გვსურს შევჩერდეთ პუნქტუაციის ნორმებზე, რაც საკმაოდ დარღვეულია YouTube ვიდეო კომენტარებში. როგორც ვიცით, **პუნქტუაცია** სასვენ ნიშანთა გამოყენების წესებია. მისი დანიშნულებაა წინადადება ნათელი და ზუსტი გახადოს. პუნქტუაციის ჩამოყალიბებამდე სიტყვები მიჯრით, ინტერვალის გარეშე იწერებოდა, რაც კითხვას დიდად აძნელებდა. დამწერლობის განვითარებასთან ერთად საჭირო შეიქნა შემუშავებულიყო ნიშნები, რომლებიც გაადვილებდა აზრის უკეთ გამოხატვასა და სათქმელის იოლად გაგებას.

YouTube ვიდეო კომენტარების პუნქტუაციაზე დაკვირვებით ჩანს, რომ ინტერნეტ ენისათვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, სასვენი ნიშნების ჭარბი გამოყენება, მეორე მხრივ, მომხმარებლის მხრიდან მათი სრულებით უგულებელყოფა. პუნქტუაციის საკვანძო სიმბოლოები, რომელიც ჩვენი კვლევისას ელექტრონულ დისკურსში გამოიკვეთა, შემდეგია: ძახილის ნიშანი, კითხვის ნიშანი და მრავალწერტილი. ადგილმდებარეობის მიხედვით ისინი ძირითადად წინადადების დასაწყისში ან სიტყვის ბოლოშია მოთავსებული, თუმცა არც შუა ნაწილშია მათი განთავსება გამორიცხული.

გამოტოვებული პუნქტუაცია. დაკვირვებამ აჩვენა, რომ ინტერნეტ მომხმარებლები ხშირად უგულებელყოფენ პუნქტუაციის ნიშნებს, რაც აისახება აპოსტროფისა და სასვენი ნიშნების გამოტოვებაში. აღნიშნული გარემოება მიგვითითებს წინადადების საზღვრების ან მათი სტატუსის (კითხვითი, ბრძანებითი, მტკიცებითი) განსაზღვრის სირთულეზე.

- me and my late **moms** favorite
- **im** from malaysia, love this song so much...
- ეს სიმართლეა გამაგებინეთ
- დიდი ხანი მისი ფანი ვიყავი რატომ

მრავალჯერადი პუნქტუაცია. სასვენი ნიშნების ხშირი განმეორება მნიშვნელობის ხაზგასმას ემსახურება ისეთ ადგილებში, სადაც ორმაგი ან მეტი სიმბოლოა და მიუთითებს გრძნობისა და ემოციის უკიდურესი გამოხატვის ფორმაზე.

ინტერნეტ ენაში ყველაზე გავრცელებული სიმბოლოებია - **?** (კითხვითი) და **!** (ძახილის) ნიშნები. მათი მრავალჯერადი გამოყენება კი მიზნად ისახავს ადრესატის უკიდურესად გაკვირვების, აღფრთოვანების, შოკირების, გაბრაზების ან აგრესიულობის წარმოჩენას.

- აი ამ ნაგავის გაპიარებას რამე ნორმალური გამოგელიათ**?!?!?!?!?!**
- საშინელება**!!!!!**
- მაგარი შტერობااااა**!!!!** ერთი და იგივე მელოდია. არაფლის მომცემი ტექსტით**!!!!**
- it has become a meme nowadays!!!!
- Artist !!!!!! HA-Ha! Bravo**!!!!!!**
- Facial expressions????? FAKE ! She doesn' t feel anything at all !

ელექტრონულ დისკურსში ხშირად ვხვდებით **მრავალწერტილსაც**, რომელიც გამოიყენება ნათქვამი სიტყვის ჩანაცვლების, განმეორების შემთხვევის თავიდან არიდების ან უთქმელ, მაგრამ ნაგულისხმევ ლექსიკურ ერთეულზე ყურადღების გამახვილების მიზნით.

- ღმერთოო **:/** ეს რა იყოოო...
- ამაზე მაგარი პროექტის .....
- This song is hard to sing when you have a hard time….
- So many memories this song brings me….

მეტიც, ინტერნეტ ენაში შეინიშნება **მრავალწერტილის** გამოყენება უწმაწური სიტყვის ნაწილობრივ დაფარვის მიზნით. იმავე ფუნქციას ასრულებს არც თუ ისე გავრცელებული სიმბოლო -**ასტერიქსიც.**

- უსაქმური **ყ…… ბი** მაგათი ასაგდები ვინაა.
- What the **f……** Lmao😂 😂 😂 😂 😂i never heard this in 50yrs of my life lol
- **F**…… you all, he is my fav one
- Oooooo whats the ***hit**

- მარტო ვიდეო **ა*რაკებს**
- აუ ეს მასწს გაკვეთუკზე ჩავურთე **გამო*ევდ**ა ;დდდდდდდდდდდდდდდდ
- * ლეობა
- გიჟობაა **ბო*იშვილი** ვიყო მეცხრედ ვუსმენ

პუნქტუაცია, ემოტიკონებისა და აკრონიმების მსგავსად, ერთგვარი კომპენსაციაა იმ ადამიანური ემოციური გრძნობების გამოსახატავად, რის დანაკლისსაც ვირტუალური სამყარო განიცდის. ეს ყველაფერი ქმნის ახალ, ციფრულ მეტაენას, რომელიც ცდილობს შეავსოს ის ემოციური ვაკუუმი, რაც ონლაინ კომუნიკაციაში არსებობს. აღსანიშნავია, რომ ეს ელემენტები დროთა განმავლობაში თავადაც იძენს უნიკალურ კულტურულ მნიშვნელობებს და ხდება ციფრული კომუნიკაციის განუყოფელი ნაწილი.

§2.5. YouTube ვიდეო კომენტარების ორთოგრაფიული მახასიათებლები

ინტერნეტი და მისი მეშვეობით განხორციელებული ონლაინ კომუნიკაცია წარმოადგენს ენობრივი სიახლეების დანერგვის ახალ წყაროს. იგი საუკეთესო რესურსია იმის შესასწავლად, თუ როგორ მიმდინარეობს ცვლილებები ენაში და როგორ იყენებს ან აღიქვამს არსებულ სიახლეებს საზოგადოება.

მართლწერა არის რთული შემეცნებითი საქმიანობა. მისი სწავლება არ არის ადვილი, მაგრამ მნიშვნელოვანია ყველასთვის, ვინც ენას სწავლობს.

რას გულისხმობს მართლწერის შეცდომა? მართლწერის შეცდომად ჩაითვლება სიტყვების დაწერის ნორმიდან გადახრა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს ასოების გამოტოვებით, მიმატებით, გაორმაგებით, შენაცვლებით ან სულაც არასწორი წყობით (ახვლედიანი, 2020:56).

ინტერნეტ ენის ყველაზე გავრცელებული ენობრივი მახასიათებელი **არასტანდარტული** მართლწერაა. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ვიდეო კომენტარებში ნაწილობრივ ან სრულიად უგულებელყოფილია მართლწერის ტრადიციული

ნორმები, რაზეც მიუთითებს სასვენი ნიშნების გამოტოვება, სიტყვათა არასწორი ფონეტიკური წყობა, ექსცენტრიული წერის ფორმები, დიდი და პატარა ასოების ხშირი გამოყენება.

ჩვენი აზრით, ორთოგრაფიული შეცდომები შესაძლოა გამოწვეული ყოფილიყო: 1) ენის არასათანადო ცოდნით; 2) ტექნოლოგიის გაუმართავობით; 3)დროის ფაქტორით.

ქვემოთ მოყვანილი მაგალითებიც სწორედ ამის დასტურია:

- So **Beautyful**
- Music is so **simpel**, yet so complicated.
- Nothing really matters, **mai** strong friend.
- Who's here **becuz** if the vine Which is this part
- ძალიან **მომცონს**
- კიდევ გამოვიდეს ცოტა მსგავსი **მაგარუა**
- **მიყუარხართ <3**

ექსცენტრიული ორთოგრაფია ინტერნეტ ენის ერთ-ერთი თავისებურებაა. იგი წარმოადგენს სიტყვის წერილობით ფორმას, სადაც შეიმჩნევა როგორც ხმოვანთა, ასევე, თანხმოვანთა გამრავლება. აღნიშნულ ლინგვისტურ ფორმას მომხმარებლები მიმართავენ თავიანთი დადებითი და უარყოფითი დამოკიდებულების გამოსავლენად.

დანეტის მიხედვით, ექსცენტრიული ორთოგრაფია გამოიყენება მაშინ, როდესაც კომუნიკანტს სურს მისი წერილობითი ტექსტი ზეპირ საუბარს მაიმსგავსოს (Danet, 2001: 27).

- რა **ბანძობაااااااااااا**
- ახლახანს რომ გავიგე თქვენ შესახებ ვწუხვარ. **გაااااااااამაოგნებლები** ხართ!
- **ბრავოოოოოო** რა ამ გოგოს
- **აუუუუუუუუუ** **რამდდდდდდდდენიიიიიი** **მოოოოოოოოოწოოოოოოონეეეებაქვს ამ სიმღერასსსსსს**
- I love this song **sooooooooooooooooooo** much

- I love **ittttttttttttttt soooooooo** much
- **Ooooh yeaaaahhhh**
- My fav part. The “lonely” sounds so **goooooodddddddd**
- Don't care how much hate these guys get!!! Nickelback fucking r**ooooooooooocks!!!!!!!**

მაგალითების განხილვამ ნათლად გვიჩვენა, რომ ექსცენტრიულ ორთოგრაფიას მომხმარებლები მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ თავიანთი დამოკიდებულების უფრო ეფექტურად წარმოჩენა. ეს პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მომხმარებლები აქტიურად და შემოქმედებითად იყენებენ წერის სისტემის პლასტიკურობას საკუთარი ემოციური თუ სოციალური პოზიციის გამოსახატავად. ექსცენტრიული ორთოგრაფია ხდება არა მხოლოდ ლინგვისტური, არამედ სოციალური და ემოციური კომუნიკაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

კაპიტალიზაცია (დიდი ასოები / ასომთავრული) - ინტერნეტ მომხმარებლები ხშირად არღვევენ სტანდარტული ინგლისურის ორთოგრაფიულ წესებს, რაც აისახება იმ სიტყვების დიდი ასოებით დაწერაში, რომლებიც ორთოგრაფიული წესის თანახმად, პატარა ასოებით იწერება. ამ მოვლენას კაპიტალიზაცია ეწოდება. კაპიტალიზაციის ძირითადი მიზანი კონკრეტულ საკითხზე, საგანსა თუ სუბიექტზე ყურადღების გამახვილება, ავტორის პოზიციის სიმყარისა და მისი მნიშვნელობის წარმოჩენაა.

- My love for this song willl never end**. NEVER!!!!!!!**
- **WONDERFUL** set of pipes!!!
- He wasn’t the best singer of all the time. He **IS** the best singer of all the time
- This is clearly song of the **DECADE**
- **this** is the catchiest song **i've** ever heard
- Yes **i** Listen it an **i** love this and **freddie** mercur

აღნიშნული მაგალითები მუსიკის შეფასებას ემსახურება. კაპიტალიზაციით, როგორც აღვნიშნეთ, მომხმარებელს სურს ყურადღება გაამახვილოს, უფრო თვალშისაცემი გახადოს ან ერთგვარი ზეგავლენა მოახდინოს სხვა მომხმარებლებზე. იმავეს ვერ ვიტყვით პატარა ასოებით დაწერილ კომენტარებზე,

რაც, ჩვენი აზრით, მომხმარებლის მხრიდან მინიმალისტური სტილის არჩევანის ან არაკომპეტენტურობის მაჩვენებელია.

2.6. YouTube ვიდეო კომენტარების გრამატიკული მახასიათებლები

ის, თუ რა ზეგავლენას ახდენს ციფრული საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ენაზე, კერძოდ, ენის ცვალებადობაზე და სხვა საკითხებზე, არაერთი სამეცნიერო კვლევის საგანი გამხდარა. კომპიუტერით განხორციელებული კომუნიკაციისას ხდება წერილობითი ენისათვის დადგენილი ნორმების უგულებელყოფა. ეს ტენდენცია ძლიერ აშფოთებს ენის სიწმინდის დამცველებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ინტერნეტ ენა საზიანოა ენისთვის, თუმცა ინტერნეტ-კომუნიკაციის შესწავლით დაინტერესებული ზოგიერთი მკვლევარი კომუნიკაციისას ენის არასტანდარტულად გამოყენებას სულაც არ განიხილავს უარყოფით ჭრილში.

სალიტერატურო, სასაუბრო ენის გრამატიკა მოიცავს ფონოლოგიას, მორფოლოგიას, სინტაქსს, რაც დიდწილად უსარგებლოა ინტერნეტ-კომუნიკაციისთვის, სადაც ტიპოგრაფია და ორთოგრაფია ითავსებენ ხმის ფუნქციებს. ელექტრონული ენა შედარებით ახალი ფენომენია და ჯერ კიდევ არ გააჩნია ჩამოყალიბებული წესები. ელექტრონული ენა იყენებს გარკვეულ შაბლონებს, რომლებიც განსხვავდება ტექნოლოგიური და სიტუაციური კონტექსტის მიხედვით (Herring, 2007: 5).

ინტერნეტ ენაში ყველაზე მეტად თვალში საცემია ელიპტიკური წინადადებები:

ა. ქვემდებარის გამოტოვება. ინტერნეტ ენის გამოყენებისას, პირველი პირის სუბიექტური ნაცვალსახელი „მე“, რომელიც ეხება მოსაუბრეს, ხშირ შემთხვევაში უგულებელყოფილია (Understood, realized – I understood, I realized; გავიგე, გავაანალიზე - მე გავიგე, მე გავაანალიზე). მსგავს უქვემდებარო კონსტრუქციებში ადვილი მისახვედრია, რომ ზმნით აღწერილი მოქმედება, პროცესი, მდგომარეობა ან მოვლენა ხორციელდება გამგზავნის მიერ.

ბ. მესამე პირის ნაცვალსახელის გამოტოვება. ინტერნეტ ენის ერთ-ერთი მთავარი გრამატიკული მახასიათებელია მომხმარებლების მიერ, ჩვეულებრივ,

მესამე პირის ნაცვალსახელების გამოტოვება კონტექსტიდან, სადაც ისინი ქვემდებარის სახით არიან წარმოდგენილი.

- Not funny (It's not funny)
- ლამაზია არა? (ის ლამაზია არა?)

გ. დამხმარე ზმნების გამოტოვება - ინტერნეტ ენაში დამხმარე ზმნები, როგორიცაა ''is/are'' ''was/were", ''will", ''do/did", ზოგჯერ გამოტოვებულია. მაგ: ''This soooo good'' ''Anyone notice detail at 1:45???''

YouTube კომენტარების გრამატიკული მახასიათებლები აჩვენებს, რომ ინტერნეტ ენას აქვს თავისი სპეციფიური წესები და სტილი, რაც ქმნის კომუნიკაციის ახალ ფორმას, სადაც სინტაქსური და გრამატიკული სტანდარტები ხშირად შეცვლილია. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ინტერნეტ კომუნიკაციისას ინფორმაციის გადაცემის სისწრაფე და ეფექტურობა მეტად პრიორიტეტულია, ვიდრე გრამატიკული სიზუსტე.

თავი III. YouTube ვიდეო კომენტარი, როგორც კულტურული ფენომენი და მისი ვერბალური გამოხატულება

მოცემული თავი გვინდა მივუძღვნათ YouTube ვიდეო კომენტარის ლინგვოკულტუროლოგიურ ბუნებას, შესაბამისად, ვფიქრობთ უპრიანი იქნება, თუკი ვისაუბრებთ ენისა და კულტურის ურთიერთკავშირზე, ენაში ასახულ ეროვნულ სულზე, სამყაროს ენობრივ სურათზე და ა.შ.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მთელ რიგ დარგებში დღეს აქტუალურია აზროვნების ისტორიის დაკავშირება კულტურის ისტორიასთან, ასევე, აღიარებულია ენის წამყვანი როლი ორივეგან. ენა ერთსაც და მეორესაც თავის თავში იკრებს, ამასთანავე, ენის მეშვეობით ხორციელდება, ძირითადად, სოციალური ურთიერთქმედება საზოგადოებაში. ასე რომ, სწორედ ენის (ტექსტის, დისკურსის) ანალიზი იძლევა შესაძლებლობას გავიგოთ ადამიანთა აზროვნება და ქცევა. ენის შესწავლა არა ,,ვაკუუმში", არამედ რელევანტური სოციალური კონტექსტის გათვალისწინებით სინქრონიაშიც და დიაქრონიაშიც, ენას წარმოგვიდგენს არა მხოლოდ როგორც კოდს, არამედ, როგორც კოდს პლუს ისტორია, ფართო გაგებით (ომიაძე, 2006:7).

სამყაროს სურათს ბევრად განაპირობებს ენა - მისი წყობა და თავისებურებები. ეს კავშირი შეიძლება ორმხრივად იქნეს ახსნილი: ერთი მხრივ, ხალხის ცხოვრების პირობები (გეოგრაფიული, სოციალური, ყოფითი, პოლიტიკური და ა.შ.) ამა თუ იმ ფორმით აისახება ადამიანთა ცნობიერებაში, ფიქსირდება გარკვეულ სიტყვებში და ენის გრამატიკულ კონსტრუქციებში; მეორე მხრივ, ენა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მის მატარებელთა შემეცნებაზე, წარმართავს სამყაროს კატეგორიზაციას გარკვეული მიმართულებით, რომელიც სპეციფიკურია ყოველი ეთნიკური ენისათვის (რუსაძე, 2010:76).

მ. თანდაშვილის განმარტებით, ,,ენა ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილია.იგიგანისაზღვრება,როგორც ელემენტებისა და წესებისაგან შემდგარი ნიშან თა სისტემა. ენა ადამიანის თვითგამოხატვის საშუალებას წარმოადგენს და ადამიანთა შორის კომუნიკაციის მიზნით გამოიყენება'' (თანდაშვილი, 2016 :1).

ნ. თავიდაშვილი აღნიშნავს, რომ ენა აყალიბებს აზრს ინტელექტუალური შემოქმედების შედეგად, ბგერის მეშვეობით ახდენს მის რეალიზებას მეტყველებაში და ხდის აღქმისათვის მისაღებს. ამას განაპირობებს ინტელექტუალური შემოქმედებისა და ენის მთლიანობა. ,,ენა უნდა გავიგოთ, როგორც მუდმივად შემოქმედი, დინამიური ორგანიზმი, რომელშიც დადგენილია შიდასისტემური კანონები'' (თავიდაშვილი, 2014:21).

ენა ურთულესი მოვლენაა. იგი წარმოიშვა ადამიანთა საზოგადოებაში: ის ერთდროულად სისტემაცაა და ანტისისტემაც, მოქმედებაც და ამავე მოქმედების პროდუქტიც, სულიცა და მატერიაც, სტიქიურად განვითარებადი და, ამავე დროს, მოწესრიგებული თვითრეგულირებადი მოვლენაც. ის ქმნის და იქმნება.

სირთულესთან ერთად ენა მრავალგანზომილებიანი ფენომენიცაა, რომელიც შეიძლება განიხილოს:

1. ენა, როგორც ინდივიდის ენა;
2. ენა, როგორც ენათა ოჯახის წევრი;
3. ენა, როგორც სტრუქტურა;
4. ენა, როგორც სისტემა;
5. ენა, როგორც სახე და ხასიათი;
6. ენა, როგორც კომპიუტერი;
7. ენა, როგორც ფიქრების სივრცე და „სულის სახლი";
8. ენა,როგორც ადამიანის რთული ტექნიკური საქმიანობის შედეგი.

წარმოდგენილ ჩამონათვალს XX საუკუნის ბოლოს კიდევ ერთი დაემატა: ,,ენა, როგორც კულტურის პროდუქტი, როგორც მისი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და არსებობის პირობა, როგორც კულტურული კოდების ჩამოყალიბების ფაქტორი". (მასლოვა, 2001:3).

ენა არამარტო კომუნიკაციის საშუალებად აღიქმება, არამედ იგი კულტურის სახეა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადახვა ერის ყოფის, ხასიათის, შეხედულებების დანახვა და აღქმა, მაგრამ რა არის ,,კულტურა'' და რატომ უკავშირდება ის ენას ასე მჭიდროდ? **კულტურა** სოციალურ-ჰუმანიტარული ცოდნის ერთ-ერთი ფუნდამენტური ცნებაა, ეს ტერმინი სამეცნიერო გამოყენებაში

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში შემოვიდა. კულტურის პირველადი განმარტება სამეცნიერო ლიტერატურაში ეკუთვნის ე. ტეილორს, რომლის თანახმადაც: „კულტურა მოიცავს რწმენას, ხელოვნებას, კანონებს, წესებს, ტრადიციებსა და ქცევებს, რომლებსაც ინდივიდი იძენს საკუთარი საზოგადოებისგან'' (მასლოვა, 2001:9).

სოციალური ფსიქოლოგისა და კულტურის მკვლევარის ჰარი კ. ტრიანდისის თქმით: „კულტურა არის იმ გარემოს ნაწილი, რომელსაც ქმნის თავად ადამიანი“ (ტრიანდისი, 2007:21).

ე. სეპირის თანახმად: „კულტურა შეიძლება განისაზღვროს იმით, თუ როგორ იქცევა და ფიქრობს კონკრეტული სოციუმი. ენა კი არის ის, რასაც ხალხი ფიქრობს“ (სეპირი, 2001:194).

ა.ვ. მასლოვას თვალსაზრისით, კულტურა არის „მოცემული ერისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესი და საქმიანობა, ასევე, ურთიერთობა ხალხებს შორის, წეს-ჩვეულებები, რიტუალები, კომუნიკაციის თავისებურებები, ხედვის, გაგებისა და სამყაროს გარდაქმნის გზები“ (მასლოვა, 2001:15).

ნებისმიერი კულტურა წარმოადგენს პროცესს. სხვადასხვა ხალხის კულტურა განსხვავდება ერთმანეთისაგან, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს მიმართ აქტიური ქცევითი რეაქციით. სუბიექტის მოღვაწეობა სამყაროში ემყარება წესებს, კანონებს, რომლებიც კულტურიდან მომდინარეობს. სხვადსხვა ხალხს განსხვავებულ ბუნებრივ და ისტორიულ პირობებში უწევს ცხოვრება, რის გამოც მათ უყალიბდებათ სამყაროს სპეციფიკური, განსხვავებული ხედვა, აღქმა და ასახვა ენის მეშვეობით. არ არსებობს ,,ზოგადად“ კულტურა, რადგანაც კულტურა ასახავს კონკრეტული ერის სოციალური პრაქტიკის სპეციფიკურ თავისებურებებს. არსებობს ინგლისური კულტურა, ქართული კულტურა, ფრანგული, გერმანული, რუსული და ა.შ. თითოეულ კულტურაზე საუბრისას გამოყოფენ მის სპეციფიკურ, განსაკუთრებულ ნიშან- თვისებებს, რომლებიც მჭიდრო კავშირშია ხალხის, ერის ისტორიულ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ ცხოვრებასთან, მის მენტალიტეტთან, სულიერებასთან (რუსაძე, 2010:77).

მშობლიური ენა მჭიდროდ და მრავალმხრივ არის დაკავშირებული საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების მრავალ მხარესთან, ადამიანის ცხოვრების

მრავალი ასპექტი იმით განისაზღვრება, რომ ეს ადამიანი საზოგადოების წევრია. ამგვარი ასპექტების ერთობლიობა კულტურას წარმოადგენს. ის ფაქტი, რომ ადამიანი ჭამს ან სვამს, თავისთავად, კულტურის სფეროს არ განეკუთვნება, ეს ბიოლოგიურ აუცილებლობას წარმოადგენს, მაგრამ ის, რომ ადამიანი გარკვეული სახის საკვებს იღებს და რომ საკვების მიღება განსაზღვრულ დროს და განსაზღვრულ ადგილებში ხდება, - ეს უკვე კულტურის სფეროს განეკუთვნება. აღნიშნავენ, რომ კულტურა არის ის, რასაც ადამიანი ითვისებს, როგორც საზოგადოების წევრი, ასე დანახული კულტურა მოიცავს ადამიანთა ცხოვრებისა და ქცევის ფართო სფეროს, რომლის აშკარად გამოხატულ და უმნიშვნელოვანეს ნაწილს **ენა** შეადგენს (გამყრელიძე, 2008:462).

მ.თანდაშვილთან ვკითხულობთ: ,,ენა, როგორც სოციუმის არსებობის განმსაზღვრელი კომპონენტი, კულტურის ფენომენს წარმოადგენს. მატერიალური კულტურა, როგორც კულტურის ბინარული სისტემის ოპოზიციური ცნება, სულიერ კულტურასთან ერთად, ერის კულტურულ პარადიგმას ქმნის. ამ ბინარული სისტემის შემცველი თითოეული ცნება კულტურის მატერიალურად და სულიერად დაყოფის შედეგად გაჩნდა. მატერიალური კულტურა აღნიშნავს „ყოველგვარ მატერიალურ საგანს, აგრეთვე, გამოგონებებსა და ცვლილებებს ტექნოლოგიის განვითარების პერიოდში. მატერიალური კულტურის ცნებით ხშირად უპირისპირდებიან სულიერი კულტურის ცნებას, მაგრამ ამგვარ დაპირისპირებას შედარებითი ხასიათი აქვს, რამდენადაც კულტურის ნებისმიერი ფენომენი სემიოტიკური ქმნილებაა. მატერიალური კულტურის საგნები ადამიანთა ცხოვრებაში ორმაგ როლს ასრულებს: ერთი მხრივ, ისინი პრაქტიკული მიზნების მიღწევის, მეორე მხრივ კი სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის გადაცემისა და შენახვის საშუალებებია. მეცნიერებაში მიჩნეულია, რომ მხოლოდ მეორე ფუნქციის მეშვეობით იქცევიან ისინი კულტურის ფენომენებად“ (თანდაშვილი 2016).

უდავოა, რომ ენები და კულტურები მრავალფეროვანია. სამყაროს, რომელიც მუდმივად ერთნაირად გვეძლევა, სხვადასხვაგვარად აღიქვამენ სხვადასხვა ენის მატარებელნი. ეროვნულ-კულტურული კომპონენტი ასახავს სამყაროს ენობრივ

სურათს, რაც წარმოადგენს მოცემული ენობრივი კოლექტივის აზროვნებაში სამყაროს შესახებ ისტორიულად ჩამოყალიბებულ შეხედულებათა ერთობლიობას, სინამდვილის კონცეპტუალიზაციის ერთგვარ ხერხს.

„ყოველი ბუნებრივი ენა ასახავს სამყაროს ორგანიზაციის და აღქმის გარკვეულ საშუალებას. მასში არსებული შეხედულებები ყალიბდება ერთგვარ სისტემად, ერთგვარ კოლექტიურ ფილოსოფიად, რომელიც საზიაროა მთელი ჯგუფისათვის. მოცემული ენისთვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ თავისებურია. ეს იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკეები ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავის ენობრივ პრიზმაში ატარებენ მას“ (ამირეჯიბი, 2004:6).

საერთოდ, ეთნოკულტურის, ენისა და ეთნოსის ურთიერთობის პრობლემის შესწავლაზე გავლენას ახდენს ჰუმბოლდტის ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური იდეები. ერის მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში ჰუმბოლდტი უდიდეს როლს ანიჭებდა ენას. იგი ხაზს უსვამდა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხთა მიერ სამყაროს სხვადასხვაგვარ აღქმას. ამ ნააზრევზე დაყრდნობით გაჩნდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა: ეთნოფსიქოლოგია, ფსიქოლინგვისტიკა, კოგნიტური ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა, კოგნიტური ლინგვისტიკა, ეთნოლინგვისტიკა. ამათ საფუძველზე კი უფრო მეტი ინტერდისციპლინური სინთეზი ხდება და ვიღებთ ეთნოფსიოქოლინგვისტიკას, ეთნოსემანტიკას, ეთნოფრაზეოლოგიას და ლინგვოკულტუროლოგიას.

თანამედროვე ლინგვისტიკის ერთ-ერთ წამყვან მიზნად სწორედ ენის მეშვეობით კულტურის შესწავლა იქცა. კულტუროლოგიური ლინგვისტიკა ანუ ლინგვოკულტუროლოგია ენას კულტურის ფენომენად და ეროვნული მენტალიტეტის გამოხატულებად მიიჩნევს და განიხილავს მას ადამიანთან, მის აზროვნებასთან, ფსიქიკასა და სულიერებასთან მჭიდრო კავშირში.

ლინგვოკულტუროლოგია წარმოადგენს ლინგვისტიკის დამოუკიდებელ დარგს, რომელიც პირველად XX საუკუნის 70-იან წლებში ფიქსირდება ისეთ ტრიადაში, როგორიცაა: ენა-კულტურა-პიროვნება. ლინგვოკულტუროლოგია თანაბრად ცენტრირებულია როგორც კულტურაზე, ისე ენაზე, შესაბამისად, ლინგვოკულტუროლოგია უნდა იქნას გააზრებულია, როგორც აკუმულირებული

ცოდნა კონკრეტული ერის იმ ეროვნულ-კულტურული მახასიათებლების შესახებ, რომლებიც ენაშია ასახული.

ლინგვოკულტუროლოგიის სფეროს კვლევას მიეძღვნა მრავალი სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და პოპულარული აღმოჩნდა XX საუკუნის ბოლო ათწლეულში გამოცემული კვლევა მასლოვას ავტორობით. თ. ჩირაძე ნაშრომში ,,თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ინტეგრატიულობის არსი'' გვთავაზობს მსჯელობას მასლოვას ლინგვოკულტუროლოგიის ცნების განსზაღვრების შესახებ. ,,მასლოვა განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ლინგვოკულტუროლოგიის ინტერდისციპლინარულობის ფაქტს და მოიაზრებს ლინგვოკულტუროლოგიას „ლინგვისტიკის მიმართულებად, რომელიც წარმოიშვა ლინგვისტიკისა და კულტურული კვლევების შერწყმის ადგილას“. მეცნიერი ლინგოკულტუროლოგიას მიიჩნევს „ჰუმანიტარულ დისციპლინად, რომელიც მიზნად ისახავს ცოცხალ ეროვნულ ენაში ასახული და ენობრივ პროცესებში რეპრეზენტირებული მატერიალური და სულიერი კულტურის კვლევას“. და ბოლოს, მასლოვა განიხილავს ლინგვოკულტუროლოგიას „ინტეგრატიულ, კულტურული მეცნიერებისა და ლინგვისტიკის, ეთნოლინგვისტიკისა და კულტურული ანთროპოლოგიის კვლევის შედეგების გამაერთიანებელ დისციპლინად“, რომელიც ორიენტირებულია კულტურის ინტეგრირებულობის კვლევაზე ლინგვისტური კონცეპტების ფორმირებაში (ჩირაძე, 2021:54).

ს. ომიაძე ნაშრომში ,,ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება'' აღნიშნავს: ,,ლინგვოკულტუროლოგია შეისწავლის კულტურისა და ენის ურთიერთქმედებას სინქრონიასა და დიაქრონიაში, თვით კულტურა კი განიხილება, როგორც ენის უმაღლესი ფორმა, როგორც აზროვნების საზრისულ კონცეპტთა სისტემა და აზროვნების სტრუქტურათა წარმომქმნელი (ომიაძე, 2006:7).

ვ. კარასიკის თანახმად, ლინგვოკულტუროლოგია „კულტურისა და ენის ურთიერთკავშირისა და ურთიერთქმედების შესახებ მეცნიერული ცოდნის კომპლექსური დარგია, რომლის მთავარი ერთეული კულტურული კონცეპტია, საკვლევი ერთეულები კი - რეალიები და სპეციფიკური მახასიათებლები“ (კარასიკი, 2002: 112-123).

XX საუკუნის დასაწყისიდან სამეცნიერო წრეებში აქტიურად დაიწყო ენის კვლევა კულტურის კონტექსტში და ამ ორი მნიშვნელოვანი ფენომენის ერთმანეთთან დაკავშირება. ენა აზრის გამოხატვის უბრალო ინსტრუმენტი კი არ არის, არამედ აზრის ფორმირების საშუალებაცაა. ენა კულტურის სარკეა, მისი ინსტრუმენტია, სწორედ იგი აყალიბებს ადამიანს პიროვნებად, რადგან ადამიანი მისი მეშვეობით აღიქვამს ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, სამყაროს ეროვნულ ხატს, ენით ეზიარება ეროვნულ მენტალობას და მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობა თაობიდან თაობას სწორედ ენის საშუალებით გადაეცემა.

არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ ენა და კულტურა ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ფენომენებია, რომლებიც ერთმანეთზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. თუმცა რა იგულიხმება ენისა და კულტურის მჭირდრო კავშირში? გვინდა ხაზი გავუსვათ იმ ძირითად მაკავშირებელ ასპექტებს, რაც ენასა და კულტურას შორის არსებობს:

1. **კულტურის გამოხატულება ენაში**: ენა კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ასპექტია, რომელიც საზოგადოების ღირებულებებს, ნორმებს, ტრადიციებს და რწმენებს ასახავს. თითოეული ენა თავისებურად გადმოსცემს იმ კულტურას, რომლის ნაწილიცაა;

2. **მნიშვნელობის გადაცემა**: ენა საშუალებაა, რომლის მეშვეობითაც ადამიანები აზრს გამოხატავენ და კომუნიკაციას ახდენენ. კულტურული ცოდნა და გამოცდილება ენაში ჩაშენებულია, რაც საშუალებას იძლევა, რომ ეს ცოდნა და გამოცდილება მომავალ თაობებს გადაეცეს;

3. **სოციალური იდენტობა**: ენა არის კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილი. ის განსაზღვრავს ადამიანების ჯგუფს და მათ ურთიერთობას ერთმანეთთან. ადამიანები ხშირად ენით გამოხატავენ თავის ეროვნულ და კულტურულ კუთვნილებას;

4. **კულტურული მრავალფეროვნება**: მსოფლიოს მრავალენოვანობა, ასევე, კულტურული მრავალფეროვნების შედეგია. სხვადასხვა ენა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ვითარდება და შესაბამისად, ენის სწავლა და გამოყენება ხშირად კულტურის უკეთ გაგებას მოითხოვს;

5. **კულტურული ცვლილება და ენის ცვლილება**: ენა ხშირად იცვლება კულტურის ცვლილებასთან ერთად. ახალი ტექნოლოგიების, იდეების ან სოციალური ცვლილებების გამოჩენა ახალ სიტყვებს, ტერმინებს და გამოთქმებს ბადებს. ენა და კულტურა, როგორც ორმხრივი სისტემა, ერთმანეთზე ზეგავლენას ახდენს და ამ გზით განაგრძობს განვითარებას;

6. **ენის სტრუქტურა და კულტურული ელემენტები**: ენები განსხვავდებიან ერთმანეთისგან გრამატიკის, სინტაქსის და ლექსიკური სტრუქტურის მხრივ, რაც ხშირად პირდაპირ ასახავს იმ კულტურის სპეციფიკურ თავისებურებებს, რომელშიც ეს ენა გამოიყენება. მაგალითად, ზოგიერთი ენა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს თავაზიანობის ფორმებს ან ოჯახურ ურთიერთობებს, რაც ამ კულტურისათვის მნიშვნელოვანია;

7. **კულტურული დისკურსი და ენა**: კულტურები განსხვავდებიან არა მხოლოდ იმით, თუ რას ამბობენ, არამედ იმით, თუ როგორ ამბობენ. საუბრის სხვადასხვა სტილი, საუბრის მიმდინარეობა, პაუზები, ჟესტები და ტონალობა, ასევე, კულტურაზეა დამოკიდებული;

8. **თარგმნა და კულტურული გადაცემები**: თარგმნა მხოლოდ სიტყვების ჩანაცვლება არ არის; ის კულტურული კონტექსტის გადაცემასაც გულისხმობს. ზოგიერთი კონცეფცია ან ფენომენი, რომელიც ერთ ენაში ადვილად გადმოიცემა, შესაძლოა რთულად გასაგები იყოს სხვა ენაში, რაც კულტურული განსხვავებების შედეგია;

9. **ინტერაქციული როლი**: ენა წარმოადგენს კულტურათა შორის ინტერაქციის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. გლობალიზაციის ეპოქაში ენის სწავლა და სხვადასხვა ენების გამოყენება ხელს უწყობს კულტურათაშორის დიალოგს და ურთიერთგაგებას;

10. **ენობრივი კონტაქტი და კულტურული შერწყმა**: როდესაც სხვადასხვა კულტურის ადამიანები ურთიერთობენ, ხშირად ხდება ენის შერწყმა და იქმნება ბილინგვური/ მრავალენოვანი საზოგადოებები;

11. **ენა და თაობათაშორისი კულტურული მემკვიდრეობა**: ენის საშუალებით თაობიდან თაობას გადაეცემა კულტურული მემკვიდრეობა, მოთხრობები, ლეგენდები, ანდაზები და სხვა. ამდენად, ენა ერთმანეთთან აკავშირებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს;

12. **ენა და მედია საშუალებები**: მედია საშუალებები მნიშვნელოვანი კულტურული პლატფორმაა. ისინი კულტურის პოპულარიზაციას უწყობენ ხელს და, ამავე დროს, ქმნიან ახალ კულტურულ ელემენტებს;

13. **ენა, გენდერი და სოციალური ნორმები**: ზოგიერთ ენაში გამოხატულია გენდერული განსხვავებები, რაც სოციალურ ნორმებსა და როლებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ზოგიერთი ენა გენდერული მარკერებით გამოხატავს სათქმელს, რაც კონკრეტული კულტურის გენდერულ სტრუქტურას ასახავს.

ენისა და კულტურის მაკავშირებელი ასპექტების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალება, არამედ ჩვენი კულტურული იდენტობის მნიშვნელოვანი ნაწილია. ლინგვოკულტუროლოგიის მიზანია, გამოიკვლიოს ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულება და გააანალიზოს, როგორ გამოიყენება ენა სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში. ეს მიმართულება განსაკუთრებით საინტერესოა გლობალიზაციისა და ციფრული კომუნიკაციის ეპოქაში, როდესაც კულტურათა ურთიერთგავლენა და ენის ცვლილება სწრაფად ხდება.

3.1. უნივერსალური და რელატიური YouTube ვიდეო კომენტარში

მოცემულ ქვეთავში ჩვენი ამოცანაა დავაკვირდეთ, რამდენად კარგად ჩანს მუსიკალური ვიდეოების კომენტარებში კომენტართა ავტორების კულტურული სახესხვაობანი, მათ მიერ სამყაროს ხედვა, მიდგომა ამა თუ იმ საკითხის მიმართ. თანამედროვე ციფრულ მედიაში, მუსიკალური ვიდეოების კომენტარები წარმოადგენს მულტიკულტურული კომუნიკაციის უნიკალურ სივრცეს, სადაც ადამიანები სხვადასხვა ენაზე გამოთქვამენ საკუთარ აზრს და წარმოაჩენენ ემოციებს. მოცემული ქვეთავი მიზნად ისახავს, გამოავლინოს სწორედ ის, თუ როგორ აისახება კულტურული განსხვავებები და საერთო ენობრივი ტენდენციები ონლაინ კომუნიკაციაში, კერძოდ კი ვიდეო კომენტარების გაკეთებისას. კვლევის პროცესში განვიხილავთ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების მიერ დაწერილ კომენტარებს, გავაანალიზებთ მათ ენობრივ სტრუქტურას, სემანტიკას და

კულტურულ კონტექსტებს. ამ გზით შევეცდებით უკეთ გავიგოთ, როგორ მოქმედებს გლობალიზაცია და ციფრული კომუნიკაცია ენისა და კულტურის ურთიერთდამოკიდებულებაზე და რა როლი აქვს მუსიკალურ ვიდეოებს ამ პროცესში.

მუსიკალურ ვიდეობზე დაწერილი კომენტარების ანალიზი ინგლისურ და ქართულ ენებზე - განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან მუსიკა კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილია. მუსიკა მიიჩნევა კულტურული იდენტობის, ტრადიციებისა და ემოციების გადმოცემის უნიკალურ საშუალებად. მუსიკა ენაა, რომელიც უნივერსალურ გრძნობებსა და იდეებს გამოხატავს. იგი ერთდროულად აერთიანებს და განასხვავებს სხვადასხვა კულტურებს, გვაძლევს საშუალებას გავიგოთ და შევიგრძნოთ სხვადასხვა ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, სოციალური ნორმები და ღირებულებები.

თანამედროვე ციფრულ მედიაში, განსაკუთრებით YouTube და სხვა პლატფორმებზე, მუსიკალური ვიდეოების კომენტარები მნიშვნელოვან კულტურულ არტეფაქტებად ქცეულა. ეს კომენტარები წარმოადგენს მულტიკულტურული კომუნიკაციის უნიკალურ სივრცეს, სადაც ადამიანები სხვადასხვა ენაზე გამოთქვამენ აზრს და იძლევიან შეფასებებს. აღნიშნულ სივრცეში, მუსიკალური ვიდეოების კომენტარებში კულტურული მახასიათებლების კვლევა საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ, როგორ ვლინდება კულტურული იდენტობები და როგორ ხდება კულტურული გავლენების გაცვლა. მაგალითად, როგორ იყენებენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები მეტაფორებს, ანდაზებს, იუმორს და სოციო-კულტურულ ნორმებს თავიანთი აზრების გამოსახატავად.

ინგლისური და ქართულენოვანი YouTube-ის ვიდეო კომენტარების შედარება საინტერესოა იმით, რომ ორივე ენა განსხვავებულ კულტურულ და კომუნიკაციურ თავისებურებებს წარმოაჩენს, თუმცა ვიდეო კომენტარებში შეინიშნება არამარტო განსხვავებები, არამედ მსგავსებები, როგორც ლინგვისტური, ასევე, ტექნიკური თვალსაზრისით:

ემოჯები და ემოტიკონები ვიზუალურად ამდიდრებენ შეტყობინებებს. ისინი გამოხატავენ ემოციებს, აზრს, დამოკიდებულებას და ტონს საკითხის მიმართ. ემოჯებისა და ღიმილაკების გამოყენება ორივე კულტურისთვის დამახასიათებელია.

მათი აქტიურად მოხმარება განპირობებულია ემოციების სწრაფი გადმოცემის სურვილით.









ტექნიკური ტერმინები - ორივე ენის მომხმარებლები იყენებენ ინგლისურ ტექნიკურ ტერმინებს, როგორებიცაა: like და comment, ეს ტენდენცია კი რამდენიმე მიზეზით შეიძლება აიხსნას, მათგან აღსანიშნავია:

- YouTube გლობალური პლატფორმაა, რომელიც, უმეტესად, ინგლისურ ენაზე ფუნქციონირებს. პლატფორმაზე ძირითადი ფუნქციები, როგორიცაა **like და comment** ინგლისურ ენაზეა წარმოდგენილი, ამიტომ, მომხმარებლები მსოფლიოს მასშტაბით იყენებენ ამ ტერმინებს.





გრამატიკულად გაუმართავი სიტყვები და წინადადებები: ორივე ენის ვიდეო კომენტარებში გვხვდება გრამატიკული შეცდომები, რაც გამოწვეულია: სიჩქარით, გრამატიკული ცოდნის ნაკლებობით, ტექნიკური შეცდომებით;

- What a pity - because the music is **budiful.**
- **Im** only one who **folowing you**
- ჭიათურაში **ჩამოსვლის სემდეგ** გავიცანი თქვენი მუსიკა და ბენდი და უკვე ვგიჟდები

რთულია გავიგოთ შეცდომების მიზეზი, რადგან ზუსტად არ ვიცით მომხმარებელი რა პირობებში, რა ცოდნითა და რა ტექნოლოგიური საშუალებით წერდა კომენტარს.

დისკურსული მარკერები: ორივე საკვლევი ენის ვიდეო კომენტარებში, დისკურსული მარკერები ხელს უწყობს ურთიერთობის სტრუქტურირებას და მკითხველს აძლევს კონტექსტუალურ მინიშნებას, როგორ უნდა გაიგონ ტექსტი. დისკურსული მარკერები მნიშნველოვან როლს თამაშობენ როგორც ინფორმაციული, ისე ემოციური და სოციალური ფუნქციების შესრულებაში.

- აი, ზუსტად ეს მინდოდა მეთქვა
- Actually,that's not what happened

ემფაზა (კაპიტალიზაცია, პუნქტუაცია, გამეორება) ვიდეო კომენტარებში ემფაზა გულისხმობს იმ ლექსიკური ან გრამატიკული საშუალებების ხაზგასმას, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთქმელისათვის.

კაპიტალიზაცია - ემსახურება კომენტარის გარკვეული ნაწილის გამოკვეთას, მის უფრო მკაფიოდ და ეფექტურად წარმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ

ენაში არ გვაქვს დიდი და პატარა ასოები, ზოგჯერ ქართველი ინტერნეტ მომხმარებელი ასომთავრული ლათინური ასოებით წერს სიტყვას ან მთლიანად კომენტარს.





პუნქტუაცია - მრავალრიცხოვანი წერტილები, ძახილისა და კითხვის ნიშნები, ასევე, ემსახურება კომენტარის გარკვეული ნაწილის გამოკვეთას ან უთქმელი, თუმცა ნაგულისხმევი აზრის დემონსტრირებას, რომლის მიზანია ემოციური ფონის გაზრდა და ყურადღების მაქსიმალური მიპყრობა.





გამეორება - ვიდეო კომენტარებში ხშირად ასოების, სიტყვების ან ფრაზების განზრახ გამეორება ხდება, ემოციური ეფექტის გაძლიერების მიზნით.





ინტენსიფიკატორები: ლინგვისტური ელემენტები, რომელიც გამოიყენება სიტყვის, ფრაზის ან მთლიანი წინადადების მნიშვნელობის გასაძლიერებლად. ვიდეო კომენტარებში ინტენსიფიკატორების ფუნქციაა: გააძლიეროს გამონათქვამის ემოციური მუხტი, ხაზი გაუსვას მოსაუბრის დამოკიდებულებას ან პოზიციას და გაზარდოს გამონათქვამის ექსპრესიულობა.

- **მეგა** ჰიტია, არ დანებდე გააგრძელეთ ბიჭებოოოოოოოოო
- It's an **ultra** cool video

ჩვენი დაკვირვებით, განსხვავება ემფაზასა და ინტენსიფიკატორს შორის მდგომარეობს შემდეგში: ემფაზა აძლიერებს გზავნილს ვიზუალური ან სტრუქტურული საშუალებებით და მისი მიზანია ყურადღების აქცენტირება, ხოლო ინტენსიფიკატორები აძლიერებენ მნიშვნელობას კონკრეტული სიტყვების გამოყენებით და მათი მიზანია გრძნობის / ემოციის ხარისხის გაზრდა.

დეიქსისი - YouTube-ის ვიდეო კომენტარებში დეიქსისის გამოყენება ორივე ენისათვისაა დამახასიათებელი, იგი მნიშვნელოვანი ლინგვისტური ინსტრუმენტია, რომელიც ხელს უწყობს უფრო მდიდარი, კონტექსტუალური და ინტერაქტიული დისკუსიის წარმართვას. კომენტარის ავტორები ხშირად მიმართავენ დეიქტიკურ გამოთქმებს, რათა მიუთითონ ვიდეოს კონკრეტულ ნაწილებზე ან მომენტებზე.

1. დროის გამოხატვა სიტყვებით **დღეს, გუშინ, შემდეგ კვირას,** ეხმარება კომენტარის ავტორებს განსაზღვრონ, როდის ნახეს ვიდეო ან როდის აპირებენ რაიმე ქმედების განხორციელებას.
   - გუშინ მომასმენინა მეგობარმა და მას შემდეგ არ გამომირთავს, საღოოლ ბიჭებოოო <3
   - Tomorrow’s release is highly anticipated by fans, Im ONE of them

2. პირის ნაცვალსახელები **მე, შენ, ის** გამოიყენება ვინმეს აღნიშვნის დროს:

- მე მაგრად მომწონს ეს სტილი, მიაწექიიიი
- He always does his best, appreciate!!!!!

3.სივრცითი დეიქტიკური ელემენტები **ზემოთ, ქვემოთ** გამოიყენება კომენტარების სექციაში ორიენტირებისათვის.

- **ქვემოთ** იხილავთ სიმღერის ტექსტს....
- **Scroll down** to see more comments.

რიტორიკული კითხვები: YouTube - ის ვიდეო კომენტარებში საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა. ისინი ხშირად გამოიყენება ემოციის, სხვასთან კავშირის დასამყარებლად, იუმორისა და კრიტიკის გამოსახატავად:





ეს შეკითხვები რეალურად პასუხს არ მოითხოვს, მაგრამ ხელს უწყობს დისკუსიის წამოწყებას და ინტერაქციას სხვა მომხმარებლებთან.

პრაგმატული მარკერები: როგორც ინგლისურ, ასევე, ქართულენოვან კომენტარებში პრაგმატული მარკერები წარმოაჩენენ კომენტარების ავტორთა ემოციებს: სიხარულს, აღფრთოვანებას, გაღიზიანებას და ა.შ.

- რა საოცარია, მიხარია და ვამაყობ რომ ხატია ქართველია :*
- What an amazing performance <3 Loveeeee it!

პოლისემანტური სიტყვები YouTube-ის კომენტარებში ასახავს ენის მრავალფეროვნებას და მოითხოვს მკითხველის მხრიდან კონტექსტის

გათვალისწინებას, ზოგჯერ დამატებით განმარტებასაც გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

- ეს მელოდიაა **მკლავს** (ძალიან მომწონს ან ემოციურად მანადგურებს)
- ეს ვიდეო **ვირუსულია**(პოპულარულია)
- **ცეცხლია** ეს გოგო (მაგარია, ძალიან კარგია)
- This video is **on fire** this season (პოპულარულია, კარგია)
- Girls in this video are **sick** (შთამბეჭდავია, საოცარია)

პრესუპოზიცია: ორივე ენაში გვხვდება წინადადებები, რომლებიც გულისხმობს გარკვეულ წინარე ცოდნას. კომენტარის ავტორები ხშირად წერენ ისეთ კომენტარებს, რომლებიც მიუთითებენ მათ პირად გამოცდილებას კონკრეტულ მუსიკოსთან, ვიდეოსთან ან კონტექსტთან მიმართებაში.

- მეგობრებო, ეს სტილი ბევრად უკეთესია (ვიდეო კომენტარის ავტორი იცნობს სხვა სტილსაც);
- როგორც ყოველთვის, თქვენი ვიდეოები გასაგიჟებელიااااა (ვიდეო კომენტარის ავტორი იცნობს მათ შემოქმედებას და როგორც სხვა მუსიკა, ესეც მისთვის მოსაწონია)
- Another great video on this channel (ვიდეო კომენტარის ავტორი პირველად არ იმყოფება ამ არხზე);
- It's amazing how much you have improved since your first video.(ვიდეო კომენტარის ავტორი იცნობს მათ და დიდი ხანია აკვირდება მათ შემოქმედებას).

ვიდეოში კონკრეტული დროის მითითება ე.წ ტაიმ-სტემპები - ორივე ენაში ტექნიკური საშუალებაა, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს განსაზღვრულ მომენტებზე მიუთითოს და ყურადღება გაამახვილოს. ტაიმ სტემპები ხშირად იწვევს დისკუსიას და ინტერაქციას სხვა მომხმარებელთა შორის.





მსგავსებებთან ერთად საინტერესოა აღვნიშნოთ ის განმასხვავებელი ნიშნები, რომლითაც ორი სხვადასხვა ენის ვიდეო კომენტარები გამოირჩევა:

მორფოლოგია და სინტაქსი

ქართული კომენტარები ხშირად გრძელი და რთული წინადადებებისგანაა შემდგარი, ხოლო ინგლისურენოვანი კომენტარები უფრო მარტივი და მოკლე. ეს შესაძლოა, გამოწვეული იყოს ენის მორფოლოგიური მახასიათებლებით. მაგ: ქართულ ენაში ბრუნვები და სუფიქსები მნივნელოვან როლს თამაშობენ, რაც საგრძნობლად ზრდის სიტყვათფორმების რაოდენობას. ხოლო ინგლისურ ენაში წინსართები და ფუძეები შედარებით მარტივი და ნაკლებად მრავალფეროვანია. სინტაქსის თვალსაზრისით, ქართულ ენაში, წინადადებაში სიტყვების რიგი უფრო მოქნილი და თავისუფალია, ხოლო ინგლისურ ენაში სიტყვების რიგი ეყრდნობა ფორმულას (Subject-verb-object). აქედან გამომდინარე, ქართულენოვანი ვიდეო კომენტარები კომპლექსური სტრუქტურით ხასიათდება, ინგლისური კი მარტივით.

- MY FAVOURITE SONG!
- და აი კიდევ ერთი ახალი მუსიკა რომელსაც ყოველთვის მოვუსმენ და არ მომბეზრდება <3

სტილი და ტონი

ინგლისურენოვან კომენტარებში ხშირად გვხვდება პატივისცემით ან ზრდილობით წარმოთქმული წინადადებები, შესაბამისად, ტონი უფრო თავაზიანია, ვიდრე ქართულენოვან კომენტარებში.

- Could anyone help me?
- სად ვნახო აკორდები? ვინმე გამომიგზავნის?

ორივე საკვლევ ენაში შევხვდით როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ სტილს. ონლაინ კუმუნიკაციის ფორმალურ ენაში იგულისხმება გრამატიკული

ნორმების სრული დაცვა, თავაზიანი მიმართვის ფორმების გამოყენება, ემოჯების და აკრონიმების ნაკლებად ან საერთოდ უგულებელყოფა, ჟარგონებისა და სლენგების თავიდან არიდება, არაფორმალური ენა კი გულისხმობს ყოველდღიური სასაუბრო ლექსიკის გამოყენებას, მოკლე და არასრულ წინადადებებს, პუნქტუაციისა და ორთოგრაფიის წესების დარღვევას, სტიკერების, ემოტიკონების, აკრონიმების, შემოკლებების ხშირ გამოყენებას.

- I absolutely appreciate his work!
- მიხარია, რომ მქონდა პატივი თქვენთან შეხვედრის და თქვენი ბულბულივით ხმის მოსმენის.
- Wow awesome vid!
- აუუუფ, რა მაგარი ვიდეოაااა! შენი ფანი ვااااااااარ არ გაჩერდეეეეეეე!!!!!!!!!!!!!!!

ეროვნულ იდენტობაზე ხაზგასმა. ქართულენოვან კომენტარებში გამოხატულია ეროვნული იდენტობა და სიამაყე (,,ქართული მუსიკის დიდება", ,,ჩვენი კულტურა"), ხოლო ინგლისურენოვან კომენტარებში უფრო ინტერნაციონალური ტონია. ეს კი, ჩვენი დაკვირვებით, ასე შეიძლება აიხსნას: ქართველი ერი იმ ტრადიციული ადათ-წესების მატარებელია, რომელთა უნივერსალურობა სწორედ უნიკალურ თვითმყოფადობაში გამოიხატება. შესაბამისად, საზოგადოება, რომელსაც გააჩნია მრავალსაუკუნოვანი კულტურა და ისტორია, ყოველთვის ხაზს გაუსვამს ამ დიდებულებას. უფრო მეტიც, შეეცდება ღირსეულად წარმოაჩინოს იგი.





ჩართულობა და ინტერაქცია

უცხოენოვან მუსიკალურ ვიდეოებზე, ჩვეულებრივ, მეტი კომენტარია, რადგან აუდიტორია უფრო დიდია. მოწონების და პასუხების რაოდენობის შედარების საფუძველზე კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისურენოვანი საზოგადოება უფრო აქტიურია, რაც განაპირობებს მათ ხშირ რეაგირებას კომენტარების მხრივ.





ანდაზების გამოყენება. ინგლისურენოვანი მომხმარებელებისაგან განსხვავებით, ქართველები ხშირად იყენებენ ანდაზებს კომენტარებში, რაც შეიძლება აიხსნას კულტურული ფაქტორით. ანდაზები ოდითგანვე თამაშობდა მნიშვნელოვან როლს ქართველი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი ხშირად გამოიყენებოდა სიბრძნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების გადმოსაცმად.

ანდაზები საშუალებას აძლევს მთქმელს მარტივად და ლაკონურად გადმოსცეს აზრი. ხშირად მოკლე და სხარტი ანდაზები დიდ შინაარს გადმოსცემენ და ეს ენობრივი ეკონომია ხელს უწყობს დროისა და სივრცის დაზოგვას ონლაინ კომენტარებში.

- ენას ძვალი არ ააქვსო.
- კარგი ცხენი მათრახს არ დაირტყამსო.
- როკმა პური ჭამა .
- Ok it's maybe a little late to upload Nine Lives stuff now, you know it's 2014, AerosmithVEVO! Haha better late than never...

სენტიმენტების ანალიზი

ვიდეო კომენტარები სამი სახისაა: დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ ქართველები ემოციური ერია, მათ დაუფარავად სჩვევიათ როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ემოციების სააშკარაოზე გამოტანა. თუმცა, როგორც ჩვენი კვლევით დგინდება, ემოციურობა მხოლოდ ქართველებისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი და გრძნობების გამოხატვის საშუალებაც საერთო ჰქონიათ ქართულ და ინგლისურენოვანი კომენტარების ავტორებს. ისინი ემოციებისა და გრძნობების გამოსახატავად ტროპულ საშუალებებს მიმართავენ.

მეტაფორების გამოყენება როგორც ქართულ, ასევე, ინგლისურენოვან კომენტარებში ემსახურება სხვადასხვა ემოციის გადმოცემას.

- გული გამითბო, რა სასიამოვნო მოსასმენია
- My heart breaks when I listen to him

ხშირია შედარების მაგალითებიც, რაც, ასევე, დამატებით ემოციურ ფერადოვნებას სძენს ნათქვამს.

- ბულბულივით ტკბილი ხმა აქვს
- This song is as sweet as grandma's pie

ქართულენოვან კომენტარებში გადაჭარბებული შეფასებისას ხშირად გამოიყენება ჰიპერბოლები, ხოლო ინგლისურენოვან კომენტარებში ტროპული მეტყველების ეს სახეობა გამოიყენება სახალისო და იუმორისტული ტონით.

- მილიონჯერ ვუყურე, მაგრამ აზრს ვერ ჩავწვდი
- This song is so goooooood, it cured my laziness))))

იუმორი ვიდეო კომენტარების განუყოფელი ნაწილია. იუმორისტული კომენტარები

1. მკითხველის ყურადღებას იზიდავს;
2. მკითხველთა გამოხმაურებას იწვევს, შესაბამისად იზრდება ინტერაქცია;
3. პოზიტიურ ატმოსფეროს ქმნის.

იუმორის გამოყენება კომუნიკაციას უფრო მსუბუქსა და გასართობს ხდის, იგი ხელს უწყობს დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და აუდიტორიის

ჩართულობას. კულტურული თვალსაზრისით, ის მეტწილად ინგლისურენოვანი კომენტარებისთვისაა დამახასიათებლი, რაც აიხსენება შემდეგით:

ინგლისურენოვან საზოგადოებაში იუმორი მნიშვნელოვანი კულტურული ფენომენია, ამიტომ მისი გამოყენება ყოველდღიურ კომუნიკაციაში საჭიროებადაც კი შეიძლება ჩაითვალოს, რასაც ვერ ვიტყვით მეორე საკვლევ ენაზე, -- ქართულენოვან კომენტარებში ადამიანები ნაკლებად მიმართავენ იუმორს, რადგან მათვის უფრო მკაცრი ფორმები - სარკაზმი და ირონიაა დამახასიათებელი.

- It is just me when i want to pee but I don't have time XD XD
- This song is so cathcy even my dog is singing along
- ვისაც სააბაზანოში არ უმღერია ეს სიმღერა ლაიქს დააჭიროს :დ

ინტერნაციონალიზმები. ინტერნაციონალური სიტყვების გამოყენება კომენტარებს უფრო მრავალფეროვანს და მიმზიდველს ხდის. ინტერნაციონალიზმების გამოყენებას რამდენიმე მიზეზი აქვს: **კომუნიკაციის სიმარტივე**, რაც გულისხმობს იმას, რომ აუდიტორიისთვის ინტერნაციონალური სიტყვები მარტივად აღსაქმელი და გასაგებია. **პრესტიჟი და მოდა** - გარკვეული ტერმინები შეიძლება მომხმარებლის მიერ მიიჩნეოდეს პრესტიჟულად და მოდურად; **სიტყვების ეკონომია** - ზოგჯერ ინტერნაციონალიზმები უფრო მოკლე და ეფექტურია.

ქართულენოვან ვიდეო კომენტარებში, ძირითადად, ვხვდებით ანგლიციზმებს, რუსიზმებსა და იტალიანიზმებს, ხოლო ინგლისურენოვან კომენტარებში შეინიშნება იტალიანიზმების სიმრავლე.

- კარგი ვერსიაა **respect** ცოტნე!
- **მალადეც**, ეს ნიჭია
- აუ **იმენა** თემა ხარ
- სუპერ
- ბრავო
- Bravoo
- Bellisimo

ტრანსლიტერაცია - ქართულენოვან კომენტარებში შეიძლება შეგვხვდეს ლათინური ანბანით დაწერილი ქართული სიტყვები.





იდიომები და ფრაზეოლოგიზმები - ორივე ენას აქვს უნიკალური იდიომები ან ფრაზეოლოგიზმები უნიკალური ისტორიით. თითოეული მათგანის გამოყენება გულისხმობს და მოითხოვს მომხმარებლისგან გარკვეულ ფონურ ცოდნას.





დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისურენოვან და ქართულ YouTube ვიდეო კომენტარებში კულტურული მსგავსებები თუ განსხვავებები ნათლად გამოიხატება. YouTube კომენტარები არა მხოლოდ ვიდეოების განხილვას ემსახურება, არამედ ისინი მნიშვნელოვანი პლატფორმაა კულტურული დისკურსისა და სოციალური ურთიერთქმედებისათვის. ენობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით, კომენტარები გვთავაზობს უნიკალურ ხედვას თანამედროვე საზოგადოებაზე, ორი ერის კულტურულ მსგავებებსა და განსხვავებებზე.

YouTube პლატფორმა გასცდა თავის პირვანდელ ფუნქციას - იყოს მხოლოდ ვიდეო კონტენტის განხილვის სივრცე და გადაიქცა მრავალშრიან ლინგვისტურ-კულტურულ ფენომენად, სადაც:

1. იქმნება ტრანსკულტურული დიალოგის სივრცე, რომელშიც ენობრივი და კულტურული მახასიათებლები ერთმანეთზე ზემოქმედებენ და ქმნიან კომუნიკაციის ახალ ფორმებს;
2. ყალიბდება ჰიბრიდული ონლაინ კულტურა, სადაც ენობრივი ინოვაციები თანაარსებობს ტრადიციულ ლინგვისტურ ფორმებთან;
3. ვლინდება თანამედროვე საზოგადოების ღირებულებები და სოციალური ნორმები, რომლებიც აისახება როგორც შინაარსობრივ, ისე ლინგვისტურ დონეზე.

ამგვარად, YouTube კომენტარები წარმოადგენს არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებას, არამედ მნიშვნელოვან სოციოლინგვისტურ ლაბორატორიას, სადაც შეგვიძლია დავაკვირდეთ ენისა და კულტურის ევოლუციის პროცესს ციფრულ ეპოქაში.

ზოგადი დასკვნა

YouTube-ის ვიდეო კომენტარები, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი წყარო, წარმოადგენს კომპიუტერულ - შუამავლობით საშუალებათა ასინქრონულ ფორმას. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს მომხმარებელთა შორის. სწორედ მისი აქტუალობიდან გამომდინარე გადავწყვიტეთ შეგვესწავლა არა მარტო ვებ-საიტის მუშაობის მექანიზმი, არამედ ის ლინგვისტური ერთეულები, რომლებსაც ხშირად ვხვდებით აღნიშნულ გარემოში.

თეორიულ მასალაში წარმოდგენილი ინფორმაციის გასამყარებლად ჩავატარეთ პრაქტიკული კვლევა, რომლის თანახმად, დაკვირვება განვახორციელეთ ორ განსხვავებულ მუსიკალურ ჟანრზე -- ერთი მხრივ, კლასიკურ, მეორე მხრივ კი პოპ-როკ ვიდეო კომენტარებზე. განვიხილეთ როგორც ინგლისურენოვანი, ასევე, ქართული ვიდეო კომენტარები, სულ 3934 ერთეული.

გამოკვლეული საკითხის გათვალისწინებით, შესაძლებელი გახდა შემდეგი დასკვნების გამოტანა:

1) ონლაინ კომუნიკაცია გვევლინება, როგორც ერთ-ერთი ეფექტური საკომუნიკაციო საშუალება, რომელიც, თავის მხრივ, ავლენს როგორც დადებით, ასევე, უარყოფით თვისებებს.
2) ინტერნეტლინგვისტიკა ახალი და განვითარებადი დისციპლინაა, რომელიც იკვლევს ენის გამოყენებას ინტერნეტსა და ციფრულ კომუნიკაციაში. ეს დისციპლინა აერთიანებს ლინგვისტიკის, ფსიქოლინგვისტიკის, სოციოლოგიის, მედიის კვლევების და სხვა სოციალური მეცნიერებების ელემენტებს. იგი გვეხმარება უკეთ გავიგოთ ენისა და კომუნიკაციის დინამიკა ციფრულ ეპოქაში.
3) დიგიტალურ სამყაროში ინტერნეტ ენა მრავალფეროვანი და საინტერესო მოვლენაა. მის განსაკუთრებულობას ხაზს უსვამს ინტერნეტ ენის მრავალსახეობა, რომელთაგან აღსანიშნავია: **Lolspeak, Leetspeak, Textspeak, Chatspeak.**
4) ვიდეო კომენტარი მნიშვნელოვანი საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელსაც არაერთი ფუნქცია გააჩნია. ჩვენი დაკვირვებით, YouTube - ის ვიდეო კომენტარი შეიძლება იყოს: **ინფორმაციული**, **შეფასებითი, რჩევა-დარიგებითი, დამადასტურებელი** და **სხვადასხვა მიზნით შექმნილი.**

YouTube-ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკის შესწავლისას, საჭიროებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ნაშრომში ერთ-ერთ თავად წარმოგვედგინა YouTube ვიდეო კომენტარებისთვის დამახასიათებელი ლინგვისტური თავისებურებები, სადაც კონკრეტულად განვიხილეთ YouTube ვიდეო კომენტარების ლექსიკურ, სტილისტურ, გრაფიკულ, ორთოგრაფიულ და გრამატიკულ მახასიათებლებს.

ლექსიკური მახასიათებლებზე დაკვირვების შედეგად აღმოვაჩინეთ, რომ YouTube-ის ვიდეო კომენტარებში ჭარბობს სიტყვათა კომბინაციის, დამოკლების (კვეცისა და კუმშვის), შორისდებულების, აკრონიმების, სიტყვების ასოებითა და ციფრებით ჩანაცვლების მაგალითები.

YouTube ვიდეო კომენტარები წარმოდგენილია დადებითი, უარყოფითი და ნეიტრალური (ზოგჯერ დამაბნეველი) შინაარსით. აღნიშნულ ჯგუფში ერთიანდება ის კომენტარები, რომელთაც **სტილისტური ფერადოვნება** გააჩნია. კვლევისას შევხვდით შემდეგ სტილისტურ ხერხებს: მეტაფორა, მხატვრული შედარება, ეპითეტი, ირონია, სარკაზმი, ტაბუირებული, ე.წ. ,,4 ასოიანი სიტყვები“, ვულგარიზმები, ჟარგონები, სლენგური გამონათქვამები. მათი გამოყენება მომხმარებლის მიერ ემოციის გაძლიერებასა და სუბიექტური აზრის უკეთ გამოხატვას ემსახურება.

YouTube ვიდეო კომენტარებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ კომენტარებში დიდ ადგილს იკავებს **გრაფიკული ელემენტები**, როგორც ემოტიკონების, ასევე ემოჯების სახით. შევადარეთ რა ორი აღნიშნული ფენომენი, დავრწმუნდით ორივე მათგანის საჭიროებასა და უნიკალურობაში. ემოტიკონების მხრივ, ადგილი აქვს როგორც ვერტიკალური, ასევე ჰორიზონტალური ელემენტების გამოყენებას, რასაც ვერ ვიტყვით ემოჯებზე ე.წ ხატულებზე, რომლებიც ძირითადად ილუსტრირებული ნახატებითაა წარმოდგენილი. ვიდეო კომენტარებში ორი კულტურის შედარებისას გამოიკვეთა, როგორც მსგავსებები, ასევე განსხვავებები. შინაარსობრივი თვალსაზრისით **:*** აღნიშნული ემოტიკონი გამოიკვეთა მხოლოდ ქართულენოვან კომენტარებში და იგი კეთილდღეობის აღმნიშვნელია. კიდევ ერთ სპეციფიკურ განსხვავებას წარმოადგენს **:დ** ემოტიკონის არსებობა, რაც ემოტიკონის ;D - ის

ქართული ვარიანტია. ხოლო ემოჯების თვალსაზრისით, კვლევაში აღნიშნული თითოეული ხატულა ორივე კულტურაში, სრულიად იდენტური თვისებებითაა წარმოდგენილი.

YouTube ვიდეო კომენტარების პუნქტუაციაზე დაკვირვებამ დაგვანახა, რომ ინტერნეტ ენისათვის დამახასიათებელია ერთი მხრივ, სასვენი ნიშნების ჭარბი გამოყენება, მეორე მხრივ კი, მათი სრულებით უგულებელყოფა მომხმარებლის მხრიდან.

ინტერნეტ მომხმარებლები ხშირად უგულებელყოფენ პუნქტუაციის ნიშნებს, რაც აისახება აპოსტროფისა და სასვენი ნიშნების გამოტოვებაში. სასვენი ნიშნების ხშირი განმეორება კი, ემსახურება რაიმე მნიშვნელოვანის ხაზგასმას. ინტერნეტ ენაში ყველაზე გავრცელებული სიმბოლოებია - **?** (კითხვითი) და **!** (ძახილის) ნიშნები. მათი მრავალჯერადი გამოყენება მიზნად ისახავს ადრესატის გაკვირვების, აღფრთოვანების, შოკირების, გაბრაზების ან აგრესიულობის წარმოჩენას. ელექტრონულ დისკურსში შევნიშნეთ მრავალწერტილისა და * ასტერიქსის გამოყენების სიხშირეც.

YouTube ვიდეო კომენტარების **ორთოგრაფიულ** მახასიათებლებზე დაკვირვებისას გამოიკვეთა ექსცენტრული ორთოგრაფიის გამოყენების შემთხვევები, რაც გულისხმობს სიტყვაში, როგორც ხმოვანთა, ასევე თანხმოვანთა გარავლებას. მაგალითების განხილვისას ჩვენთვის ნათელი გახდა: **ექსცენტრიულ ორთოგრაფიას** მომხმარებლები მიმართავენ მაშინ, როდესაც სურთ თავიანთი დამოკიდებულების გამოკვეთა, ამავე ფუნქციის მატარებელია **კაპიტალიზაცია,** რაც კომენტარის ასომთავრულით ანუ დიდი ასოებით დაწერას გულისხმობს. კაპიტალიზაციის ძირითადი მიზანიც კონკრეტულ საკითხზე, საგანსა თუ სუბიექტზე ყურადღების გამახვილება და მისი მნიშვნელობის წარმოჩენაა.

აღმოჩნდა, რომ YouTube-ის ვიდეო კომენტარები ზოგჯერ კომპლექსურ წინადადებებად გვევლინება, ეს სირთულე კი გამოწვეულია: ა) ქვემდებარის გამოტოვებით; ბ) მე-3 პირის ნაცვალსახელის გამოტოვებით; და გ) დამხმარე ზმნების უგულებელყოფით.

სენტიმენტის ანალიზის თანხმად:

1) YouTube-ის ვიდეო კომენტარები ნაწილობრივ ხასიათდება ნეგატიური ბუნებით, რაც მომხმარებლის მიერ გამოყენებულ, ე.წ „4 ასოიან სიტყვებსა“ და სალანძღავ ტერმინებში გამოიხატა. კვლევისას გამოიკვეთა ქართულენოვანი კომენტარების მრავალფეროვნება, სადაც აგრესია და კრიტიკა სხვადასხვა ლექსიკური ერთეულებითაა გადმოცემული.

2) კრიტიკასთან ერთად, ვიდეო კომენტარებში აღმოვაჩინეთ ირონიულ-სარკასტული იდეის მატარებელი ტექსტებიც, რომელთა მთავარ მიზანს მუსიკალური ნაწარმოების, მუსიკოსის ან სხვა მომხმარებელთა მიმართ დაცინვა წარმოადგენდა.ირონიულ-სარკასტული გამონათქვამებისგან განსხვავებით, YouTube ვიდეო კომენტარებში ცალკე აღნიშვნის ღირსია იუმორის შემცველი კომენტარები, რომლელიც ჩვენი დაკვირვებით, უფრო სხვათა გამხიარულებასა და კარგი განწყობის შექმნას ემსახურება, ვიდრე ვინმეს დაცინვასა და დაკნინებას.

3) ვიდეო კომენტარების შესწავლისას, შევხვდით დადებითი შინაარსის მქონე ტექსტებსაც, რომლებიც, ძირითადად, წარმოდგენილი იყო ზმნების, ზმნიზედების, არსებითი და ზედასართავი სახელების, ასევე, სხვადასხვა ტროპული საშუალებით.

კვლევის გამორჩეულ ნაწილს წარმოადგენდა YouTube-ის ინგლისურენოვან და ქართულენოვანი ვიდეო კომენტარების **კულტუროლოგიური ანალიზი,** რომელმაც უამრავ უნივერსალურ ნიშანთან ერთად, მეტად საინტერესო კულტურული, რელატიური ნიშანიც გამოავლინა.

არამონათესავე ენების (ინგლისური და ქართული) კომენტარების შედარება - შეპირისპირების საფუძველზე, გამოვიტანეთ შემდეგი დასკვნები:

ორივე საკვლევი ენისთვის დამახასიათებელია:

1. ემოჯებისა და ემოტიკონების გამოყენება (ემოციის სწრაფი გადმოცემა);
2. ტექნიკური ტერმინების (LIKE, COMMENT) ხშირი გამოყენება;
3. გრამატიკული ხარვეზები (სიჩქარითა და ტექნიკური შეზღუდვებით გამოწვეული);
4. დისკურსული და პრაგმატული მარკერების გამოყენება;
5. დეიქსისი და პრესუპოზიცია (კონტექსტუალური დისკუსიის გაღრმავება);
6. რიტორიკული კითხვები (ემოციური კავშირის დამყარება);

კულტურული განსხვავებები:

1. **კომუნიკაციის სტილი** (ინგლისური: თავაზიანი, ინტერნაციონალური, ფორმალური; ქართული: ემოციური, ეროვნული იდენტობის მატარებელი, არაფორმალური);
2. ლინგვისტური თავისებურებები: **ანდაზების გამოყენება** (ქართულში უფრო მეტი), **იუმორი** (ინგლისურში: უფრო მსუბუქი, ქართულში: სარკაზმი-ირონია); **ინტერნაციონალიზმების სპეციფიკა** (ქართულში: ანგლიციზმები/ რუსიციზმები, ინგლისურში - იტალიანიზმები); **ინტერაქციის სხვაობა** (ინგლისურენოვან კომენტარებში მეტი ჩართულობა-დიდი აუდიტორია); **ტრანსლიტერაცია** (დამახასიათებელი ქართული კომენტარებისთვის); იდიომების ნაირსხვაობა (ეროვნული იდენტობიდან გამომდინარე).

YouTube კომენტარები არა მხოლოდ ვიდეოების განხილვას ემსახურება, არამედ იგი ერთ-ერთი გამორჩეული საკომუნიკაციო პლატფორმაა ლინგვისტური ანალიზის, კულტურული დისკურსისა და სოციალური ურთიერთქმედებისათვის. YouTube კომენტარები წარმოადგენს უნიკალურ სოციოლინგვისტურ ფენომენს, სადაც ენობრივი ინოვაციები, კულტურული ტრანსფორმაცია და სოციალური ურთიერთობები ქმნიან თანამედროვე საზოგადოების დინამიური განვითარების მნიშვნელოვან სურათს. ენობრივი და კულტურული თავისებურებების გათვალისწინებით კომენტარები გვთავაზობს უნიკალურ ხედვას თანამედროვე საზოგადოებაზე და მათ კულტურულ განსხვავებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1.ამირეჯიბი, რუსუდან. ,,შიშის“ სემანტიკის შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში“, ენათმეცნიერების საკითხები, №2, 2003.

2.ახვლედიანი, ანა. „YouTube - ის ვიდეო კომენტარების ენობრივი სპეციფიკა და მისი გამოხატვის ძირითადი ხერხები“, სამაგისტრო ნაშრომი, ბათუმი, 2020.

3.ბაბუნაშვილი, ხათუნა. „ენა და ინტერნეტი“, ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, 2014.

4. გამყრელიძე, თამაზ., კიკნაძე, ზაზა., შადური, ინგა., შენგელია, ნანა. ,,თეორიული ენათმეცნიერების კურსი“, თბილისი, 2008.

5.გვარიშვილი, ზეინაბ. „სოციალური და სიტუაციური კონტექსტის როლი ელექტრონული კომუნიკაციური აქტის ფორმირებისა და წარმართვის პროცესში“ საერთაშორისო კონფერენციის ,,ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ მასალები, ბათუმი, 2009.

6.დორეული, თამარ. „სიძულვილის ენის სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართულ რეალობაში“,სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2021.

7.თავიდაშვილი, ნინო. ,,კვაზირეალიები როგორც უნივერსალური ენობრივ–კულტურული ფენომენი და მათი ვერბალიზაცია სხვადასხვა სისტემის ენებში”,სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი, 2014.

8.თოთიბაძე, სოფიო. „სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ქართული ციფრული მედია დისკურში, თბილისი,2003.

9.ომიაძე, სალომე. ,,ქართული დისკურსის ლინგვოკულტურულ შემადგენელთა სტრუქტურა, სემანტიკა და ფუნქციონირება”, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2006.

10.რუსაძე, ირმა. ,,სომატური იდიომები ლინგვოკულტუროლოგიურ ასპექტში (ინგლისური და ქართული ენების მასალაზე)”, სადისერტაციო ნაშრომი, ქუთაისი, 2010.

11.სანიკიძე, თენგიზ., სანიკიძე ინგა. ,,ქართულის ენის პრაქტიკული სტილისტიკა" გამომცემლობა ინტელექტი, 2009.

12. ჩირაძე,თათია. ,,თანამედროვე ლინგვისტური კვლევების ინტეგრატიულობის არსი", სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2021.

13. ხახუტაიშვილი, მზია., ცეცხლაძე ნანა. „სტილისტიკა" სახელმძღვანელო. თბილისი, 2014.

14.Abdullah,Mardziah, H. "Electronic discourse: Evolving conventions in online academic environments. ERIC Digest," 1998.

15.Aleek, Abusa, A. "Internet linguistics: A Linguistic Analysis of Electronic Discourse as a New Variety of Language," 2015.

16.Barnes, Renee. "Understanding the affective investment produced through commenting on Australian alternative journalism website New Matilda,"2015.

17.Baron, Naomi, S. "Discourse structures in instant messaging: The case of utterance breaks. Language@ Internet," 2010.

18.Baron, Naomi, S. "Alphabet to Email: How Written English Evolved and Where It's Heading," London: Routledge Publishers, 2000.

19.Bauer, Laurie. " English Word-Formation. London: Cambridge,"1983.

20.Chatzopoulou, Gloria., Sheng, Cheng., and Faloutsos, Michalis. "A First Step Towards Understanding Popularity in YouTube,"San Diego, California, USA, 2010.

21. Collot, Milena., Belmore,Nancy. "Electronic Language: A New Variety of English," In: Herring, S. Computer-Meidated Communication: Linguistic, Social and Cross-Cultural Perspectives. Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1996.

22. Crystal, David. "Language and The Internet," Cambridge University Press, 2001.

23.Crystal, David. "Language and the Internet," Cambridge: Cambridge University Press, 2004.

24.Crystal, David. ''A Glossary of Netspeak and Textspeak,'' Edinburgh: University Press, 2024.

25. Crystal, David. ''The Scope of Internet Linguistics,'' 2005.

26.Crystal, David. „Language and The Internet: 'Engaging and Provocative' Nature,'' Cambridge University Press, 2006.

27. Crystal, David. ''Internet Linguistics,''New York: Routledge, 2011.

28. Danet, Brenda. ''Cyberl@y : Communicating Online,'' New York: Berg, 2001.

29.Danet, Brenda., Herring, Susan, C. ''The Multilingual Internet: Language, Culture, and Communication Online,'' New York: Oxford University Press, 2005.

30. Davis, Boyd, H., Brewer, Jeuttone., Brewer Jeuttone Patten., ''Electronic discourse: Linguistic individuals in virtual space,''Albany: SUNY Press, 1997.

31. December, John. ''Computer-Mediated Communication as a Component of Technical Communication Education,'' 1993.

32.Delgado, Richard., Stefancic, Jean ''Four Observations About Hate Speech,'' 2009.

33.*Dresner, Eli., Herring, Susan, C. „Functions of the Non-Verbal in CMC: Emoticons and Illocutionary Force,'' Tel Aviv University, Indiana University, Bloomington, 2010.*

34. Herring, Susan. ''Computer-Meidated Communication: Linguistic, Social and Cross-Cultural Perspectives,'' Amsterdam/Philadelphia: John Benjamins Publishing Company, 1996.

35.Herring, Susan. ''A Faceted Classification Scheme for Computer-Mediated Discourse,'' Vol. 4, 2007.

36.Hong-mei, Sun. ''A study of the Features of Internet English from the Linguistic Prespective,'' Journal of Studies in Literature and Language, Vol 1, No. 7, 2010.

37. Holmes, Janet. ''Paying compliments: A sex-preferential politeness strategy,''1988.

38.Humphrys, John. "1 h8 txt msgs: How texting is ruining our language,"Daily Mail, September 24th, 2007.

39.Jonge, Sarah, D. & Kemp, Nenagh. "Text-message abbreviations and language skills in high school and university students," Journal of Research in Reading, 2010.

40. Kangaspunta, Veera. "Internet Users' Reasons and Motives for Online News Commenting," 2021.

41. Knautz, Kathrin., Stock, Wolfgang, G. "Collective indexing of emotions in videos," Journal of Documentation, 2011.

42. Karasik, Vladimir, I. "Language circle: personality, concepts, discourse," Volgograd, 2002.

43.Katamba, Francis. "English words: Structure, History, Usage," Psychology Press, 2005.

44. Lange, Patricia, G. "Publicly Private and Privately Public: Social Networking on YouTube," Journal of Computer-Mediated Communication, 2007.

45.Lagorgette, Dominique. "approches sémantiques et pragmatiques. Paris: Larousse", 2004.

46. Lewis, Myles. "A Cognitive Linguistics Overview of Offense and Hate Speech," SSRN Electronic Journal, 2012.

47.Lyddy, Fiona., Farina, Francesa., Hanney, James., Farrell, Lynn., & Kelly O'Neill, N. "An Analysis of Language in University Students' Text Messages," Journal of Computer-Mediated Communication, 2014.

48. Macfadyen, Leah. Roche, Jorg., & Doff, Sabine. "Communicating across cultures in cyberspace, " (Vol. New Brunswick and London: Transaction Publishers, 2004.

49.Madden, Amy., Ruthven Ian., Mcmenemy, David. "A Classification Scheme for Content Analyses of YouTube Video Comments,"2013.

50. Maslova, V. A. "Linguaculturology," Moscow: Academy, 2001.

51.Matikainen, Jane. "Social media motives and values: Why do people use social media?" In T. Aaltonen-Ogbeide, P. Saastamoinen, H. Rainio, & T. Vartiainen (Eds.), 2011.

52. Meinard, M.E.M. "Distinguishing onomatopoeias from interjections," in Journal of Pragmatics, 2015.

53. Moor, Peter, J. "Flaming on YouTube" Master's Thesis, November 14, 2008

54. Muniandy, A. V. "Electronic discourse (E-discourse): Spoken, written or a new hybrid?", 2002.

55. Mueller, Christoper. "Positive Feedback Loops: Sarcasm and the Pseudo-Argument in Reddit Communities", 2016.

56.Nagar, Naama. "The loud public: The case of user comments in online news media," (Unpublished doctoral dissertation), University of Albany, NY, 2011.

57.Ogunyle, Wale, J " A Linguistic Study of Netspeak Among Students of Adeyemi College of Education, Ondo", 2016.

58.Panckhurst, Rachel. "Electronic mediated discourse: assessment and perspectives. Reading, writing, communicating and learning with the Internet," 2006.

59. Para, Iulia. "Online Communication – Netspeak The Internet as a Facilitator for New Ways of Communication and the Impact on our Language," 2016.

60.Plester, Beverly., Wood, Clare., & Bell, Victoria. "Txt msg n school literacy: Does texting and knowledge of text abbreviations adversely affect children's literacy attainment? Literacy. 43, 137 – 144, 2008.

61. Plester Beverly., & Wood Clare., "Exploring relationships between traditional and new media literacies: British preteen texters at school," Journal of Computer Mediated Communication, 2009.

62. Plester, Beverly., Wood, Clare., & Joshi, Puja. "Exploring the relationship between children's knowledge of text message abbreviations and school literacy outcomes". British Journal of Developmental Psychology, 2009.

63.Pogrebin, Mark, R., Poole, Eric, D. „Humor in the briefing room: A study of the strategic uses of humor among police," Journal of Contemporary Ethnography,1988.

64.Pop, L. ''What remains of discourse relations in cyberl@ngue,'' ACLIF Research: Proceedings of the University Didactics Seminar, 2008.

65. Sui, Xinyu. ''Measurement and Sentiment Analysis of YouTube Video Comments",Master's Thesis, 2022.

66. Sutherland, John. ''Cn u txt?'', The Guardian, Nov 11, 2002.

67.Tagliamonte, Sali., Denis, Derek. ''Linguistic ruin? LOL! Instant messaging and teen language,'' American Speech, 2008.

68.Thelwall, Mike. ''My Space Comments. Online Information Review,'' Vol. 3, 2009.

69.Thurlow, Crispin. ''The Internet and language,'' In R. Mesthrie & R. Asher (Eds.)'', Concise Encyclopeia of Sociolinguistics, 2001.

70. Thurlow, Crispin., Brown, Alex. „Generation Txt? The Sociolinguistics of Young People's Text-messaging,'' University of Washington, 2003.

71. Thurlow, Crispin., Lengel, Laura., Tomic Alice. „Computer Mediated Communication: Social Interaction and the Internet,'' London: Sage Publications, 2004.

72.Thorne, Steven. ''Review of language and the internet the biggest language revolution ever meets Applied Linguistics in the 21st century,'' 2003.

73.Varga, Tibor. ''Language of YouTube Video Comments,'' 2009.

74.Varnhagen, Connie., McFall, Peggy, G., Pugh, Nicole., Routledge, Lisa., Sumida-MacDonald, Heather., & Kwong, E. Trudy, ''Lol: New language and spelling in instant messaging,'' 2010.

75. Wenner, Lawrence, A., ''Model specification and theoretical development in gratifications sought and obtained research: A comparison of discrepancy and transactional approaches,'' Communication Monographs, Vol. 53, 1986.

76. Werry, Christopher, C. ''Linguistic and Interactional Features of Internet Relay Chat,'' Computer-Mediated Communication: Linguistic, Social and Cross-Cultural Perspectives, Amsterdam / Philadelphia: John Benjamins publishing Company, 1996.

77. Wood, Andrew, F., Smith, Matthew, J. "Online Communication Linking Technology, Identity, and Culture," 2005.

78. Yule, George. "The Study of Language" (3rd Edition). London: Cambridge University Press, 2006.

79. Лотман, Юрий. М. "Беседы о русской культуре: Быт и традиции русского дворянства". - СПб., 1994.

80. Сепир,Эдуард. "Статус лингвистики как науки // Сепир Э. Избранные труды по языкознаниюи культурологии / пер. с англ. под ред. и с предисл. д-ра филол. наук, проф. А.Е. Кибрика, 2-е изд. М.: Издательская группа «Про гресс», С.192-469, 2001.

81. Триандис Гарри. К. "Культура и социальное поведение: учеб. пособие / пер. В.А. Соснин". М.: с.21, 2007.

გამოყენებული ინტერნეტ რესურსი:

1. თავაძე, სოფიო. ,,ნუ მივცემთ კომპიუტერსა და ინტერნეტს ჩვენი ცხოვრების რეალური დროისა და საქმის წართმევის ნებას "(2011)

https://newtechnocomm.wordpress.com/2016/03/05/advantages-and-disadvantages-of-computer-mediated-communication-in-the-context-of-unimas-students-and-staff/

2.თანდაშვილი,მანანა. ,,ენა და კულტურა".

ენა და კულტურა – Digital Kartvelology

3. სელზმერი ნეილ., საზოგადოება და კულტურა kultura.pdf (socium.ge)

4. შამუგია,პაატა. ,,ქართული ჟარგონის ლექსიკონი ინტერვიუ ლევან ბრეგაძესთან, 2016.

ქართული ჟარგონის ლექსიკონი | ინტერვიუ ლევან ბრეგაძესთან | INDIGO

5.Chin, Leonara. "Advantages and disadvantages of computer mediated communiacation in the context of UNIMAS students and staff," 2016.

https://newtechnocomm.wordpress.com/2016/03/05/advantages-and-disadvantages-of-computer-mediated-communication-in-the-context-of-unimas-students-and-staff/

6.Holst, Brad. "Are acronyms hurting or helping your communications"? 2020

Are Acronyms Hurting or Helping Your Communications? | Mandel Communications

7.Indresh ''Role of internet in Education", 2003

https://www.theasianschool.net/blog/role-of-internet-in-education/

8. "The rise of the acronym", 2014.

https://www.translatemedia.com/translation-blog/rise-acronym/?fbclid=IwAR2E-CNhzWQSPH9qFDHR4KXGgaNfGyJltTOi2_0hKQG93aDNwcxsWBuCEF8

გამოყენებული YouTube ვიდეო მასალა:

1.დაგდაგანი - ფისო

https://youtu.be/hK47WDakIGU?si=vGHMxuyaxVMN3i1B

2.დაგდაგანი - ტკივილგამაყუჩებელი

https://youtu.be/O_BrHLmZY74?si=DIQMA9YKK-Vqm3PB

3.დაგდაგანი - ჩვენ ყველა დიდი ხნის წინ მოვკვდით

https://youtu.be/W941qXd8VwA?si=PG7CIOQgWRVMiibX

4.დაგდაგანი - უკიდებ სიგარეტს
https://youtu.be/sMMn73fH26c?si=MDceIfGDCHqW75Su

5.ხატია წერეთელი | არ გამაბრაზო

https://youtu.be/dHQZEYUGoG4?si=c20mplQEh-YF6_90

6. ხატია ბუნიათიშვილი - ვა გიორქო მა (va giorqo ma) - YouTube

https://youtu.be/U7LQ3oRV9BE?si=PefmIa1s61BKSUgq

7."ყვითელი ფოთლები" გია ყანჩელი Yellow Leaves by Giya Kancheli

https://youtu.be/9PThKOthGBg?si=rMQhH9KgLWc8QcSQ

8. მეგი გოგიტიძე - მიყვარხარ მეთქი (Official Video) - YouTube

https://youtu.be/XfDoFgVnzzg?si=dlzHJ-yA8G9Qiafi

9. მეგი გოგიტიძე - საფეხურები (Official Video)

https://youtu.be/omLapkznL78?si=UrpiJnDaz_nBmLtB

10.მეგი გოგიტიძე - Dumai | Меги Гогитидзе - Думай

https://youtu.be/a_13wOzU6vw?si=EmVJC-41oNMSShrN

11.მწირი - Warning (1991) - YouTube

https://youtu.be/MmZkr6AMSm0?si=lhgEqjy77GdAoRa4

12.მწირი - ტერენტის ფრაგმენტები (1990)

https://youtu.be/wLo0yM1o4yI?si=_8NgyLTS-7i-lxJo

13.ოკეანე "მოსკოვიდან ზარია"

https://youtu.be/mtGk-7Whork?si=hrPKCRkqrfJEsXt2

14.ჯგუფი 1/4 & ლინდა ადამია - Promo Mashup

https://youtu.be/w6Os5uiHkCI?si=65VtWt-fkupIDXEr

15.ერთი მეოთხედი & ლინდა ადამია - იასამნისფერში

https://youtu.be/VWAIsODV0lk?si=f_xuoNYOgSjf8fs_

16.1/4 და ლინდა ადამია - მოდი წავიდეთ

https://youtu.be/9G0B86vcCoo?si=SfBH0JUidyQzVSzv

17.Aerosmith - Pink - YouTube

https://youtu.be/ZfbBqBOSXlU?si=ASRo3PqSkRl-Rg1U

18.Aerosmith - Crazy (Official Music Video)

https://youtu.be/NMNgbISmF4I?si=RGj8eF2FIOIfCu7y

19.Aerosmith - I Don't Want to Miss a Thing (Official HD Video) - YouTube

https://youtu.be/JkK8g6FMEXE?si=-RTySKgdXRkivTWy

20.Freddie Mercury - Living On My Own (Official Video Remastered)

https://youtu.be/DedaEVIbTkY?si=-IrdM3npyy2twQ47

21.Queen – Bohemian Rhapsody (Official Video Remastered)

https://youtu.be/fJ9rUzIMcZQ?si=ZQoZqaClHuNrEyvR

22.HAUSER - Waltz No. 2 (Shostakovich)

https://youtu.be/p_fprzrHvIM?si=UMqAH_7cjfSRAOPv

23.HAUSER - Adagio (Albinoni)

https://youtu.be/kn1gcjuhlhg?si=B6g6_fCbPNohoBbE

24.Imagine Dragons - Natural

https://youtu.be/0I647GU3Jsc?si=ptep_OYt1KSY7ZTb

25.Imagine Dragons - Believer (Official Music Video)

https://youtu.be/7wtfhZwyrcc?si=S22UOAb7kqiZk4V0

26.LoLa & HAUSER - Mia & Sebastian's Theme (La La Land)

https://youtu.be/CbwSurjKDNU?si=5jUWcZEepy5iLKOi

27.Lola Astanova - Fantaisie Impromptu (OFFICIAL VIDEO)

https://youtu.be/7FdDLvED_4E?si=LJdCiTiUBgFWlOH7

28.Michael Jackson - Smooth Criminal (Official Video)

https://youtu.be/h_D3VFfhvs4?si=ZV2ibRcH84kCz0_4

29.Michael Jackson - Earth Song (Official Video)

https://youtu.be/XAi3VTSdTxU?si=-M8CQG92etI-VQMn

30.Nickelback - Savin' Me

https://youtu.be/_JQiEs32SqQ?si=qR7NfzxPYmF625hk

31.Nickelback - How You Remind Me [OFFICIAL VIDEO]

https://youtu.be/Aiay8I5IPB8?si=nYIIk_ERwY9-4ymD

32.Thunderstruck [AC/DC Meets Beethoven] - Peter Bence

https://youtu.be/VxneFyWEVdQ?si=phqe9SSMDEQiez1i

33.Pink Floyd - High Hopes (Official Music Video HD)

https://youtu.be/7jMlFXouPk8?si=OltS2tz37rQPNMjj

34.Pink Floyd - Wish You Were Here - YouTube

https://youtu.be/84Tq-eAJIk4?si=QnQiCHqD909OueKa

35.Pink Floyd - Money (Official Music Video) - YouTube

https://youtu.be/-0kcet4aPpQ?si=fp53QN1NA6Su8gDg

36.Scorpions & Vanessa-Mae - Still Loving You (Taratata, 28 Apr 1996)

https://youtu.be/CtDurWIauoE?si=5jhcs17eRJP_uQFv

37. Scorpions - Wind Of Change (Official Music Video)

https://youtu.be/n4RjJKxsamQ?si=KBgYjzq93reqm5ER

38.Scorpions - Send Me An Angel - YouTube

https://youtu.be/1UUYjd2rjsE?si=NWfyPahPcAH08TdH

39.Yiruma, (이루마) - River Flows in You

https://youtu.be/7maJOI3QMu0?si=HNgXTs7QHr5ef7RE

40.Yiruma - Room With A View

https://youtu.be/6Oph9z-3vFg?si=SHz7pUQCMw2yw9Bc

41.♫ Yuja Wang - Prokofiev : Toccata in D minor Op 11S

https://youtu.be/KoMEaX75FkY?si=W6PWCSTu2Ed9Z0fS